

652  
1966/2



მარტინ გრინბერგი

ქადაგი

652/2

III

19166

# ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ

## ପ୍ରକାଶକ୍ତି

ଲୋକବିରାତପୁରୁଷ-ମେଦିନୀପୁରୁଷ ଏ  
ପାଞ୍ଜଗାଣ୍ଯାଧରି - ଅନ୍ତର୍ମିଶ୍ରମକ୍ଷମି  
ଶଶଚାଲି

ଶବ୍ଦାଳିତବ୍ୟାଳିତ ଅଭିନାଶିତା  
ପାଦପଥରିଦିଶ ଆହାରିଦିଶ  
ବାପୁରାଜିଦିଶ ପରିବାର

### ପ୍ରକାଶକ୍ତି

୧. ଶର୍ମିତା — ସାମନବିଲ୍ଲାଙ୍ଘ, ଲିଙ୍ଗବା ଶ୍ରେଷ୍ଠ!	3
(ଲେଖିତ)	
୨. ପାଲାକିରଣୀ — ଲେଖିତିଥିଲା	4
୩. ଶୈଳିପିଂହ — ପାଦପଥ ଓ ପାଦପଥରାଜିଦିଶ (ଫର୍ମିଶିତରୁରି ମନ୍ତ୍ରକାରୀ)	6
୪. ବୀରଶାନ୍ତିରି — ଲେଖିତିଥିଲା	17
୫. ବୀରଶାନ୍ତିରି — ପାଦପଥ ଓ ପାଦପଥରାଜିଦିଶ (ନାର୍ତ୍ତପାତା ପାଦପଥରାଜିଦିଶ)	19
୬. କାଶପାଲି — ଲେଖିତିଥିଲା	29
୭. ମନ୍ଦିରପାଦି — ଲେଖିତିଥିଲା	31
୮. ଅରତିଲାହାରି — ଲେଖିତିଥିଲା	36
୯. ପାଦପଥରାଜିଦିଶ — ପାଦପଥରାଜିଦିଶ (କର୍ମଚାରୀ, ପାଦପଥରାଜିଦିଶ)	38
୧୦. ପାଦପଥରାଜିଦିଶ — ପାଦପଥରାଜିଦିଶ (କର୍ମଚାରୀ, ପାଦପଥରାଜିଦିଶ)	65

ପରିବର୍ତ୍ତନ ଓ ପାଦପଥରାଜିଦିଶ

୧. ପାଦପଥରାଜିଦିଶ — ପାଦପଥରାଜିଦିଶ ପାଦପଥରାଜିଦିଶ	67
୨. ଅବ୍ୟାକ୍ଷମିତା — ପାଦପଥରାଜିଦିଶ ପାଦପଥରାଜିଦିଶ	70

୧୯୬୬ ଶତାବ୍ଦୀ-୧୯୬୭ ମାତ୍ରରେ ପାଦପଥରାଜିଦିଶ



10.106

1

1966

ପାଦପଥରାଜିଦିଶ

დ. პომახიძე — ბათუმის რეკონსტრუქ-  
ციისა და გაშენების ჰოგიერთი. სა-  
კითხი . . . . . 83

### პრარის წარსელიდან

ს. გერსამიძე — ერთი ფრიად მნიშვნე-  
ლოვანი თაობირი და მემედ აბაშიძე . . . 88  
ი. სისახლელიძე — სამხრეთ-დასავლეთ  
საქართველო მონღოლთა მულობელო-  
ბის ხანაში . . . . . 92

— — — — —

რედაქტორი შოთა ქურიძე  
სარედაქციო კოლეგია:

ბ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი),  
პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოგებაშვილის ქ. № 24.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივანის — 33-72.



## მოთა როყვა სეშობლოვ, დიღება შენ!

ჯიდება შენდა, ახალო წელო, მოგაქვს სიამე ო, რაოდენი;  
გაუკაცურ მკერდზე დღეს, საქართველოვ, გშვენის ლენინის  
ორი ორდენი!  
ახალო წელო, დიდება შენდა! მოდი გვახარე და გვახმიანე,  
შენ დაუმკვიდრე მშვიდობა ქვეყნად მსოფლიოს მართალ  
ადამიანებს!  
გაფურჩქნე მარად ხალხის გენია, იარე ქვეყნად სახემლიმარი,  
თუ რამ გვწყენია, თუ რამ გვტკენია, შენ მოგვიშუშე ის  
სატკივარი.  
სამშობლოსთვის რომ იწვის და იღწვის ისეთი გვინდა ჩვენი  
თაობა,  
შენ რუსთაველის ამრავლე ნიჭი და სააკაძის გამბედაობა.  
შენ გამრავლე, რაც საბოძარი შრომაშ მუძღვნა ამ საუკუნეს;  
თვალში — ნაცარი, გულში — ბოძალი, ვინც ირიბული თვალით  
გვიყურებს.  
ახალო წელო, კარებთან გლოცავ, მოგეგებები ლექსთა  
მარულით,  
ჯველა ქეთილ გულს, თვალს პატიოსანს  
მიეც მშვიდობა და სიხარული!



## ნესტორ გალაზონია

### თ რ თ ა ს

შენი წიგნი, შენი ლექსი  
 სიბრძნის წყაროდ გასულა,  
 ასი ენით ხმელეთს ესმის  
 და ასი ზღვა გასცურა  
 ჩვენი ერის სადიდებლად,  
 უკვდავების დასტურად.  
 რის ფრთა იყო ის კალამი —  
 ფასეუნჯის თუ გედისა?  
 ან რა იყო ის მელანი —  
 ცრემლი თამარ-დედისა,  
 თუ ტრფიალი, ნახელავი  
 შენი უღვთო ბედისა?  
 ვინ გდევნიდა, ვისი რისხვა,  
 რომ სამშობლო დაგეთმო?  
 შენ რა გწამდა ღვთის და ჯვრისა,  
 რა გაქვს მათთან საერთო?  
 შენ ტყვე გახდი მონასტრისა,  
 ჩვენთვის მზე რომ აგენთო.  
 შენი ბინა ყველგან არის —  
 შენგან შორს თუ შენს ახლოს.  
 მე არ მინდა, შენს სამარეს  
 ვიმერ ხელი შეახოს.  
 დაე, ყველამ, ვით თამარი,  
 ეძებოს და ვერ ნახოს!

თუ მართლა, როგორც მადლეგრძელებენ,  
არ მოვკვდი და ცას გამოვეკერე,  
მაგრამ ლექსის თქმა ვეღარ შევძელი, —  
როცა გაშლიან ფრთას ენდელები  
და მზეზე ია გამოვა მერე,  
ღმით მინდორში დავრჩები განგებ,  
მთვარეს ჩავიქრობ მაღლა, ჩემს ზევით,  
პეპლებს ყვავილზე ჭკუიდან შევშლი,  
ორ დიდ ვარსკვლავზე სათაურს გავდებ  
და ლამაზ სტრიქნს წავიჭერ ყელში...  
დაე, თქვან: ეყო ხანდაზმა,  
ჯახირი, წვა და ბოდვაო.  
თუ არ მღეროდა ლამაზად;  
ლამაზად მაინც მოკვდაო!

### ჩ ი ლ ა

დილაა, იწვის ცისკიდე,  
ხანძრალ ჩაეშვა მთაში.  
მდელოზე ჩიტი ჭიკჭიკებს,  
ხევში ჭახჭახებს შაშვი.

დილაა, დილა ხასხასა,  
დილა შენი და ჩემი,  
ამდერებს ხეს და ბალახსაც  
შვების მაღლი და ცრემლი.

შეხედე ქვეყნის არჩევანს,  
უოფელს, ქალაქს და ჭალას,  
უტეხ გულსა და მარჯვენას,  
ულევ სულსა და ძალას!

რამდენ ჭირს გადაუვლია  
ამ მიწაზე და ცაზე!  
ახლა რა სასწაულია,  
რა სინათლე და რა მზე!

ეს გაზაფხულის დილაა,  
ეს სიხარულის დილაა,  
ცვარდანამული დილა და  
ჩვენი მამულის დილა!

მზის და ფერების დილაა,  
მთის და სერების დილაა,  
მძლე სიმღერების დილა და  
ბეღნიერების დილა!



## იური ბენიძე

### გზები და გზაჯვარედინები

მაგრამ პაპავას სხვა ვეგმები აქვს. რაკი ვერ შეძლო „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის შექმნა ირანში, პარიზიდან უნდა ვინმე უფრო მნიშვნელოვანი პიროვნება გამოიწეროს თეირანში და უკვე მიწერ-მოწერას აწარმოებს. იწ-ვევს, პირდება არსებობის სახს-რებით უზრუნველყოფას.

— რა სახსრებია ეს? — ცნო-ბისმოყვარეობა მიპყრობს მე. — რა წყაროებიდან?

— შენი ფულის იმედი მაქვს, — მიპასუხა მან.

მე გავცოფდი.

— მაშასადამე, მთელი ზამთარი წელში გავწყდი შენი პარიზელი ხასისათვის?

ჩხუბი გათიშვაში გადაიზარდა, ჩვენ პირველად მივმართეთ ერთ-მანეთს უხეშად და დიდიხნით დავცილდით. თითქმის ორი წელი

\* დასასრული. იხ. „ლიტერატურული ჟურналი“, № 6, 1965 წ.

არ შევხვედრივართ ერთი ჰეო-რეს. მთელი ამ დროის განმავლო-ბაში მე ვმუშაობდი რკინიგზის სხვადასხვა ნაგებობის მშენებლო-ბაზე.

1937 წლის მიწურულს პაპავა ჩემთან ჩამოვიდა უბანში ქალაქ სულთანაბაღის მახლობლად. მიუ-ხედავად ყველაფრისა. გულწრფე-ლად გამიხარდა მასთან შეხვედ-რა. ჩვენ მივდივართ თეირანში და ახალ წელს ვხვდებით ნაცნობე-ბისა და თანამემამულეთა წრეში.

როგორც წესი, ასეთ ღამეს გა-მოთქვამენ ყველაზე საუკეთესო სურვილებს და ამბობენ ყველაზე გულითად სადლეგრძელოებს და, რა ოქმა უნდა. პირველი სადლეგრ-ძელო სამშობლოსია დამატებით; „და მისი რესტავრაციისა.“

ყველა ჩვენ, აქ მსხდომთ, იმის მიუხედავად, აქტიურად მუშაობს თუ არა ამ „რესტავრაციისათვის“,

ჭერ კიდევ გვაქვს იქ დაბრუნების იმედი. და ის, რომ თავი ერთად მოვიყარეთ და არაფერი გვადარდებს ამ ღამით, არ გვინდა ვიფიქროთ რაიმე მძიმესა და ცულზე — გულს გვიჩუყებს ყველას და ლირიკულად განგვაწყობს.

ვიღაც გიტარას იღებს და თთახს ავსებს საყვარელ მელოდიათა ხმები. მას მოჰყვა ლალი ზესტაფონური და ქუთაისური კუპლეტები. შემდეგ ჩი ყველანი ვმღერით ძველ სტუდენტურ სიმღერებს.

ჩვენ, სამშობლოდაკარგულები, ამ საღამოს ოცნებით გადავდივართ სამშობლოში და მწვავე უვ-და-ნაღველი გვიპყრობს.

მე ისევ ვფიქრობ, რომ უფლება არა მაქვს ისე ვიცხოვრო, როგორც უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე ვცხოვრობდი, — ლუქმა პურისათვის. არ შეიძლება თავს შორს ვიჭერდე ისევე და ჩიგრული თანამემამულებისაგან, როგორიც თვითონ ვარ. არ შეიძლება უმოქმედობა.

სწორედ ამ დღეებში, ხელახლა აღორძინებულ ბუნდოვან მღელვარებათა და მისწრაფებათა დღეებში, მე გავიცანი ყოფილი გენერლის ვასილ დიმიტრის-ძე კარგარეთელის ოჯახი.

გენერალი გულჩათხრობილი და უკარება კაცი იყო. ამიტომ თავდაპირველად ედუარდ პაპავისთან ერთად ფირდოსუსის პროსპექტზე მივდიოდით უმთავრესად მისი სტუმართმოვარე ცო-

ლისა და ქალიშვილების გამო. უფროსი ქალიშვილი უკვე გამოი იყო და ამირლაშვილს უყვარდა, მეორის ქმარი იყო თუდონაშვილა იაპონის მისის თარჯიმანი, ხოლო ორი უმცროსი — მარგო და ქეთი მშობლებთან ცხოვრობდა.

თვითმპყრობელობის დროს კარგარეთელმა დაამთავრა გენერალური შტაბის აკადემია და შემდეგ მაღალი თანამდებობანი ეკავა რუსეთისა და მენშევიკურ არმიებში. პირველი მსოფლიო ომის წლებში საექსპედიციო ჯარებთან ერთად ირანში იყო. აქ შექნილი კავშირისა და ნაცნობობის მეონებით ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი ოჯახთან ერთად ცუდად როდი მოწყო ამ ქვეყანაში და თეირანის საპატიო მოქალაქის წოდებაც კი მიიღო.

პირველად კარგარეთელი ცივად გვეპყრობოდა და ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ თანდათან გულახდილი გახდა და მალე პოლიტიკურ თემებზეც დაგვიწყო საუბარი. იგი იყო საბჭოთა ხელისუფლების თავგამოდებული მტერი და მტკიცედ იდგა ბურუაზიულ-ნაციონალისტურ პოზიციაზე. კარგარეთელმა შემოგვჩივლა, რომ ირანში მან ვერ იპოვა იდეური ადამიანები, რომლებიც „სამშობლოს განთავისუფლების საქმეს“ გამოადგებოდნენ. ყველანი ავანტიურისტები არიან, ან საქმის მარტო მატერიალური მხარე აინტერესებთო.

ერთხელ, როცა პაპავასთან ერთად ვიჯები მასთან, იგი როგორლაც ძალზე აღგზნებული იყო და საბჭოთა კავშირზე ლპარაკობდა ფრიად მუქი და შავგნელი ტონით.

— სსრ კავშირი გრანდიოზული კატასტროფის პირზეა, — ღეღავდა კარგარეთელი, — ქვეყანაში უწესრიგობაა, მეურნეობა დეზორგანიზებულია, სამხედრო მრეწველობა — მოშლილი, ხოლო წითელი არია — თავმოკვეთილი...

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე რომ ლაპარაკობდა, კარგარეთელმა ძლიერ უარყოფითად დახასიათა იგა, ამასთან არ მაღავდა თავის აშკარა სიმპათისა გერმანიისა და იაპონიისადმი.

— ჩემო ყმაწვილო მეგობრებო! — გადავიდა იგი სახეემო ტონზე, — დამიჯერეთ გამოცდილ გენერალს, რომ სწორედ ახლა დადგა აქტიური მოქმედების დრო. უკვე ახლა უნდა შევიტანოთ ჩვენი წვლილი საბჭოების განადგურების საქმეში, რასაც დაამთავრებენ გერმანიისა და იაპონიის ჯარები. ეს დრო შორს აღარ არის და საჭიროა ვიჩქაროთ!

კარგარეთელი ამ დეკლარაციით დაქმაყოფილდა. დაუბახა თავის ცოლს და რუსულად უთხრა:

— შურობჩა, მე მოვქანცე ჩემი მეგობრები. საჭიროა ისინი დავაჭილდოვოთ ფრანგული კონიაკით. დატრანსლი, ძვირფასო...

უკელაფერი. ეს როგორლაც

მრავალმნიშვნელოვანი იურიული მიმჩუყდა. რამდენიმე დღის შემდეგ ედუარდმა მითხუავდა რალმა დამავალა, შესაფერი კაცი მონახება და საქართველოში გაზიარებული. ამ კაცმა უნდა შეაგროვოს ცნობები წითელი არმიის ნაწილების დისლოკაციის შესახებ და ზოგიერთი სხვა სამხედრო ხასიათის მონაცემები. იმის დასამტკიცებლად, რომ იგი იყო საქართველოდან უნდა ჩამოიტანოს გაზიარება „ზარია ვოსტოკის“ უკანასკნელი ნომერი.

საიდუმლო რომ გამანდო, ედუარდმა თქვა, ეს მინდა გავაკეთო ლევან გამყრელიძის მეშვეობითო. ჩვენ ერთად წავედით მის მოსახებნად.

გამყრელიძე აღმოჩნდა საქმაოდ გაქნილი ვინმე. მან კარგად იცოდა ირანი, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს ცხოვრობდა აქ და მეფის ბოქაული იყო. ამ თანამდებობაზე მას უხდებოდა რუსეთის ჯარების კონტრდაზვერვის დავალებათა შესრულება. მაშასადამე, ფართო ურთიერთობა და ნაცნობობა ჰქონდა. როგორც ასეთ საქმეებში გამოცდილმა კაცმა, ჩვენი წინადადება რომ მოისმინა, უპირველეს ყოვლისა გვითხა, ხარჯებს ვინ გაანალდებსო.

ჩვენგან მან, რა თქმა უნდა, გარკვეული პასუხი ვერ მიიღო და ამიტომ გვთხოვა, თვითონ კარგარეთელთან მიმიკანეთო.

როცა ეს თხოვნა გენერალს გადავეცით, მან უკმაყოფილოდ

წაიპუზღუნა, არ ლირდა ლევან-  
თან დაკავშირებაო.

— იგი არ არის სერიოზული  
კაცი, მაგრამ რაკი უკვე მიმარ-  
თეთ მას, მოიყვანეთ ჩემთან.

უკვე დამშვიდობებისას, ედ-  
უარდმა ჰქითხა გენერალს:

— ჩენ არ გვეტყვი, ვის უნდა  
სამხედრო ცნობები და ვინ გაა-  
ლდებს მათ?

— თქვენ გეტყვით, ჩემო ბავ-  
შვებო, — გვიპასუხა კარგარეთე-  
ლმა. — მაგრამ ლევანმა არ უნდა  
იცოდეს ეს. იაპონელები დიდი  
ხანია მიცნობენ როგორც კარგ  
ძეველ გენერალს. ამას წინათ მომ-  
ძებნა იაპონიის სამხედრო ატაშემ  
და მოხოვა მონაწილეობა მიმელო  
ცნობების შეგროვებაში კავკასია-  
ში ვანლაგებული წითელი არმიის  
შესახებ. და, რა თქმა უნდა, იგი  
დააფინანსებს ჩენს მუშაობას.

ჩენ დაგვაცვა ამ მტკიცების  
სისწორემ და გადავწყვიტეთ  
მიგველწია. რომ გენერალს ჩენ-  
თვის გაეცნო ნამდვილი ბატონ-  
პატრიონები.

მეორე დღეს ლევანი, ედუარდი  
და მე კარგარეთელთან ვიჯექით  
მის კვადრატულ მაგიდასთან.  
გენერალმა ერთბაშად და გადა-  
ჭრით უკუაგდო ლევანის მაძიებ-  
ლობა ჩასწვდომოდა წამოწყებუ-  
ლი საქმის წვრილმანებს, დანარ-  
ჩენი კი სწრაფად დაზუსტდა:  
ლევანი საქართველოში შესაგზავ-  
ნიდ გვაწვდის კონტრაბანდისტებს. მისი „შრომა“ ფასდება ოთ-

ხს თუმნად, — სამასი ახლა, ამა — დაბრუნებისთანავე.

ამ საუბრის შემდეგ გვიყვალდება მე და ედუარდს მოგვცა თუმანი და გვთხოვა, ეს საქმე ბოლომდე მიიყვანეთო.

## სამხედრო ატაშე

### სამსახურში

მირიგად, ისევ გვეხლებოთ  
საქმეში, რომელსაც დიდი ხინა  
გადაჭრით მივანებე თავი.

კონტრაბანდისტს თავად ჩენ გაუწიეთ ინსტრუქტორი: განვუ-  
მარტეთ, რა ცნობები გვესავი-  
როებოდა საქართველოდან, მივე-  
ცით ფული. მან, რა თქმა უნდა,  
დამატება მოითხოვა: ახლა გარ-  
თულდა გადასვლა, ყველგან პოს-  
ტები და საგუშეგობიაო. მე კი-  
დევ 50 თუმანი მივეცი მას. მაგ-  
რამ დღეები მიდიოდა. იგი კი არ  
ბრუნდებოდა. ნერვულობდა კო-  
გარეთელი, ფიცხობდა პაპავა. გაქ-  
ნილი ლევანი სულ ხელებს შლიდა  
და თანდათან თავს გვარიდებდა.  
აქცე უნდა ვთქვა, რომ ბოლომდე  
ვერა და ვერ გავიგეთ, სრულებით  
არ გადასულა კონტრაბანდისტი  
საზღვარზე და ჩენი ფული მიით-  
ვისა, თუ დაიჭირეს საბჭოთა ტე-  
რიტორიაზე.

ამასობაში ჩენმა შეფარა დიდი  
მუშაობა გააჩილა.

— ჩემო ბავშვებო, — მოგვმარ-  
თავდა იგი, — სავახშმოდაც კი  
არ მრჩება დრო.

საქმე ის იყო, რომ ატაშემ კარ-  
გარეთელს მოსთხოვა შეექმნა

კავკასიელი ემიგრანტების კომიტეტი: მას უნდოდა მთელ კავკასიასთან ელაპარაკა. რა თქმა უნდა, ის არ უწყოდა, რომ მსგავსი ცდები პარიზში ემიგრანტთა ცალკეულ დაჭვუფებათა მტკიცე წინა-აღმდეგობას წააწყდა. აქაც ამ უთანემოების გადალახვა შეუძლებელი ჩანდა.

— ბუტაფორული კომიტეტი ხომ არ შეგვეჭმნა? — გვითხა გენერალმა. — ნუთუ სომხებში თუნდაც რამდენიმე კაცი არ აღმოჩნდება, რომლებიც კომიტეტში ხელფასისათვის შევლენ?

დაგვებადა იდეა, დახმარება გვეთხოვა პარიზული უურნალის „კავკასია“ რედაქტორ ჰაიდარ ბამარტისათვის. მიგვეწერა აგრეთვე მენშევიკური ჯარების ყოფილი სარდლის ვიორგი კვინიტაძისათვის, რომელიც ამ უურნალში თანამშრომლობდა.

ეს აზრი მოეწონა კარგარე-თელს. მან თვითონ იყიდა წერილების შედგენა. ორივე იდრესატე იგი კარგად იცნობდა.

რამდენიმე დღის შემდეგ გენერალმა კმაყოფილებით გვაცნობა, რომ იაპონელმა სამხედრო ატაშემ ჩაიბარა წერილები და მათ პარიზში დიპლომატიური ფოსტა ჩაიტანსო.

მე კვლავ მეტვებოდა იაპონელ სამხედრო ატაშესთან კარგარეთელის კავშირი, ვთიქრობდი, რომ იგი მოქმედებდა ირანის დაზვერვის დავალებით: გენერალი ხომ ძლიერ დახლოებული იყო ამ ქვე-

ყნის სამხედრო წრეებთან შეუძლებელი რამ მალე ჩემი ეჭვები გაიჭრომეტული გარკვეული როლი ამ შეცემულობისა შეასრულა გენერლის ცოლმა ალექსანდრა ივანოვნამ.

ერთ საღამოს, კარგარეთელთან რომ მივეღით, იგი სახლში არ დაგვხვდა. ალექსანდრა ივანოვნამ ჩვეული გულგაშლილობით მიგვიღო და გვითხრა:

— ვასიამ ეს-ეს არის ივახშმა. მისიღან კაცი მოუვიდა და ახლა იგი სამხედრო ატაშესთანაა. გთხოვთ. ბატონებო, აქ მომიცა-დეთო.

გაჩაღდა ჩვეულებრივი, მაღალი წრისათვის დამახასიათებელი საუბარი. მე ვკითხე ალექსანდრა ივანოვნას, იცის თუ არა მისმა სიძემ, რომელიც იაპონიის მისიაში მუშაობს, ჩვენი მიზნები?

— ჩემი აზრით, არა, — მიპასუხა ალექსანდრა ივანოვნამ, — სამ-ხედრო ატაშე სრულიად განმარტოებით ცხოვრობს, იგი თვითონ დაუკავშირდა ვასიას და მას თავის სახლში ხვდება.

იმ საღამოს შემდეგ მე აღარ ვიყავი ურწმუნო თომა, მით უმეტეს, რომ მომდევნო ამბებმა ყველაფერს ნათელი მოფინა.

გვიან საღამოს რომ დაბრუნდა, კარგარეთელი ჩიოდა, ამდენი სირბილი არ შემიძლიაო.

→ მაგრამ საქმე ბევრია, ჩემო მეგობრებო, თავის მისახედავად არ გვცალია, ჩვენ ძლიერ საჭირონი ვართ. იაპონელმა სამხედრო ატაშემ დამავალა შევადგინო

შეიარაღებული გამოსვლის გეგმა კავკასიის ტერიტორიაზე. გეგმის მიხედვით, ბოლშევიკური ძალების ნაწილი იმ დროისათვის, როცა იაპონელები სამხედრო მოქმედებას გააჩაღებენ შორეულ აღმოსავლეთში, ვერ უნდა მოშორდეს კავკასიას. ტოკიოში ჩემი გეგმის დამტკიცების შემდეგ გამოყოფენ საჭირო სახსრებს. ასე რომ, თავი მაღლა ასწიეთ, მეგობრებო ემზადეთ აქტაური მუშაობისათვის.

როცა კარგარეთელის ბინიდან გამოვედით, შევნიშნე, რომ ედუარდს ნალვლიანი განწყობილება დაუფლებოდა. მე გაკვირვებით შევხედე მას, მან კი პასუხად ლანძღვა დაუწყო კარგარეთელს:

— როგორ შეადგენს ეს კაცი გეგმას, როცა არ იცნობს სამშობლოს და არა აქვს არალეგალური მუშაობის საჭირო გამოცდილება. — ბრაზით ამბობდა იგი. — მე მარტოდმარტო ვცდილობდი შემექმნა ორგანიზაცია, კარგარეთელი კი ამ დროს შინიდან ფეხს არ ადგამდა. ახლა კი, ხედავ, ანდრო, არსად არაფერს გვაკარებს და გეგმაც უჩვენოდ უნდა შეადგინოს.

მე ვამშვიდებდი ედუარდს და ცცდილობდი ჩამებშო კინკლაობის პირველი სიმპტომები, რაც ესოდენ დამახასიათებელია ემიგრანტების ყოველი დაწგუფებისათვის.

ხოლო გენერალი სამხედრო დისციპლინის პოზიციიდან სულ უფრო მწვავედ აქერდა ედუარდის მტკიცნეულ აღგილს, მოითხოვდა.

სიზუსტესა და აკურატულობა/ კავკასიელ ემიგრანტთა შეკრისტულების თაობაზე მისი მითითების შესრულებაში. მაგრამ რა უნდა ვაკეთებინა ედუარდს, როცა მისი ყველა ცდა — განემსჭვალა ნაცნობები კავკასიელ ემიგრანტთა ანტისაბჭოთა გაერთიანების იდეით მარცხს განიცდიდა. ზოგიერთი მათგანი მან კარგარეთელსაც კი მიპვარა. მაგრამ ამას რაიმე შედეგი არ მოუცია.

— რატომ მოგყავთ ჩემთან ეს ადამიანები? — უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა გენერალი, — ისინი იგებენ ჩვენს საიდუმლოს და მიდიან. აღარ გაკეთოთ ეს!

ერთხელ გენერალთან რომ მივეღით, გვითხრეს, კაბინეტშიაო. ჩვენ ჩავედით მასთან. ეს იყო ნახევრად სარდაფული პატიარა ოთახი, სადაც იდგა მაგიდა, მასზე კი საბეჭდი მანქანა. გენერალი ოვეთონ ბეჭდავდა ირანის არმიისათვის რჩევა-დარიგების უამრავ პროექტს. მაგრამ ახლა, ცხადია. მას სხვა საქმე პქნნდა. ჩვენ რომ დაგვაინახა, კარგარეთელმა მუშაობა შეწყვიტა, სათვალე შეგბლზე იაწიო და დასხედითო, გვთხოვა.

— უნდა მოგილოცოთ, — თქვა მან. — ჩემი გეგმა მოიწონეს და მის განსახორციელებლად გაიღებენ ორასი ათას იენს. რას იტყვით, ჩემო ბავშვებო? ცუდია განა?

ამ დღეს კარგარეთელისაგან გავიგეთ, რომ იაპონელები შეუდგნენ იარაღისა და საომარი მასალების შემოზიდვას ირანში. ისინი

სპარსეთის ყურეს ნავსადგურებში ჩამოაქვთ ხომალდებს და ისე განაწილდება ანტისაბჭოთა დაჯუფებებს შორის, რომ იაპონელთა ხელი არ გაძონენდებათ...

მე კარგარეთელს ვკითხე. ხომ არ მიუღია ბამატისა და კვინიტა-ძის პასუხი?

— არა, ჭერ არ მიმიღია. ის ადა-მიანები, პარიზში რომ ცხოვრობენ და მარტო კალმით იბრძვიან, მიეჩვინენ თავის ხელქვეითებად გვთვლიდნენ ჩვენ. შეიძლება ისი-ნი ეძიებენ გზებს, რათა ჩვენთვის გათვალისწინებული ასიგნებანი თვითონ ჩაიგდონ ხელში?..

— არ მესმის, რატომ გვაყენე-ბენ ისინი უხერხელ მღვმარეო-ბაში სამხედრო ატაშეს წინაშე! — უკვე ხმამალლა განაგრძობს კარგარეთელი.

მაგრამ აი ეგნერალი დამშვიდ-და. ვგრძნობთ. რომ სათქმელი მას კიდევ აქვს. მართლაც. კარგა-რეთელი ოდნავ შეყოყმანდა და მთავარი საკითხი აღძრა. იგი ამ-ბობს, რომ იაპონელებმა გეგმა კი მოიწონეს, მაგრამ იგი უნდა გან-ვამტკიცოთ ცნობებით წითელი არმიის განლაგების შესახებ კავკა-სიაში, კერძოდ. საქართველოში. ამ ცნობების მოპოვება კი მხო-ლოდ ადგილზე შეიძლება.

— ძლიერ სამწუხაროა. — განა-გრძო მან და თვალს არ გვაცი-ლებდა, — მაგრამ ეს სამუშაო თვითონ ჩვენ უნდა შევასრულოთ. საქმის გადადება შეუძლებელია. თვითონ ხედავთ. რომ ხალხი არ

გვყავს და ყველაფერი ჩვენი ბი-ლით უნდა გავაკეთოთ.

ედუარდი წამოხტა და განაცხადა, რომ გენერალს შეუძლია მისი იმედი იქონიოს... მაგრამ ამან მხოლოდ ღიმილი გამოიწვია.

ედუარდი გასათუთებული და ავადმყოფი კაცია. არ არის დიე-ტური სასადილო, რომელსაც შე-ეძლოს მისი კუჭის კაპრიზთა და კაყინუფილება. შეიძლება ასე-თი ადამიანი დააღვეს გაჭირვებით აღსავსე გზას?

— ასე გადავწყვიტოთ, — ამბობს გენერალი, — საქართველოში გა-ემგზავრება ანდრო. ჩვენ უნდა ვუშოვოთ მას იარაღი და ლირსეუ-ლი მეწყვილე.

მე არავინ მეკითხება, მინდა თუ არა ეს. არც მე გამომითქვამს რაი-მე პროტესტი ამ გადაწყვეტილე-ბის გამო.

იარაღის ძებნამ საკმაო დრო მოითხვა. ედუარდმა მიმართა ნაცნობ ირანელ ოფიცერს, ორი მაუზერი მიშოვეო. მაგრამ მან გაი-ღიმა და უთხრა: — ორი კი არა, ორი ათასიც რომ გქონდეთ, რა შეგიძლიათ გააკეთოთ?

— კარგარეთელს სულ იოლად შეუძლია პისტოლეტები მაღაზია-ში შეიძინოს თავისი ყოფილი მოწაფეების — ირანელი ოფიც-ერების მეშვეობით, — გაბრაზებით ამბობს ედუარდი. — ჩვენ კი გვა-რბენინებს ამ საქმეზე. წავიდეთ, ვუთხრათ.

გენერალმა სიცილით მოგვისმი-

ნა და გვიჩვენა ახალთახალი მაუ-  
ზერი ორმოცდათი ვაზნით.

— ვიშოვით მეორესაც, — თქვა  
მან და პისტოლეტი კარადაში შეი-  
ნახა.

— ჩემო ბავშვებო, — გვეუბნება  
შემდეგ კარგარეთელი, — პარი-  
ზიდან დაბრუნდა ჩვენი სამხედ-  
რო ატაშე და ხელ უნდა შევხ-  
დე. ხომ არ წამყვებით თან?

ჩვენ ეს ნდობის დიდ აქტად  
მივიჩნიეთ და ხალისით დავვთახნ-  
ხეთ. გენერალს შევხვდით პატა-  
რა ბალის მახლობლად, მივესალ-  
მეთ და გზა განვაგრძეთ, იქვე ახ-  
ლოს მაგიდას მივუსხედით კაფე-  
ხანაში და ცოტა ხნის შემდეგ  
დავინახეთ, რომ ქუჩაში ეტლია-  
ნმა მოტოციკლმა დაიწყო მიმო-  
სვლა. კარგარეთელი მის შესახ-  
ვედრად წავიდა. ეტლში ჩაჯდა  
და მოტოციკლმა მახლობელი შე-  
ნობისაკენ გასწია.

ერთი საათის შემდეგ იგი გა-  
მოვიდა სახლიდან. საიდუმლო  
შეხვედრა შედგა. დამთავრდა  
ჩვენი მისიაც. ჩვენ სწრაფად და-  
ვეწიეთ გენერალს და ჩავსხედით  
ავტობუსში.

შინ გენერალმა გახსნა პარიზი-  
დან ჩამოტანილი ორი წერილიანი  
კონვერტი.

ჰაიდარ ბამატის მაღალფარდო-  
ვანი გამოთქმებით სავსე, მაგრამ  
სავსებით უშინაარსო. წერილი  
მყისვე განზე გადავდევით.

კვინიტაძეს დაუწყია სკოლის  
წლების მოგონებით, კარგარე-  
თელს უწოდებს „ვასილას“ და

სინანულს გამოთქვამს, მენტევი-  
კური ჯარების სარდალრ რომ ვ/  
ყავი, შტაბის უფროსადამშერწყუმ-  
და მყოლოდიო. უკვე წერილია  
ბოლოს იგი ასახელებს თურქეთი-  
დან საქართველოში გადასვლის  
საიმედო ადგილს. გადასვლა მ-  
ხერხდება ვინმე გოორვი კურდ-  
ლელაშვილის მეშვეობით, თუ კი  
პაროლით „ვარდი“ მიმართავთ  
მას ქ. ჩილდირშით.

— სწორია, თურქეთიდან მოქ-  
მედება მართლაც უფრო ნაკლებ  
სახიფათოა. იქ ჩვენ სრულდებით  
არ გვიცნობენ, — მმბობს გენე-  
რალი.

მე ამ ვარიანტის წინააღმდევი  
არა ვარ და სამივენი შევუდექო  
ჩემი გადასვლის გეგმის დეტ-  
ლურ განხილვას.

### შპანას ცნელი გადასვლა

დადგა თეირანიდან ჩემი გამჭ-  
ზავრების დღე. ნაყიდია მატარებ-  
ლის ბილეთი. მოგვარებულია ვა-  
ზის საკითხი. ჩაეგიპარე კომპასი.  
საქართველოს დაწვრილებითი  
რუკა, ორი მაუზერი, ნაგანი, ორი  
ათასამდე მანეთი საბჭოთა ფული  
და ამდენივე ირანისა და თურქე-  
თის ვალუტა.

კარგარეთელმა ერთხელ კიდევ  
შემახსენა ის ცნობები, რომლე-  
ბიც უნდა ჩამოვიტან.

— გახსოვდეს, — მეუბნება  
იგი, — კავკასია ახლა არავლებ  
აინტერესებს გერმანიას. მე უკვე  
ველაპარაკე დაზვერვის წარმომა-  
დგენლებს. თუ შემოდგომამდე

ჭაბრუნდები, ეს მოლაპარაკება  
უფრო რეალურ ხსიათს მიიღებს.

შემდეგ მან მომცა მამამისის  
თბილისის მისამართი პაროლით  
და ოეირანში გასაგზავნი წე-  
რილების შიფრი. შიფრისათვის  
აურჩევია „დედა ენის“ ფურცლის  
„ქათამი“ ასოთა კომპლექტი.

ვიღრე კარგარეთელი დაშიფ-  
რული წერილის შედგენის წესს  
მაცნობს, ედუარდი მისი სახე-  
ლით ამზადებს ჩილდირელი გი-  
ორგის წერილს.

და აი ჩვენ ვემშვიდობებით  
ერთმანეთს. კარგარეთელი ძვე-  
ლებურად, სამგზის მკოცნის და  
მეუბნება:

— ღმერთი შეგეწიოს, შვილო...  
ფული თუ დაგრჩეს, დაეხმარე  
მამაჩემს.

ბინის ზღურბლზე ალექსანდრა  
ივანოვნა დაგვეწია. აცრემლებუ-  
ლი. იგი მაძლევს პაკეტს საჭმე-  
ლით.

პერონზე გულაჩუყებული ედ-  
უარდი მეუბნება:

— მეორეჯერ უმჰველად ერ-  
თად წავალო.

მაგრამ არც მან, არც მე არ  
ვიცოდით. რომ ხელახლა შეხვედ-  
რა არ გვეწერა. მხოლოდ დიდი  
ხნის შემდეგ ერთმანეთს შევხვ-  
დით საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ  
გამაცნორებელ-შრომითს ბანაში.

...ჩილდირში რომ ჩავედი, ძლი-  
ერ იოლად მივაეგნი ვაჭარ პექ-  
მეთის საყისძოს. გიორგი კურდ-  
ლელაშვილის ნათესავი ვარ-მეთ-

ქი, ვუთხარი, და ვთხოვე მრავალ  
ლებინე მასთან.

— შორს წასვლა არ მართდება  
იგი ეზოშია, — მითხრა ვეტარმა.

პატარა შიგაეზოში ერთადერთი  
პირქუში და ძლიერი აგებულო-  
ბის კაცი იყო. იგი ხეზე ჩამკი-  
დებულ ცხვარს ატყავებდა.  
ერთმანეთი რომ გავიცანით და  
ორიოდე სიტყვა გადავულაპარა-  
კეთ ერთი მეორეს, მან მუშაობა  
დაამთავრა და მიმწვია მინაშენ-  
ში. რომელიც მისი ბინა აღმოჩნ-  
და. ჩვენ ტახტზე დავსხედით. მან  
წაიკითხა კარგარეთელის წერილი  
და მე ზოგადად ვუთხარი ჩემი  
ჩასვლის მიზანი. უპირველეს  
ყოვლისა მან მკითხა, მაქვს თუ  
არა იარაღი. როცა გაიგო, რე-  
ვოლვერის გარდა ორი პისტოლე-  
ტი მქონდა, მოისურვა ენასა ისი-  
ნი. მე გავხსენი რუკზაყი და მო-  
ხედვაც ვერ მოვასწარი, რომ  
ორივე პისტოლეტი მის ჯიბეში  
აღმოჩნდა.

— ერთი მე მჭირდება, მეორე  
გამყოლს უნდა მივეყი — შეუვა-  
ლი ტონით მითხრა მან. შემდეგ  
განმიმარტა, ხვალ წავალთ საზღვ-  
რისპირა სოფელ ტოტალეთში, სა-  
დაც ხშირად დავდივარ პირუტყ-  
ვისათვისო. ჩემს თანაშემწედ გა-  
გასაღებ, მაგრამ უქრთამოდ მა-  
ინც არაფერი გამოვაო. და, ცხა-  
დია, დაისვა ფულის საკითხი.

რადგან ოთახში არავითარი ივე-  
ჯი არ იყო, გიორგიმ იქვე ტახტ-  
ზე გაშალა ხელსახოცი, დააწუო

შასზე თავისი ღარიბული ულუფა  
და შევუდექით ჰიმას.

რამდენიმე თლაშო ცეცხლი-  
ვით შინაური არყი რომ გადავ-  
კარით, ვლაპარაკდით.

მე გავუზიარე საფრანგეთსა  
და ირანში ჩემი ცხოვრების  
ამბები. მან კი თავის თავზე მიამ-  
ბო. მისი ნაამბობიდან აშკარა  
გახდა, რომ ჩემს წინ სავსებით  
ჩვეულებრივი ბანდიტი იჯდა და  
სწორედ გიორგისთანა ადემიანე-  
ბი წარმოადგენდნენ ყველა გაძე-  
ვებულის დასაყრდენს „სამშობ-  
ლოს განთავისუფლებისათვის“  
ბრძოლაში.

მზე ამოსული არ იყო, ჩილდი-  
რიდან რომ გავედით პირთამდე  
ბალახით სავსე საზიდარით.

— გზაში ბალას დაგაყრი, —  
მოთხრა გიორგიმ. — წყნარად  
იწექი და თავი არ გაამჟღვნო,  
ახლა კი ფული მომეცი, შეიძლე-  
ბა დამჭირდეს.

მე რამდენიმე ლირა მივეცი და  
არომატიან ბალაში ჩავიმალე.  
ძილში მესმოდა, რომ გიორგი სა-  
დღაც შეჩერდა და ვიღაცას  
თურქულად ელაპარაკებოდა.

მზე უკვე მაგრად აცხუნებდა,  
გიორგიმ რომ ხმამალლა დამიძახა:

— ადექით, ბატონო, მოვედით!

ჩვენ ვიდექით ქვით შემოღო-  
ბილ პატარა ეზოში. არსებითად  
ეს იყო კლდესმიკრული პირუტყ-  
ვის ბაკი.

ფანჯარაში გაიღვა ჩადრიანი  
ქალის ფიგურამ. შემდეგ კი გა-  
მოვიდა შუახნის თურქი, რომელ-

საც გიორგიმ აფლათი უწოდა. მან  
სახლში მიგვიწვია და პატარა ცხა  
მებზე დაგვსხა.

დაწყო აუჩქარებელი სუსტენდის  
ოურქულ ენაზე, რომელშიც მო-  
ნაწილეობა მე არ შემეძლო. გი-  
ორგიმ თურქს გადასცა მაუზერი  
და კვლავ ფული მთხოვა. ჩემი  
დარჩენილი ლირები და თუმნია-  
ნები აფლათის ჯიბეში გადავიდა.

...შუალამისას გავემგზავრეთ.  
აფლათმა რაღაც გამომიწოდა,  
ჩვენებური რბილი ქალამნის  
მსგავსი.

— ჩაიცვი, ბატონო. ადგილზე  
რომ მიხვალ, გადაყარე. — მითხ-  
რა დამტვრეული ქართულით.

ციცაბო ფერდობით ღელეში  
დავეშვით, სწრაფად გადავიარეთ  
იგი და შევუდექით ზიგზაგისე-  
ბურ აღმართს. მივდიოდით ჩქარა,  
თითქმის უხმაუროდ და გათენე-  
ბისას აღმოვჩნდით ზედა ვარძიის  
მარცხნივ. დღე აქ კლდეებში გა-  
ვატარეთ და დაბნელებისათანავე  
დავიძარით მთებისკენ. მივდიო-  
დით თითქმის მთელი ღამე.

მე ძლიერ დამქანცა ხანგრძლივ-  
მა შეუჩვეველმა სიარულმა და  
ძლივს მივლასლასებდი, ვცდილო-  
ბდი აფლათს არ ჩამოვრჩენდი.  
გარდა ამისა (ეს რა დასამალავია!),  
იმის შეგნება, რომ მშობლიურ  
მიწაზე ქურდივით მივიარებოდი,  
მხენეობას როდი მმატებდა. უც-  
ბად კორძს წამოვკარი ფეხი და  
დავარღვივ განთავიდისწინა ტყის  
დუმილი. დავაყურადეთ და ისევ  
განვაგრძეთ გზა, მაგრამ ასი ნაბი-

ჭიც არ გაგვივლია, ხმამაღალმა  
შეძახილმა: „სდექ!“ სიჩუმე რომ  
დაარღვია.

ჩემმა გამყოლმა მაუზერი იძ-  
რო, მაგრამ მას ნაგაზი ეცა და.  
უკვე წაქცეულმა, უმიზნოდ გაის-  
როლა.

მე უკანიდან ვიღაცამ ძლიერი  
ხელები მომხვია.

ქართველმა მეთაურმა, სამი კუ-  
ბიკი რომ ჰქონდა საყელოს დანა-  
კერებზე, რაღაც უთხრა მესაზღვ-  
რებს და ჩვენ იქვე გაგვჩრიკეს,  
ჩამოგვართვეს იარაღი და რუკ-  
ზაკი...

\* \* \*

ბალზაკი ამბობდა, გაიხსენ —  
ნიშნავს ხელახლა განიცადო. და  
მართლიცაა. ადვილი როდი იყო  
მესიერების სიღრმიდან ამოელო  
ბოლქვაძეს ასეთი ლოდი და გა-  
ზაეგდო იგი. მაგრამ ლოდი მძიმე  
იყო და უნდა მოეშორებინა. გარ-  
და ამისა, მან იფიქრა მონათხოვ-  
ბი ჩემს მიხვეულ-მოხვეულ, შეც-  
დომებითა და ცდომილებებით აღ-  
სავსე ეზაზე შეიძლება ადამიანებს  
გამოადგეთო.

ამქვეყნად ბევრი რამ შეიცვა-  
ლა. საბჭოთა კავშირის საზღვრები

ბევრგან სხვადასხვა სახელმწიფოს  
მეგობრობის ხაზად იქცა. და მიწის რუკაზე გაჩნდა ფრილისტებია  
ციალისტური რესპუბლიკების  
რომელთა ხალხები საბჭოთა ადა-  
მიანებთან ხელიხელჩაიდებული  
მიღიან კომუნიზმის გზით.

ზოგიერთმა ემიგრანტმა საბო-  
ლოოდ გაწყვიტა კავშირი წარ-  
სულთან და თავისი აღგილი მო-  
ნახა საბჭოთა საზოგადოებაში.  
სხვების სახესნებელიც აღარაა.  
მათ საფლავში ჩაყვა თავისი ხალ-  
ხის ზიზღი.

მაგრამ ჭერ კიდევ არსებობს  
იმპერიალისტური სახელმწიფოე-  
ბი და მათი დაზვერვები.

და დღესაც არიან ადამიანები.  
რომლებიც ყალბი ბურჯუაზიუ-  
ლი პროპაგანდის ანკესზე ეგებიან.  
პროპაგანდისა, რომელიც მათ  
უბიძებს სამშობლოს დალატის  
გზაზე.

თავის ხალხს მოწყვეტილ ადა-  
მიანთა ხველრს ისინი გარდუვა-  
ლად მიჰყავს უფსკრულამდე. ან-  
დრო ბოლქვაძის წარსული, მის  
მიერ ნანაზი და განცდილი ერთ-  
ხელ კიდევ მოგვაგონებს ამას.

(„ლიტერატურნია გრუზია“)



10.106.

## მამია ვარშანიძე

ჰაიდარ აბაშიძე

ჩვენო ჰაიდარ!  
ჩვენ ერთი გვაქვს დედის ძუძუი, —  
ვის წმინდა რძითა განბანილა ჩვენი ბაგენი,  
ცრემლი ვთქვათ ჩვენი — ალათქმელად მე ვარ  
უძლური,  
სიყვარული ვთქვათ — მე შეწევნა მინდა  
განგების!

ჩვენო სინდისო — ჩვენო მემედ, ჩვენო ჰაიდარ,  
თქვენი თვალების ბრწყინვალება,  
გული ხალასი  
წყალთა დენაა დაუშრეტელ დიდ სათავიდან,  
ხან თუ მანატრებთ მე მწყურვალეს,  
მოვალ, ხან მასვით.

ო. მტკიცან გულზე ხელს დაისვამს შენი სავანე;  
შენ, მის ხევისბერს, ჩაგიხუტებს, ალერსს ჩვეული.  
ყველა მოკვდავი მიიკუთვნებს სადღაც სამარეს,  
სხვაა სიცოცხლე და სიკვდილი კაცის რჩეულის.

შენზეც იტყვიან — გული სანთლად გააჩალა და  
წარუძღვა მოძმეთ, მკერდით შეხვდა ქარებს  
თავნებას.

შენი ალერსით სულდამტკბარი შენი აჭარა,  
ლოცავს დიდუბის პანთეონში შენს მიბრძანებას.

2 „ლიტერატურული აჭარა“, № 1.



ჩემი სავანე საკვანო ციდა ჭალაა,  
მერე იებზე გადევნებამ შორს წამიყვანა.  
ამ სიმწვენეში ვით გმიჩნდა თმაში ჭალარა  
და ვინ წამართვა უნებლიერ რაც მე მიყვარდა?  
ჩემი საკვნო მიწა პეშვში მე ჩამეტევა,  
მისი დედო ფრთა გოლიათმა ზღვამ გადაქვეთა;  
ახლა მაგონებს დამწიფებულ გემრიელ მტევანს,  
მადლობა, მიწავ, სავსე თასით რომ მაწვდი ნექტარს!  
ჭოროხმა იცის გადარევა, ნაპირთა წარლვნა,  
ვეალერსები: „წყნარად, წყნარად, ჩემო მდინარევ!“  
მტრისას, თუ ჩემი ზღვა წამოდგა ტალღად და ტალღად,  
ვეალერსები: „ნუ, ნუ, ზღვაო, შენც შეიწყნარე!“  
ზღვას ვეფერები, ხან ჭოროხსა და ხან ჩემს ჭალას, —  
წარლვნა რომ მოხდეს, გაქვესკნელდეს, გადავირევი.  
ამ ციურ ფერში ვით გამიჩნდა თმაში ჭალარა,  
მის ალერსში და სიყვარულში გადავილევი.

### დ ა გ უ ლ ს ჩ ე მ ს ა ს ...

ხელაბყრობილი გიალერსებ, გლოცავ, გიგალობ,  
თოქოსდა ვშიშობ — არ გატკინო ძველი იარა;  
ჭექა-ჭუხილში გავიძახი, ჩადეჭ, გრიგალო!  
სიყვარულივით შენი ხატი სულს ეზიარა.  
რათაო? გეტყვი... გიხარიდეს გეტრფი ესოდენ,  
მანდ დედას ვხედავ... დედის თვალებს ვეღარ  
ვივიწყებ,  
ჰე, დედულეთო, შენი ხმა რომ მარად მესმოდეს,  
შენს ციურ ზართა გისაგონად მაღლა მივიწევ.  
შენს დახშულ ტევრის სიჩუმეში ასერ შემოვალ,  
მოვეფერები აღამისწლის გადალლილ რტოებს.  
შენი ფუნჯებით გადავფერავ ჩემს შემოდგომას,  
არჩას წავიღებ... და გულს ჩემსას შენ დაგიტოვებ.



## ალექსანდრე სამსონია

### ზღვა და სიყვარული

#### პროლოგი

სკოლადამთავრებულთა გამოსაშვები საღამო. ახალგაზრდები მერჩებზე სხედან, მაგრამ არც წიგნს კიოხულობენ და არც საკონტროლო დავალებას წერენ. ისინი ონეგინი ბერის უკრაის მუსიკა. სცენის ნაწილი, სადაც ახალგაზრდები სხედან, თხელი გამჭვირვალე ფარდითა გამოყოფილი. შემოდის გურამი.

გურამი — პატივცემულო საზოგადოება, ცველას დიდ მაღლობას მოგანენდებთ, ცინც პატივი დაგვდო და ჩევნი კლასის გამოსაშვებ საღამოზე მოვიდა... ჩევნ — ეს ჩევნ ვართ: სკოლადამთავრებული ნიჭიერი ახალგაზრდები. თუ შევთ ვეპარებათ, შეგიძლიათ ჩევნს მშობლებს კიოხოთ... ცველაფერი, რაც ვითხარით, არის შესავალი. შესავალი რომ არ გამეკეთებინა, მე გამოსავალი არ მქონდა. ახლა უფრო კონკრეტულად გავეცნოთ ერთმანეთს... (გამჭვირვალე ფარდას გადახსნის. მუსიკა თანდათან ნელღება და ბოლოს სულ წყდება).

თამარი — რა მოხდა?

გურამი — ბოდიშს ვიხდი, ოცნება

\* ა. სამსონიის პიესას „ზღვა და სიყვარული“ დამს ბათუმის სახელმწიფო თეატრი. ვაქვეყნებთ ნაწყვეტს ამ პიესიდან.

რომ შეგაწყვეტინეთ... ხალხს თქვენი ნახვა სუსს.

ნიკო — ძან სანახავი კი ვართ.

გურამი — რატომაც არა! კონკრეტული დოგენი... ნიკო, თქვენც, ნუ ვეშინა, გავეთილს აღარ შეგვეთხებიან... ვაჟა-ცები ქალიშვილებს ნუ დაგიჩრდილავენ, წინ ადგილი დაუთმეთ. მაშ ასე, უკრალება, სახეზე ღიმილი, ვაეგძის შეუძლიათ ჩაისუნთქონ...

დათო — საათის გამოჩენა თუ შეიძლება?

გურამი — შეიძლება. (დარბაზს) კადა შეგვხედეთ, ასეთია ჩევნი პორტრეტი, ექვსი ცხრაზე, გადაღებული უქულოდ, შემოწმებული სახლმზაროველის მიერ... გადავდივარ ანეტურ მონაცემებზე. ვართ თერამეტი წლის...

დათო — უცოლო და გაუთხოვარი.

ხათუნა — ახლა მაგის დრო არაა.

გურამი — ისე, ლამაზები ვართ.

ნიკო — მე, ძმაო, სიმპათიური ვარ,  
ლამაზებს ეხაზებათ.

ელგუგა — ლამაზი ნანაა.

ხათუნა — მერე შენ რა?

ელგუგა — არაფერი. ლამაზია-მეთქი.  
ფერტი აღვინშნე.

თამარი — ლამაზი კი არა, ძალიან  
ლამაზი, უმაღლესში აუცილებლად მოე-  
წყობა. ხომ ასეა, გურამ?

ნანა — არა გრცევენიათ, მძღვნი ხალ-  
ხი გყურებდ.

გურამი — ბოდიშს ვიხდით, საქითხს  
გადავუხევით. (ახალგაზრდებს) გთხოვთ  
დასხდეთ. (დაჩაბაშ) ჰო, იმას ვამბობ-  
დი, ვართ ორამეტი წლის, გვაქვს ატეს-  
ტარი და უმაღლესში მოწყობის დიდი  
სურვილი... სურვილები საერთოდ ძა-  
ლიან ბევრი გვაქვს... სიტყვა რომ არ გა-  
გვიგრძელდეს, სჭობს თვითონ მოისმი-  
ნოთ. ნიკო, მოდი შენ დაიწყე.

ნიკო — რა დავიწყო?

გურამი — აი, რაზეც ოცნებობდი.

ნიკო — მე რატომ, ძმაო, მეღალი  
ვინც აიღო, პირველად იმან დაწყოს.  
მე ჩემი სამიანებიც მეყოფა.

გურამი — ამა დაოთ გვერყვის.

დათო — ვიტყვი, ამა ფულს ხომ არ  
გადაგახდევინებთ...

გურამი — მაშ აგერ ცარცი და და-  
ფასთან მოგვიყევი.

დათო — (ხატავს ბავშვს).

თამარი — ეს არის დათოს მომავალი  
შეილი.

დათო — ეს მე ვარ პატარაობისას  
(ხატავს კაცს).

ნიკო — ეს კი დათოს მამაა — ბიძია  
სერგო.

დათო — მამაჩემი უფრო მსუქანია  
(მუცელს შემორხაზვს), ეს კაცი კი ზო-  
გადად ინეინერია... მაშასადამე, მე ბავ-  
შვილიდან მსურდა ინეინერი გამოვსუ-  
ლიყავი.

ნიკო — საბავშვო ბალი რომ დამ-  
თავრე, სკოლაში შეხვედი და სულ ინ-  
ტინრობაზე ოცნებობდით...

დათო — ეს სრულებით არ არის სა-

საცილო. მამაჩემი გლეხი იყო და ინდი-  
რის დიპლომი მაინც აღო. მე რომ  
ნაკლები? ის ურჩევნია მშეულებელი და  
ნიკო — ეს, რა დროს ვარგზე მუშაობის  
ხათუნა — სამაგიროდ ფეხბურთის  
თამაში იყი, უმაღლესში უგამოცხოვ  
მიგილებენ.

გურამი — აბლა თამარს ვთხოვთ.

თამარი — ჯერ ნანამ თქვას.

ნანა — (ხატავს სახლს, რომლის ბე-  
ხრის მილიდან კვამლი ამოდის) მობა-  
ვლებე ლამარაჟი საერთოდ ძნევია...  
ძალიან ძნელი... როგორ გთხოსათ...  
სხვამ შეიძლება ეს ვერ გაიგოს, პირა-  
დად მე კი ზოგჯერ ახეთ რამეს წარმო-  
ვიდგნ: თოვლი, ძალიან ოფრი თოვ-  
ლი. ფანჯრის მინებს დაწელები პირ-  
ის, შენ კახში კი სიმყუდროვა. ბე-  
ხარი ღულუნებს. აკვანში ჩვილს ხდინავს  
თბილა...

ნიკო — კედელზე კინვარსკვლავების  
სურათები. ჩეხური ავეგი, იტალიური  
ვლაში...

ნანა — (შლის ნახატს) თქვენისანა-  
ხალში გალწრფელი ლაპარაჟი არ  
შეიძლება!

ელგუგა — მე კი გულწრფელად ვე-  
ოთხულობ — რა არის ამაში ცუდი: ჩე-  
ხური ავეგი, იტალიური პლაში...

ნიკო — ბრაზილიური ყავა და ზის-  
ტება 4-2-4.

ელგუგა — იტალია და ბრაზილია: მე-  
ნი დასაცინი არაა.

ნიკო — წადი ახლა და გაერთიანებულ  
ერებში მიჩივლე!

ელგუგა — შეუნდე, უფალო, რამეთ  
არა იციან, რასა იქმნან...

გურამი — ამინ! (ცარცს აძლევე) ახ-  
ლა შენი ოცნების ჯერია.

ელგუგა — მე ხატვა არ მეხერხება,  
ლექსად ვიტყვა:

დგება თეორი დღეები,  
რიცეცების სეზონი;

განწდენ ორხიდები  
უოვლად უმიზეზონი.

ლაფვარდების კიდეო,  
დაბურულო ზმანებით,

ლურჯო შონტევიდეო

აზრო ხელთაომანებით...

ხათუნა — გალავტიონ ტაბიქა, ტომი  
შეცხადე, გვერდი 135.

ლლაზუჭა — ჯერ არ დამითავრებია.  
მონტევიდეო და რო დე უანერიო...

ნიკო — ნამდვილი ისტავ ბენდერია.

ლლაზუჭა — უნიკობო, თქვენ ოცნებაც  
არ წევეიძლიათ. დახ, გვოგრაფის სა-

ხელმაღალობში წერია, რომ არსე-  
ბობს მონტევიდეო და რო დე უანერი-

ორ... მხედვე ლვარებენ ამ უცხო ქალა-  
ქების ყათაბეჭები და ზღვაც ამ აუზდე-

ნედ იცნებასავით ლურჯო...

ნიკო — ბათუშმი გაზრდილ კაცი ზღვა  
ენატრებოდეს!

ლლაზუჭა — (ხელს ჩაიქნება და ჯდება).

თამარი — შეიძლება, რომ სიტყვა  
შეც რომ ვთქვა?

ხათუნა — ორიც კიდევ ჩემს მაგივ-  
რად დაუმატე.

თამარი — (დაფარებე კითხვის ნიშანს  
ხატავს). აბა ვინ გამოიცნობს, რა არის  
ჩემი ოცნება?

ნიკო — გათხოვება.

თამარი — კიდევ?

დათო — კოსმოსში გაფრენის ხომ არ  
პირები?

თამარი — კოსმოსში კი არა, თბილის-  
შიც არ მიშევებს მარტო დედაქმი.

ხათუნა — თქვი, ბოლოს და ბოლოს,  
რა ვინდა?

თამარი — უმაღლესში მოწყობა.

დათო — შენ სხვა რამე თქვი, უმაღ-  
ლესში ყველა მოვეწყობთ.

ნიკო — ყველა არ ვიცი და შენ კი  
ნამდვილად მოვეწყობი.

დათო — მაინც რატომ?

ნიკო — სერგოს შეილი რომ ხარ,  
იმიტომ. ელგუჭაც მოწყობა, ისიც თა-  
ვისი მამის შეილია.

დათო — შენ მამაჩემს თავი დაანებე.

გურამი — იცოდეთ, საკითხს ნუ გა-  
დაუჭერეთ.

ნანა — ყველას საქმეს შენ რომ  
აგვარებ, საყუთარ თავზე რატომ არა-  
ჯრას იტყვი?

გურამი — რატომაც არა, კაჟუე  
ბავშვობიდან შოტერობა მიტაცებდა, შემ-  
დეგ ფეხბურთის თამაში. ერთხური მუსიკური უკა-  
გუასავით ლექსებსაც ვწერდი... სუ-  
შინიათ, ყველა დახიე, შომომავლობას  
არ უტოვებ... რაზე ვორებობდე? ყვე-  
ლაფერზე — კისმოსხე, უცხო პლანე-  
ტებზე, აღმოჩენელ ფირმულებზე..

ნიკო — მიწაზე ჩამოდი, სკობს, მალ-  
ლა ნუ დაფრინვ.

გურამი — მიწაზეც ბევრია საოცნებო.

ლლაზუჭა — ჩენ თუ ვურევივარო მავ  
ოცნებებში?

გურამი — რატომაც არა. ვოცნებობ  
ნამდვილ მეგობრობაზე, ნამდვილ სიყვა-  
რულზე...

ნიკო — ისევ სიყვარული!

ლლაზუჭა —

უსიყვარულოდ მზე არ სულევს ცის  
კამარაზე,

სიო არ დაჭვრის, ტყე არ კრობა  
სასიხარულოდ,

უსიყვარულოდ არ არსებობს ეგ  
სილამაზე,

არც უკდავება არ არსებობს  
უსიყვარულოდ.

ხათუნა — (გურამის) მოკლედ თქვი, ვინ  
გინდა იყო?

გურამი — ვინ მინდა ვიყო? უმაღ-  
ლესში თუ მოვეწყვე, უსათუოდ მშენე-  
ბელი ვიწენები.

დათო — უცილებლად მოწყობი,  
ღიღი თავი გაქცე.

თამარი — თქვენ იცინით და გურამი  
ნამდვილად მოწყობა, ნიჭიერია.

ხათუნა — შენს აშენებულ სახლში  
მაინც არ ვიცხოვებ.

გურამი — არც შეგეხვეწები.

ნიკო — ყველა მოჩინით ხომ სათქ-  
მელს?

გურამი — ცოტ-ცოტა, მგონი, ყველამ  
თქვა.

ნიკო — აბა ახლა მე მაცალე.

ხათუნა — ვნახოთ ერთი, რას იტყვი  
ასეთ უსაშელოს.

ნიკო — სერიოზულად გეკითხვებით,

თქვენ მართლა ყველა უმაღლესში მოწ-  
ყობას აპირებთ?

თამარი — არა, შენ გიყურებთ.

ნიკო — სკოლიდან პირდაპირ წარ-  
მოებაში წავალთო, ყველა კრებაზე რომ  
ტაში უკრავდით, თქვენ ხომ იყავით  
მაგი?

დათო — კრებაზე ნათქვამი სიტყვა  
გჩერა, შე კაი კაცო?

ნიკო — შენი სიტყვა საერთოდ არ  
მჯერა, მაგრამ მე მაინც სხვა რამეზე  
შტკივა გული: მარტო მე მტოვებთ ქარ-  
ხანში, ხომ?

ხათუნა — მაგი არაფერია, დაუსწო-  
ბელზე ისწავლი.

ნიკო — დიდი მაღლობა ჩემისათ-  
ვის... ისე ბევრი თქვენგანი მოვა ჩემ-  
თან სექტემბერში, მაგრამ ნურას უკაც-  
რავად, არ მივიღებ!

გურაში — შენი ამბავი რომ ვიცი, მე  
კი მიმიღებ უპროტექციონ.

ნიკო — თქვენ ხუმრიბთ და ჩემს  
ქარხანაში მოწყობა იოლი საქმე არაა,  
იქ გაყეთებული გემები უცხოეთში იგ-  
ზავნება.

ელგუჭა — შენ რასაც გეტყიან,  
ყველაფერი უნდა დაიჩერო? უცხოეთ-  
ში გასაგზავნი ჩენთან რა უნდა გააკე-  
თონ.

თამარი — შენ წარმოიღვინე, აკე-  
თებენ.

გურაში — და არა მარტო ნიკოს  
ქარხანაში.

ხათუნა — მამაჩემის ქარხნიდან სწო-  
რედ გუშინ გაგზავნეს მანქანები საფ-  
რანგეთში.

ელგუჭა — შევცდი და მაპარიეთ, ბა-  
ტონი!

ნიკო — კარგად კი უთქვამს კრილოვს,  
„და სულელ კაცს ნუ ეკამათები“!..

ნანა — ეს პუშკინია თქვა.

ნიკო — აბა მე ხომ არ ვიტყოდი!  
თუმცა მაგას არა აქვს მნიშვნელობა,  
მთავარია ამ არისტოკრატის თავში შე-  
ვიდეს... (აჯავრებს) „მონტევიდეო, ვიწ-  
რო ხელთათმანები“...

გურაში — ამ სახეობი დღეს ჩეუბი არ

შეიძლება! (მაყურებლებს) გვაძარები,  
პატივებმულო საზოგადოებავ. ამ აზრ-  
თა გაზიარების შემდეგ, რომელიც უკუკი-  
რესი გულითადობის ვთარებაში შეიძლება  
ნარებდა, დროებით დაგტოვებთ, ჩენ  
ბანკეტზე მიგვეჩარება (სკენის სიღრ-  
მიდან ისმის ძახილი: ბიჭებო!).

ეს ნუგზარი გახლავთ, კაცი, რომელიც  
ყოველოვას იგვიანებს.

ნიკო — ის გვაკლდა სწორედ! რას  
ვუცდით, იოლად მოგვანებს.

ნანა — არა, დაუუცადოთ, სირცე-  
ვილია.

ნუგზარი (შემორბის): ბიჭებო!

ელგუჭა — პო, ჩენ ვართ, რა გაუერ-  
ობს?

ნუგზარი — ხალხი ხართ ახლა თქვენ,  
რატომ არ დამიცადეთ?

გურაში — დაგრაცეთ კი არა, კინა-  
ლიმ დაუწყდით შენს ლოდინში.

ნუგზარი — მაინც რა კრება გეონ-  
დათ?

ელგუჭა — მაგას შენ ვერ გაიგებ.

გურაში — წამო, ნულარ ვაგვიანებთ.

(პირველი გადის გურაში. სცენაზე  
რჩება ნუგზარი, დათო და ელგუჭა).

ნუგზარი — აბა მე ვერ გავიგებ,  
ხომ?... ძალიან კარგი... (პაპიროს იღებს)  
ბოლიში, თქვენ, მგლინ, ეწევით. სკოლა-  
დამთავრებულებს შეუძლიათ თავისუფ-  
ლად გააძოლონ... ინებთ, ეს „ჩესტერ-  
ფილდია“.

ელგუჭა — (გამოართმევს) „ჩესტერ-  
ფილდი? საიდან?

ნუგზარი — გემიდან. იმპორტული,  
ანუ როგორც უცხო სიტყვათა ლექსი-  
კონი განმარტავს, უცხო საქონელია.

დათო — შენ თურმე ლექსიკონებსაც  
კითხულობ.

ნუგზარი — რა მაგის პასუხია და  
მაინც რა თაბბირი გქონდათ, პატივცე-  
მულებო?

ელგუჭა — ჩენს მომავალზე ვლაპა-  
რაკობდით.

ნუგზარი — ოო, ოცნებობთ, არა?  
იოცნებეთ, ბიძიკო, რა გენალვლებათ,  
თავი ქუდში გაქვთ. მე კი შერ ქუდი

მაქეს საშოვნელი, მამაჩემს არ დაუტოვება.

**ელგუჯა** — წავიდეთ, დღეს მაგი რა...  
ლაც შერეკილია (დათო და ელგუჯა გადაინ).

**ნუგზარი** — მომავალზე ვლაპარავობოდ  
ვითომ ხელის გულზე ეხართ ეს მოსავალი... იოცნებეთ, იოცნებეთ! ეს ხეთა/ წელიც გაივლის და ენახოთ შემოწმება/ ფრთხები გამოესხმებათ...

## პირველი ნარილი

პირველი სურათი

ზღვისპირა სკვერი ნავსადგურთან, საიდანაც მოჩანს გაშლილი ზღვა და ნავსადგურის ხედი. მერჩხე მარტო ელგუჯა ზის.

**ელგუჯა** —

ჩეენ გვაწუხებდა მელანქოლია  
და ელეგია ნელი ზვირთების.

ვკ, მონტევიდეო, მონტევიდეო... ცხრა  
მთასა და ცხრა ზღვის იქით არის ასეთი  
ქალაქი. ანლა იქ შუალამეა. კრიალა ქუ-  
ჩებში ანთებულა ლამპიონები. ათასი ნა-  
თურის შუქი იღერება მოსრალე ლი-  
მუზინებზე, კაბარებში უკრავს მუსიკა  
და გაჩირალდნებულ დარბაზში დასრია-  
ლებები წყვილები... დალამებით ჩეენს ქა-  
ლაქშიც ლამდება. ნათურები იქც აინ-  
თებიან, მაგრამ... (აფიშასთან მიღის და  
კითხულობს) „დღეს გემსაშენი ქარხნის  
კლუბში გაიმართება ლექცია თემაზე —  
„მრობის ნაყოფიერება და მისი ამაღ-  
ლების ვზები“. ლექციის შემდეგ კინო-  
ფილმი „ივანე ბროვეინი ყამირზე“.. ეხ,  
ბროვეინ, ბროვეინ! ყოფილხარ შენ მონ-  
ტევიდეოში, ის თეთრი ტანკერი რომ აპა-  
რებს წასვლას, იმ ქალაქში? შენ არც  
ბუენოს-აირესი გინახავს, ალბათ.. ნუ  
კეშინია, არც ჟე მინხავს. მე საერთოდ  
ყამირიც არ მინხავს... უფრო მეტს გი-  
ტავი — მე არ ვმუშაობ. დიახ, უმაღ-  
ლესი დავამთავრე და არ ვმუშაობ. თავი-  
სუფალი შემოქმედი ვარ, ლექსებს ვწერ,  
მაგრამ არ მიბეჭდავენ, ჩეენი დღეების  
შესაფერი არაო... ყამირზე კი, ძალიან  
მიყვარხარ, მაგრამ ლექს ვერ დაგიწერ.  
(ჩქარი ნაბიჯით შემოდის ნუგზარი)

**ელგუჯა** — ოო, ბიზნეს, ბიზნეს, სა-  
ლეტ!

**ნუგზარი** — (ხელს იუწევს)

**ელგუჯა** — საით მიგეჩარება?

**ნუგზარი** — იტალიის ტანკერი ჩამო-  
დეა.

**ელგუჯა** — მაკასინო, მაკარონე, არა?

**ნუგზარი** — მაკარონი კი არა, ნეი-  
ლონის პლაშია. ნაღდი საქმეა.

**ელგუჯა** — არიგებენ?

**ნუგზარი** — ჩემთვის კი.

**ელგუჯა** — ჩემთვის?

**ნუგზარი** — შენთვის ყრუ-მტრნჭთა  
არტელის საწყიმრები იყიდება ყველა  
მაღაზიაში.

**ელგუჯა** — ტყუილად კი არ ამბობლ-  
ნენ ძეველი ბერძნები, უმორი ადმინის-  
ტერიოლშებილებსო.

**ნუგზარი** — სხვა შეკითხვები ხომ არ  
გექნებათ?

**ელგუჯა** — შენ ამ უცხოელებს პირ-  
დად ხედები თუ შუამავალი კაცის როლს  
თამაშობდ?

**ნუგზარი** — შენ კიდევ რა, იქ ხომ არ  
დაგიწყია მუშაობა?

**ელგუჯა** — შეგეშინა?

**ნუგზარი** — სიმართლე ვითხრა, შენ-  
სავით ლექსებით მოლპარავე ხალხის კა  
მეშინია.

**ელგუჯა** — ნუ გეშინია, ჩეენ საერ-  
თო ენას გამოენავთ... ახლა სანამ წახ-  
ვიდოდე, „ქამელი“ მომაწვევინე.

**ნუგზარი** — „პრიმაც“ რომ მთხოვო,  
ისიც არ მაქვს.

**ელგუჯა** — შენ, ალბათ, მარტო დო-  
ლარებზე ვაჭრობ.

**ნუგზარი** — დოლარი კი არა, ვაფ-  
ხევილი ვარ, მაგრამ ლმერთია მოწყალე-  
ო, კეი! (გადის).

**ელგუჯა** — კაცი, რომელსაც ცხოვ-  
რებაში გარკვეული მიზანი აქვს, საქმე  
უშოვია... აბა ჩემსავით მეოცნებე ხომ  
არ იქნება? მისთვის მონტევიდეო და

ბუენოს\_აირესი მხოლოდ და მხოლოდ სარეკლამო იარღიყია. ისე ჭკვიანი კაცია, ვერ წაართმევ. არც ქარხანაში მუშაობს, არც ლექტივზე დადის, ხელობა ვერაფერი შეილი აქვს, მაგრამ ფულს კი აკეთებს... რას იტყვი შენ ამაზე, ჯარი\_კაცო ივანე ბროვკინი? ვიცი, არ მოგწონს, არც მე მომწონს, მაგრამ რას იზამ! (აკვირდება). ოპო, ჰორიზონტზე უცხო ქალიშვილი გამოჩნდა. უცხო კი არა, ნანაა. ნერავ საით გაუწევია?.. ერთი წუთით (ეფარუბა ჭიხურს).

(შემოდის ნანა და ჭიხურთან დგება. საათს დასტერის. შემდეგ ბოლოს სცემს. ელგუჯა გამოდის).

ელგუჯა — ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი, ასეთი ცისფერი...

ნანა — ოო, ელგუჯა, გამარჯობა! კი-ლევ ცისფერი იცნებები, არა?

ელგუჯა — ახლა რომ გვითხოთ, რაზე ჟეწუხებულხარ\_მეოქი, ხომ იქნება უხერხეული?

ნანა — მე რომ გვითხრა, ავტობუსს ვუცდი\_მეოქი, დამიკერებ?

ელგუჯა — მე რომ არ მიცდი, ეს ცხალია.

ნანა — (საათს დასტერის).

ელგუჯა —

საოცნებო ქალის ეშნი  
მოვა, მაგრამ როდის,  
სიყვარული სიცოცხლეში  
მხოლოდ ერთხელ მოდის.

ნანა — მე ასეთი ლაპარაკის საბაბი არ მომიცია.

ელგუჯა — ვიცი.

ნანა — ისიც გაცოდინება, ვის ვეღოდები?

ელგუჯა — გემაშენი ქარხნის კომუნისტური შრომის სახელისათვის მებრძოლი ბრიგადის წევრს გურამ თორასეს.

ნანა — კიდევ?

ელგუჯა — კიდევ ჩემს მეგობარს გურამ თორასეს... ტრადიციული სამუთხედი შეიკრა. არადანი მე, არჩევანი შენ: ვისი სული გურს?

ნანა — გურამის.

ელგუჯა — ორს გამოვაკლოთ ერთი

უდრის ერთი. დიდი მაღლობა, მაგრამ სანამ გურამი მოეიღოდეს, მე ზოგიც გართობით.

ნანა — მაინც როგორ? გილავისობის ელგუჯა — ლექსის წაგიდითხავთ.

ნანა — (იცირება საწინააღმდეგო მხარეს) პოეტო, შეეგიძლიათ დაგატოვო.

ელგუჯა — მივღივარ, მაგრამ იცოდე, მაღლობა ჯერ არ გადაგიხდა.

(გადის, შემოდის გურამი)

ნანა — (ზურგს შეაქცევს). გურამი — დამნაშავე ვარ და ბოლიშს ვიხდი.

ნანა — (საათზე უჩენებს)

გურამი — შევრიგდეთ.

ნანა — რომ მერე ისევ გავიბუტოთ, არა?

გურამი — და ისევ შევრიგდეთ.

ნანა — ნუთუ არ მოგებეზრდა?

გურამი — რა უნდა მომგებეზრდეს?

ნანა — ეს გაბუტვა და შერიგება, ეს პარმანები... „ღლეს კინში წავიდეთ“, „ხეალ რა საათზე დაგელადები“. ხან მე ვიგვიანებ, ხან შენ... ერთი და იგივე, ერთი და იგივე...

გურამი — არ მესმის.

ნანა — მე კი ძალიან კარგად შესმის. „დაუსწრებელს დავამთავრებ. ორთახი\_ან ბინას მოვაცემენ. საკუთარი ლოჭია გვექნება“.

გურამი — კიდევ?

ნანა — კიდევ... კიდევ მე დავიღალე, გესმის, დავიღალე! მომგებეზრდა ამდენი სიარული, სახლში ჭომა მინდა, ჩემი პატარა კუტხე...

გურამი — თოვლი, ძალიან თეთრია თოვლი... ოთხში ბეხარი ინთაა...

ნანა — დია... ეს ხუთი წლის წინათ ითქვა, გამოსაშევ სალამოზე.

გურამი — როცა სიხარულით მეცხრე ცაზე ვფრენდით და ცხოვრებას ვარ\_დისფერი საოვალით ვუცემორდით.

ნანა — შემდეგ ხუთი წელი გავიდა.

გურამი — ხახამ უმაღლესი დამთვარა, დათომაც, ელგუჯამაც... ზოგი კიდევ გემოლებზე ჩაიჭრა და ქარხანაში დაიწყო მუშაობა.

მაგრამ უანამ გადაწყვიტა თავი ისე დაეშირა, ვითომ არაუერი იცოდა, გული დაეჩშო წარმავალ შეფისებათაგან და ჰყვარებოდა მხოლოდ პოლი და მშობლები, სხვებს კი ფორმალური მოთმენით მოპყრობოდა.

როგორც კი შინ დაბრუნდა, უანა თავის შვილს მივარდა, წაიყვანა ოთახში და თითქმის მოელ საათს შეუჩერებლივ გირვეთ კოცნიდა.

ურლიერი სადილობისას დაბრუნდა, მოშხილავი და მოლიმარი, მეტისმეტად თავაზიანი. მან იყიდა:

— მამა და დედიკო არ ჩამოვლენ წელს?

უანას ისე აუჩვილა გული ამ ქათინაურმა, რომ ქმრისადმი მაღლობის გრძნობით გაიძის გალა და თითქმის აპატია ის, რაც ტყეში გაიგო. უცბად იგი შეიძყრო ძლიერმა სურვილმა: რაც შეიძლება მალე ენაზა პოლის შემდგე ყველაზე საყვარელი ორი ადამიანი: მოელი სალამზ უანა წერდა ბაროთ და ევერებოდა მათ მალე ჩამოსულიყვნენ.

მშობლებმა უპასუხეს, ცო მაისს ჩამოვალოთ, იმ დღეს კი მშოლოდ შვიდი მაისი იყო.

უანა მაც სულ უფრო მოუთმენლად ულოდა, თითქოს გარდა მშობლიური სიყვარულისა, სურვილი აღძერილეს თავისი დარდებ განდო კეთილშობილური გულისათვის, გულწრფელად ესაუბრა წმინდა, სისაძაგლით შეუბლალავ

ადამიანებთან, რომელთა სიცოცლე და ყველა საქციელი, ყველა ფიქრო ეჭურუს უზულებელი ვილი მუდა აღაღმართალი იყვალებოთ ისე.

სწორები ახლა გრძნობდა უნა თავის სრულ მარტობას ამ გულამ ცეცა ადამინებს შორის და, თუმცა იგი ერთხაშად მიეჩვა თვალომაქციობას, თუმცა ღმილით ხელს უწევიდა ჩამოსართმევად გრაფის მეუღლეს, მასში მაინც იზრდებოდა, მთლიანად მოიცავდა მას სიცარიელის შეგრძნება და ადამიანების ზიზღმი. მისი კუთხის ყოველდღიური პატარატარა ამბებიც უძლიერებდა კულში ადამიანის მოდგმის უპარეზეც მულობას.

კუიარების ქალიშვილს ბავშვი შეეძინა, ქორწილი კი წინ იყო: მარტენების ობოლი მოახლო ფეხმძმედ იყო: მეზობლის თხუთმეტი წლის გოვნა დღედღეზე ელოდა მშობიარობას; საწყალი ქვრივი, კოჭლი და ტურტლიანი, რომელსაც სამინელი უსუფთაობისათვის ფეხთხმი შეაჩვეს, აგრეთვე ფეხმძმედ იყო.

ყოველწუთში მოღიოდა ხმები ახალ ფეხმძმიობაზე, ან რომელიმე ქალიშვილისა თუ გათხვოლი ქალის, რჯახის დედის, ან კიდევ შეძლებული, საპატიო ფერმერის სატრფიალო ინების შესახებ.

ამ შმაგმა გაზაფხულმა, როგორც ჩანს, ადამიანებშიც ისევე აადულა სასიცოცლო წვენი, როგორც მცენარეებში.

უანა კი, რომელსაც აღარ ათრთოლებდა ნაადრევად ჩამჭრალი გრძნობები, მხოლოდ ჩამყვდარი გულითა და სენტიმეტრულების სულით ემატურებოდა გაზაფხულის თბილ და ბარაქიან ქროლვას. და მიტომაც ფიქრებით გალიზანებულ მოოცენებებს, აგზნებული, ხორციელი ეინისათვის თავისიდა უნებლივთ გაყინულ უანას აცვიფრებდა, გულს ურევდა, ეზიზლებოდა ეს პირუტყვული საქციელი.

ახლა უანას აღაშფოთებდა ცოცხალ არსებათ შეულლება, როგორც არაბუნებრივი რმ; და თუ ეილბერტას ესაყველურებოდა, იმიტომ კი არა, რომ მან ქმრი წართვა, არამედ თვით იმ ფაქტის გამო, რომ სხვების მსგავსად ისიც ამ საქვეყნო

წუმპეში ჩავარდა.

იგი ხომ არ ეკუთვნოდა გაუთლელთა შთამომავლობას, რომლებსაც დაბალი ინსტინქტები ამოძრავებოთ, როგორ შეეძლო მას ამ ქმნილებებს დამსგავსებოდა?

სწორედ იმ დღეს, როცა ეანას მშობლები ჩამოლიონენ, ულიინგა კიდევ უფრო გააღვივი მასში ეს ზიზღი. მან მხიარულად მოუთხრო ეანას, როგორც სავსებით ბუნებრივი და თავშესაცევი რამ, თუ როგორ გაიგონა მეფუნთუშემ რაღაც ფაჩჩი ღუმელში. რაკი ცხობის დღე არ ცყო, მეფუნთუშემ გაიფიქრა, ესა მაწანწალა კატა დავიჭირეთ და თავის ცოლს კი წაწყდა, რომელსაც პურის შეწყობის დარღი სრულებით არ ჰქონდა.

და დაუმარა:

— მეფუნთუშემ დაკეტა ღუმელის კარი და ისინი შიგ გამოიგულებოდნენ, მეფუნთუშის ბიჭს რომ არ შეეტყობინებინა მეზობლებისათვის. მან დაინახა როგორ შეძრა ღუმელში ღედამისი მცედელობან ერთად.

ეულიერი იცინდა და თან იმეორებდა:

— სიყვარულის პურს გვაჭმევენ ეს მასხარები. ნამდვილი ლაფონტენის არა-კია.

ამის შემდეგ ეანა პურს არ ეკარებოდა. როცა საფოსტო კარეტა პარმალთან გაჩერდა და ეტლის ფანჯარაში ბარონის კეთილი სახე გამოჩნდა, ახალგაზრდა ქალს სული და გული ისე აუღელდა, ისე მოიცა სიყვარულმა. როგორც არასოდეს წინათ.

მაგრამ დედიკო რომ დაინახა, იქვე გაშეშდა და ისე შეირწყნდა, კინალმ გრძნობა დაკარგა. ბარონის მეუღლე ზამთრის ამ ექვს თვეში ათი წლით დაბერებულა. გაბირინებული, დამჭერარი და ჩამოვარდნილი ლოყები გაწითლებოდა, თთქმის სისხლს გაეკინოთ; თვალები ჩაქრობდა; მოძრაობა მხოლოდ მაშინ შეეძლო, თუ ორივე მასაჩში შეუდგებოდნენ. დედიკოს მძიმე სუნთქვა

ხრინწიანი გამხდარა და ისე გამოილებული, რომ მახლობლებს მწარედ გადასულდა მისი გაონება.

ბარონი ყოველდღი ხელისუფლების კუნძულის ამ რღვევას, ხოლო როცა მისი მეუღლე განუწყვეტილ სულისხუთას და მზარდ გასუქებას უჩიოდა, იგი უკასუხებდა: „ო, არა, ძვირფასო, რაც გიცრობთ, მუდამ ასე იყავთ“.

ეანამ მშობლები მათს საძინებელში მიაცილა, თვითონ კი საკუთარ ოთახში განმარტოვდა, რათა გამოეტირა თავისი ძრწოლა და სასოწარკვეთილება. შემდეგ მამა მძებნა და თვალცრუმლიანი გულში ჩაეკრა:

— ღმერთო ჩემთ! როგორ შეიცვალა დედა! რა დაემართა, მითხარი, რა დაემართა?

ბარონს ძლიერ გაუკვირდა და უპასუხა:

— შენ ასე ფიქრობ? რას ამბორა? სრულებითაც არა. მე ყოველთვის მასთან ვარ და გარწმუნებ, ვერავითარ უარესობას ვერ ვხედავ, ისევ ისევ, როგორც ყოველთვის.

საღმოს უულიენნა უთხრა ცოლს:

— იცი, დედაშენი ძლიერ ცუდადა. მე მგონი, აღსასრულს უახლოვდება.

და რადგან ეანა აქვითინდა, იგი გაბრაზდა:

— კარგი, გეყოფა, მე არ მითქვამს სულს ღაფას-მეტეი. შენ ყოველთვის საშინლად აჭარბებ. იგი შეიცვალა, ეს არის და ეს. ევ ასაკის ბრალია.

ერთი კვირის შემდეგ ეანა დამშეიდა, იგი შეეჩვა დედამისის ახალ გამომეტყველებას და, უახველია, შეეცადა კიდეც ერთგარი ეგოისტური ინსტინქტით ჩაეხშო თავისი შიში, როგორც სულიერი სიშვიდის შენარჩუნების ბუნებრივი მოთხოვნილების გამო ვაშშიბია და უუცვაგდებთ ხოლმე მ.იახლოებულ საფრთხესა და მღელვარებასა.

ბარონის მეუღლეს სიარულის თავი აღარ ჰქონდა და დღეში მხოლოდ ნახევრა საათს სეირნობდა. საკმარისი იყო ერთხელ გაივლო „თავის“ ხეივანში, რომ განძრევაც არ შეეძლო და „თავის“

სკამზე ჭდებოდა. ზოგჯერ იგი, ძალა-გამოცილი, ხევნის ბოლომდე ვერ მიღასლად და მშპდა:

— დღეს კარა. ჩემი ჩიპერტროფისა-ვან ფეხები მეცეცება.

იგი თითქმის აღარ იცინდა და მხოლოდ იღმებოდა იმაზე, რაც შარშან მასში გულიან ხარხას იწევედა. მაგრამ მხედველობა ჩინებული ჰქონდა და მთელ დღებს ატარებდა ლიმარტინის „კორინას“ ან „ფიქრების“ კითხვაში. შემდეგ მოითხოვდა, „მოგონებების“ ყური მომიტანეთო. იგი მუხლებზე გადმოიყრიდა შეკველი, მისთვის ძეირფას წერდებს, ყუთს იქვე გვერდით სკამზე დადებდა, თვითეულ მათვანს ყურადღებით გადაიკთხავდა და ისევ აწყობდა შეგ ერთი მეორეზე თავის „რელიგიებს“. როცა მარტო იყო, სულ მარტო ზოგიერთ მათვანს კოცნიდა, როგორც მალულად კოცნიან ხოლმე განსაუთოებით ძეირფას მიყვალებულთა თმებს.

ზოგჯერ უანა მოულოდნელად შედიოდა დედიკოსთან და შეესწრებოდოდა, როცა იგი ტიროდა, ცხარე ცრემლებს ლერიდა.

— რა მოგივიდა, დედიკო? — შეშფოთებით კითხებოდა იგი.

ბარინის მეცდლე ღრმიდ ამოიხრებდა და შემდეგ უბასუხებდა:

— ეს ჩემი რელიგიები მაღლებებს ასე. ზოგჯერ იგონებ ისეთ რამეს, რაც ესოდენ სასიამოვნო იყო და რაც სამუდმოდ გაქრა! ათამიანები, რომლებშეც დიდი ხანია აღარ ფიქრობ, ერთ შევენიერ დღეს უცად გაგახსნდება, თითქოს ხედავ მათ, გემის მათი ხმა. ეს კი საშინალად მაღლებებს. ოდესაც, იმას შენც გამოცდი.

როცა ბარინი წაესწრებოდა მათ ასეთი მელანქილიის წუთებში, ქალი-შვეიც წასჩურჩულებდა:

— უანა, ჩემო ძეირფასო, დამიგერე, დწვი წერილები, სულ კულა, დედა-შენის, ჩემიც, კველა უკლებლივ. ირა-ფერი არ არის იმაზე საშინელი, როცა მოხუცებულობისას ცხვირს ჰყოფ იხალ-გაზრდობის წლებში.

თუმცა უანა სრულებით არ ჰყავდა დე-

დას, მაინც ემორჩილებოდა შეორენი სენტიმენტალობის მემკვიდრეობით, ის-ტინქტუს და ინახევდა წერილებულების გერმანული ბდა თავისი „რელიგიების ყუთება“.

რამდენიმდე დღის შემდეგ ერთი საქმის გამო ბარინს გამგზავრება მოუხდა. შესაძიშვავი ამინდი იგდა. მოუკუთფეთე, მნათობებით განათებული თბილი ღმევები მშვიდ საომოებს მოსდევდა, მოწმერდოლ საღმოობა კი კაშაშა დღებს, კაშაშა დღები — გაბრწყინებულ გარიყრავებს. მალე დედიკომ თავი უკეთ იგრძნო, ხოლო უანას და-ვეიშუდა უცულინის გატაცება და უილბერტის კერავიბა და ოთქმის ბეღნიერი იყო. კულაფერი ირგვლივ ჰყვაოდა და სურნელების აფრძვევდა. მუდმწნარი და უკიდურესონ ზღვა დილიდან საღმომდე ლევარებდა მხებე.

ერთხელ შეადლისს უანამ პილი ხელში იყვანა და მინდვრად წაეიდა სასეირნოდ. იგი ხან თავის შეიღს უკურებდა, ხან კვავილებით ატრელებულ ვზისცირა ბალას და ბეღნიერებისაგან გული ელეოდა. ყოველწუთში კოცნიდა ბაგშეს და გაშმაგებით იკრავდა გულშა. მინდვრების თბილ სურნელებაში რომ გახეცია, მას ძალა გამოეცალა, უსაზღვრო წერტებით გაირინდა და პოლის მომავლზე დაიწყო იცნება. ვინ იქნება იგი? ხან სურდა, რომ იგი გამხდარიყო ღიღი კაცი, სახელმოვანი და გავლენიანი. ხან ერჩია, რომ იგი უსახელო დარჩენილიყო და მასთან ეცხოვდა, როგორც ურთგულ და დედის მოამავე შეიღს. როცა უანას ბავშვი დედის ეკო-იტური გულით უყვარდა, უან იცნებოდა, რომ მას დაეცავებინა დედის გულშა. მინდვრების თბილ სურნელებაში რომ

გახეცია, მას ძალა გამოეცალა, უსაზღვრო წერტებით გაირინდა და პოლის მომავლზე დაიწყო იცნება. ვინ იქნება იგი? ხან სურდა, რომ იგი თვეისოვის შეენარჩუნებინა, მხოლოდ თავისითვის; მაგრამ როცა იგი ფიცხი გონებით უყვარდა, უან იცნებოდა, რომ მას დაეცავებინა ღირსეული აღგილი ამეცეცნად.

უანა გზის პირას ჩამოგდა და შეიღს

ერთა წვერები და ბოხი ხმით ილაპარაკებს.

შორიდან ვიღოცამ დაუძახა. უანამ თავი ასწია. მარიუსი მორბორა. უანამ გაიჭირა, რომ სტუმრები ელოდნენ და კუმაყოფილოდ ადგა, რადგან ხელი შეუზალეს. მაგრამ ბიჭი რაც ძალი და ღრენე ქონდა მორბორა და, როცა საქმაოდ რეუახლოვდა, დოიყვირა:

— ქალბატონო, ბარონის მეულლე ძაღლი ცუდადა.

თოქოს ყინულოვანი წყლის ნაკადმა ჭარბინა ზურგში, თავგზაბნეული უანა წინ გაიქცა.

მან შორიდან შენიშვნა კადრის ქვეშ წეგვუფებული ხალხი, იგი იქითვეს გაიქცა: მას გზა მისცეს და დანახა მიწაზე კატიმული დედიკო, რომელსაც ორი ხალხში უმაგრებდა თავი. სახე გაშავეოდა, თვალები დაეცეპა. მექრდი კი, რომელიც ოც წელიწადს მძიმედ ქოშინებდა, აღარ იქროდა. მიძამ ხელიდან გამოსტაცა უანს ბავშვი და წაიყვანა.

დაბნეული ერთა კითხულობდა:

— რა მოხდა? როგორ დაეცა? წავიჟეს ვინმე და ექიმი მოყვანის.

როცა შემობრუნდა, დანახა მოვდელი, რომელსაც უკვე გაეგო ეს ამბავი და ბოლცისანებ ღიღი მზრუნველობა კომინიჩია. სჩქაროდ დაიყაბიწა ანაურის სახელობი, მაგრამ არც მარშა, არც ოდეკოლონმა, არც ტანის დაზელო არ უშველო.

— საჭირო ტანსატელი გახხადოთ და ლუგინში ჩავაწეინოთ. — თქვა მან.

მოეიდნენ ფერმერი უოზეფ კუირი, ნიძა სიმონი და ლუდიკნა. შოთლარ ჭიკოს დახმარებით ისინი შეეცდნენ ვადაეტანათ ბარონის მეულლე, მაგრამ როგორც კი წამოსწიეს იგი, თავი უკან ვადაუვარდა, ხოლო კაბა, რომელსაც ჩაებლაუჭინენ, დაიხა, იმდენად ძნელი ვახდა მისი მძიმე ტანის დაძვრა აჯგილიდან. მაშინ უანამ შიშით შეჰყვარა უა ისევ მიწაზე დადეს ვეებეროელა ჭონდლ სხეული.

საჭირო გახდა სასტუმრო დარბაზილან სავარელი მოეტანათ, შიგ ჩაეჭინათ და

ამრიგად აეწიათ იგი. ნაბიჯ-ნაბიჯ ნერნეს იგი პარმალზე, შემდეგ სასახლის კიბეზე და ბოლოს ლოგინზე უკუკუტებულენ თუმცა მზარეულმა ქალმა ჰერციკის შუმაც დაილია. ტანე ვერ გახადა, მაგრამ ღროზე მოუსწრო დანტიუს ქვრივმა, რომელიც ისევე მოულოდნელად მოვიდა, როგორც მღვდელი, თოთქოს მათ, როგორც მსახურები ამბობდნენ, „ყნოსვით იგრძნეს მიცვალებული“.

უოზეფ უიარმა ექიმის მოსაყვანად მოკურცხლა, მღვდელმა კი მოინდომა ზიარება მოეტანა, მაგრამ მომვლელმა ქალმა უყრძი ჩაუჩურებულა:

— ნურარ სწუხდებით, ბატონო, დამერწმუნეთ, მან უკვე დასტოვა ეს ქვეყანა.

გაგუებული ეანა ყველას ეველუ-ბიდა, სრ იცოდა, რა ექნა, რა ეღონა, რა საშუალება ეხმარა. მღვდელმა, ყველი შემთხვევისათვის, წარმოთქვა ცოდვასა შესანდობარი.

ორი საათი იცადეს ამ გალურვებულ და უსიცოცხლო სხეულთან. დაჩიქილი უანა ქვითინებდა, შიშითა და მწუხარებით მოცული.

როცა კარი გილო და ექიმი გამოჩნდა, უანას მოეჩენა, რომ მოვიდა თვით შეელა, ნუგეში, იმედი. იგი მიგარდა ექმის და ანეცულად მოუცვა ყველაფერი, რაც იცოდა მომზდარ ამბავში:

— იგი სეირნობდა, როგორც ყოველდღე... თაგი კარგად გრძნობდა... ძალიან კარგადაც... საუზმეზე ბულონი და ორი ცერცხი ჭამა... და უცერიდ დაეცა... მთლიან გაშავდა, როგორც ხელით... და მერე აღარ განჩეულა... ჩენ ყველაფერი ვცადეთ მის მოსასულიერებლად... ყველაფერი, ყველაფერი.

უანა გლეგახეჭილი გაჩუმდა, რაკეთანახა, თუ როგორ მალულად ინშნა ექიმს მომვლელმა ქალმა, ყველაფერი გათავდაო. უანას არ სურდა დაეჭერებენა და შეშინებული ერთსა და იმავე შეკითხვებს იძლეოდა:

— ეს საშიშია? როგორ ფიქრობა, მიმიე მღვმარეობა?

ექიმმა ენის ბორბიკით უპასუხა:

— ეშიშობ, ძლიერ ეშიშობ, რომ ეს უნდა იყოს... უნდა იყოს... აღსასრული. ვაჟაუცობა გმრთებთ, დიდი ვაჟაუცობა. უანამ ხელები გაშალა და დედამისის გვამს დაეცა.

ამ ძროს ეულიენი დაბრუნდა. იგი განცვითტებული და აშეარად შეწუხებული იყო, მაგრამ ერთი წამოძიხილითაც კი არ გამოუხატავს არც მწუხარება, არც ჭმუნვა, რადგან მოულოდნელობისაგან ვერ მოასწრო გამოეთქვა მდგომარეობის შესაფერისი გრძნობა. მან ჩაილაპარაკა:

— ამას ველოდი, ვგრძნობდი, რომ ეს აღსასრული იყო. — შემდეგ ამოიღო ცხეირასხოცი, მოიწმინდა თვალები, დაიჩოქა, პირჭვარი გადაიწერა, რაღაც წაიღლუნა და ადგა. მოინდომა ცოლის წამოყენებაც, მაგრამ ორივე ხელი უანას მაგრად მოეხვია მიცვალებულისათვის, თითქმის ზედ აწვა და კოცნიდა. საჭირო გახდა მისი იქიდან გაყვანა, იგი გიეს ჰგავდა.

ერთი საათის შემდეგ უანას ნება დართეს ისევ შესულიყო იქ. იმედის ნიშანწყალიც აღარ იყო. საძინებელი ოთახი მიცვალებულის ოთახად იქცა. ულიენი და მღვდელი ფანჯარასთან ჩურჩულებდნენ. დანტიუს ქერივი მოხერხებულად იჯდა სავარეულში და ტებილად ჩაძინებულს ჰგავდა. იგი მიჩვეული იყო ღამისთვის და თავს შინაურად გრძნობდა ყოველ სახლში, როგორც კი იქ სიკვდილი შეაბიჯებდა.

ღამდებოდა. მღვდელი უანასთან მივიდა, აიღო მისი ორივე ხელი და დამშვიდება დაუწყო. იგი უხვად აფრქვევ-

და ამ უნუგეშო გულს რელიგიურ მოლის დამამებელ იმედებს. ლაპარაკობდა განსცენებულზე, აღილებული შესატებულის გამოთქმებით შემდეგ უცნებელ მღვდლისთვის ჩვეული წუხილი, რომლისთვისაც ცხედარი სარგებლობა მხოლოდ. მან შესთავაზა ღამის გატარება მიცვალებულთან ლოცვანის კითხვაში. მაგრამ უანამ, რომელიც გულამომჯდარი ქვითნებდა, უარი თქვა. მას უნდოდა მარტო, სულ მარტო დარჩენილიყო თავის დედასთან ამ გამოთხვების ღამეს. მაშინ მასთან უულიენიც მივიდა.

— კი, მაგრამ ეს შეუძლებელია. ჩეენ აქ ერთად ვიქნებით.

უანას ლაპარაკი არ შეეძლო და უარის ნიშანად თავი გააქნია. ბოლოს მას თქვა:

— ჩემი დედაა, ჩემი. მე მინდა მარტო გავატარო მასთან ღამე.

ექიმმა ჩაიჩურჩულა:

— გააკეთოს, როგორც სურს. მომელელ ქალს შეუძლია დარჩეს შეზობელ ოთახში.

მღვდელი და ულიენი დაეთანხმნენ და თავისი საწოლისათვის დაწყებულებულვა. შემდეგ, თავის მხრივ, მოძვარმა პიყომ დაიჩოქა, ილოა, წამოდგა და გასვლისა იმავე ტონით, რომლითაც ამბობდა „Dominus vobiscum“, თქვა:


— წმიდანი ქალი იყო.

მაშინ ვიკონტმა ცოლს თავისი ჩვეულებრივი ხმით ჰქითხა:

— ეგებ კამ რამე?

უანამ არ უპასუხა, არც კი გაუგონა, თუ მას მიმართეს.

(გაგრძელება იქნება)



## სახაჲათინ ალი

### ჩვენ ასე დაგვებედა

ხმა ვერ ვაწვდინე სულის სწორს,  
გზას შერჩა თვალთა ხედვა,  
ეს მიწიერი დელვანი  
ჩვენ ასე დაგვებედა.

ვერ გაიშალოს ვარდებმა,  
კვირტებში ცრემლი ედგას.  
ალარასოდეს ვიცინით,  
ჩვენ ასე დაგვებედა.

სვებედითობამ აგვიკლოს,  
დაგვიწვას თვალთა ხედვა,  
სატრფოო, სხვისი ყოფილხარ!  
ჩვენ ასე დაგვებედა.

ვიცი, გლახეულო, ამ ლამით  
არ დაგაძინებს სევდა,  
მოლი ვიყუჩოთ ორივემ —  
ჩვენ ასე დაგვებედა.

### რად არ ჯერდები

სატრფო მოვიღებს ბოლოს,  
აგრე რად სულწასულობ,  
ცეცხლიც ჩაქრება გულში,  
რად არ ჭერდები, გულო.

აგრე ტრფიალმა იცის,  
აზრი წაგართვა, სულო,  
გამოგიყვანა ხალხში,  
რად არ ჯერდები, გულო.

როგორ გაგიძლო, როგორ,  
შენ ჩემო საყვარელო,  
დამწვარი ისევ დამწვი,  
რად არ ჯერდები, გულო.

## ვერ გამაბეჭდა

მე შენი ნახვა მყოფნიდა,  
თვალი გიცქერდა ლხენით.  
ახლა, ამ უცხოობაში  
ხმაც მომენატრა შენი.

შინ ჩაიკეტე, თუ გარეთ  
გშვენის ღიმილის ფეოჭვა,  
სხვას მიეკუთვნე იქნების,  
„ჩემი ხარ“ — ვეღარ მეთქვა.

თითქოს კისკისი მომესმა,  
ცრემლით ამევსო თვალი,  
ვერ მივიხუტე ერთხელაც  
შენი ხუჭუჭა თავი.

შენ ჩემი გული იცოდი,  
ზურგს რად მიჩვენებ ნერავ,  
ვის ღაუტოლე სურვილი,  
კოცაც ვერ გამემეტა.

## სატრფოვ, ვერ დაგივიწყევ

შენით მოშხამულ გულში  
ტრფობა ვერ დავიმიწე.  
გული კვლავ შენკენ იწევს,  
სატრფოვ, ვერ დაგივიწყევ.

შეხე, გამაღნო სევდამ,  
გული კვლავ შენთვის მიცემს.

რა რიგად მყვარებიხარ,  
სატრფოვ, ვერ დაგივიწყევ.

ჩემი არსების ძლევას  
თითქო გონება იწყებს,  
დამვიწყებოდი მსურდა,  
სატრფოვ, ვერ დაგივიწყევ.

თურქულიდან თარგმნა ნანა გვარიშვილშია.



## რევაზ ქომახიძე ჰეიდერ აბაშიძის ხსოვნას

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ დღეს სამუდამოდ ვეთხოვებით ჰაიდარ აბაშიძეს.

ჭეშმარიტად დიდია გულის ტკივილი, რომელიც ამ კაცის დაკარგვამ გვატებუნა.

ჰაიდარ აბაშიძე იმ გულწრფელ მოლვაშეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც საკუთარი ცხოვრების მიზნად თავისი ქვეყნისა და ხალხის ერთგული სამსახური დაისახეს და ამით თავისი სახელი თვითონვე უკვდავ-ყვეს.

ჰაიდარ აბაშიძეს იმ დროს მოუხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა, როცა სამხრეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში შევბნელი რეაქტია მძვინვარებლა. მისი სახელი ყველაზე ცნობილი სახელია იმათ შორის, ვინც საკუთარი გულით ატარა უკუღმართი ბედით გამოწვეული მშობლიური აჭარის ტკივილები, ვინც ბრძოლითა და ხითათით სავსე ცხოვრება განვლო, რათა აჭარა სულიერად საქართველოსთან შემოერთებინა.

კლასობრივი, ეროვნული და რელიგიური ბრძოლების მძიმე პერიოდში, კურ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, ჰაიდარ აბაშიძემ თავისი მოლვაშეობა მჭიდროდ დაუკავშირა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. თავის მომხრეებთან ერთად მან ცხოვრების მიზნად მიიჩნია დედა-სამშობლოსთან სამხრეთ საქართველოს და მასში შემავალი აჭარის დაბრუნება და მისი ქართულ ეროვნულ ნიადაგზე ოღონძინება. მთელი მისი სიცოცხლე ჰაიდარმა ამ კეთილშობილური საქმის სამსახურს შეალია.

ჰაიდარ აბაშიძემ ბევრი საინტერესო ფურცელი შემატა საქართველოს ისტორიას, თავისი შინაარსიანი წერილებით სინათლე მოფინა აჭა-

\* სიტყვა, წარმოთქმული საქართველოს მწერალთა კავშირის სისახლეში ჰაიდარ აბაშიძის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო შიტინგზე 1966 წლის 4 იანვრს,

რის ცას, რომელიც სამი ასეული წლის მანძილზე წყვდიადით ჩყო ჩაფა-  
რული. მას აღაფროვანებდა იმის შეგნება. რომ აჭარამ გაუქმდება გა-  
განსაცდელს, იმ სამი შავბერელი საუკუნის განმავლობაში ცეცხლში გა-  
მოატარა თავისი ეროვნული მრწამისი და შეგნება, თავისი ყოფისა და  
ცხოვრების თანდაყოლილი ეროვნული ნიშნები და იქრი.

თავის ადრინდელ სტატიებში პაიდარ აბაშიძე გულისტკივილით  
წერდა, თუ როგორ გათელეს ფეხქვეშ თურქმა დამპყრობლებმა აჭარელ-  
თა თავისუფლება, როგორ მიიტაცეს ეს მშვენიერი კუთხე, როგორ დაუნ-  
გრიეს და შეუბილწეს მას ეროვნული ძეგლები, როგორ ხელიდან გამოს-  
ტაცეს და დაუწევს მას ქართული წიგნები, როგორ აუკრძალეს დედაენა-  
ზე ლაპარაკი, წერა და კითხვა, როგორი ცეცხლითა და მახვილით წაართ-  
ვეს საკუთარი სარწმუნოება.

ქართველი ერის გრძელი და ურთულესი ისტორიის გზაზე უველაზე  
უფრო მძიმე და თავისატეხი საქმე იყო ქართველი ტომებისა და სხვალა-  
სხვა მხარეთა ერთიანობა, მათი მთლიანობა. ამ დიდი ასპარეზის ერთეულ-  
თი მგზნებარე პატრიოტი, მებრძოლი მოღვაწე პაიდარ აბაშიძე გახლდათ.  
იგი ურყევი შეგნებითა და შემართებით, წარბშეუხელად, გაუტეხლად  
იდგა სადარაჯოზე და მისი ყოველი სიტყვა მაცოცხლებელი ძალით უდერ-  
და ყველა ქართველის გულში, მთელ ქართულ სამყაროში.

პაიდარ აბაშიძის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველა  
ახალ წამოწყებასთან. იგი სათავეში ედგა და თავგამოდებით იბრძოდა  
აჭარის ეროვნული გამოღვიძებისათვის, მისი დაბექავებული ხალხის მა-  
ტერიალური და სულიერი ამაღლებისათვის. მაგრამ მარტო აჭარის ბედი  
როდი ამოძრავებდა პაიდარი აბაშიძეს. იგი თანაბარი გულისტკივილით  
წერდა სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეებზეც, მისი ოცნება იყო გაერ-  
თიანებული, ერთიანი მტკიცე საქართველო. 2

რევოლუციამდე პაიდარ აბაშიძის მოღვაწეობა შთაგონებული იყო  
დიდი ილიასა და აკაკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებით ყვე-  
ლა იმათი მაგალითით, ვისაც გული შესტკიოდა ქვეყნის ბედზე. თვითონ  
პაიდარ აბაშიძე უძვირფასეს მოღონებად ინახავდა გულში, რომ მას მეგო-  
ბრობა და სულიერი სამყარო აკავშირებდა ქართველ მოღვაწეებთან. იგი  
სიამაყის გრძნობით იგონებდა, რომ უნახავს აკაკი, ვაჟა, ახსოვს ზაქარია  
ჭიჭინაძე, რომლებმაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს და მძიმე გაჭირ-  
ვების უამს ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს მოძმე აჭარლებს. გარდა  
ცვალებამდე ერთი თვით აღრე მან სიყვარულით აღსავს სტატია უძღვნა  
აკაკ წერეთელს და დიდ ქართველ პოეტს სამართლიანად უწოდა აჭა-  
რელთა მოჭირნახულე.

პაიდარ აბაშიძემ გაბედულად გადააგდო ბეჭის ტანსაცმელი, უარი

თქვა ბეგობასა და მატერიალურად უზრუნველყოფილ ცხოვრებაზე, მრავალი სიცოცხლე სამშობლის ანაცვალა. მას ახარებდა, რომ მოესწრო კავშირის ხალხთა დიალიკურული აქარას, მოესწრო იმას, რომ სსრ კავშირის ხალხთა დიალიკურული არნახულად აღორძინდა საბჭოთა საქართველო.

ძვირფასო მეგობრებო! დღეს ჩვენ ვეთხოვებით ჰაიდარ აბაშიძეს და მისი ყველაზე დიდი ძეგლი ის არის, რომ ახლა აღარავის უკვირს აჭარელი მწერალი, მხატვარი, მეცნიერი, მსახიობი, მოქანდაკე. მფრინავი და მეზღვაური, ექიმი და ინჟინერი. აჭარა დღეს ნამდვილი აყვავებული მხარეა, მისი მიწა-წყალი წარმოვეიღება ჩაისა და ციტრუსების, ვენახისა და ხეხილის ერთ ვეებერთელა ბალნარად. აქვეა უდიდესი სამრეწველო საწარმოები. ახლა ვერ ნახავთ აჭარელის ოჯახს, სადაც არ იყოს რუსთაველის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის წიგნები.

მშვიდობით, ძვირფასო ჰაიდარ! უკვდავი იყოს შენი ხსოვნა!





## ԵԱՀՈՑԻՆ ԱԵՅԼԵՇՈԱՅՆ

### ՍԵԿՋՈ ԹԵՍԵՈ ԷՎ ՍԵԹԵԽԵԾ ՍԱՀԱԿՈՅԵՐԸ

ոռևեծ լուարսածունց-ից ծովզաժյշ  
սերցը թյառքուն տեխուլլեատա սամ-  
բռմելունուն մոմիչաղեատա դա զա-  
մուրայունուն յարտարակուն սահուգագու-  
յանունուն դունունուն սպարակու-  
լունունուն ամառանուն մամու-  
լունունուն նախուրեանուն զամուսաց-  
մագ թունաւագ սպարանուն, մաց-  
համ մատուն սուստրեմանուն մուսանա դա  
սունատունուն թույին զամուրանա սայմո-  
սագմուն դունուն սուստրուլուն գրենո-  
նունուն դա դասուլալաւուն նախունուն թու-  
րացագ մեռլուն օ. ծովզաժյշ թյա-  
լուն. թյարեանուն մասալլեանուն նատուլլ-  
ունուն մուն յամենուրեանուն, թյոնի-  
շնեանուն դա թունասուրպառածան.

և. թյառքուն տեխուլլեատա յարեան-  
ուն դունուն զանուն յարտարակու-  
յանուրեանուն. օգուն դունուն դասմարեանուն  
զանուն հայեն յայունուն սուստրունուն  
մամուլունունուն.

\* \* \*

Սերցը թյառքուն յարտարակու-  
յանունունունուն մուսանունուն

ուզալսահինոն մուլզաթյ ոյո. „առ  
յուցունուն արու յարտուն պէտուալունուն  
սայուտի 70-80-ունուն թլլեանուն սա-  
յարտարակուն պէտուալուն պէտուալունուն,  
հո-  
մելսաւ և. թյառքուն մուն „գրոյւ-  
նա“ ար թյեանունուն դա հոմլունուն  
թյառքուն մատ տացունուն ազթորու-  
թյունուն սուրպա ար յայեատ“, սա-  
յարտունուն թյառք օ. ծովզաժյշ.

մացհամ ամյերագ հայեն եանուն զա-  
յամտ օն դունուն, ոյասդասունունուն  
նախունուն, հոմելուն սերցը թյառք-  
ուն օլուն կազմացածունուն, այայուն թյա-  
րեալունուն, դոմուրուն ծայրացես-  
տան, ցոռորցուն յամենուրեան դա սեցե-  
տան յարտագ ցասթյուն պէտունուն յու-  
զալմերունուն թյառպալունունունուն. արու  
յարտուն մենունունուն սայուտի, հոմելուն պէտունուն  
յ. թ. սամուսլունուն սայարտարակունուն  
թյեանունուն, մատ նախունուն հայեա-  
ռունունուն 1877-1878 թլլեանուն  
ոմտան դայացմուրեանունուն մուլզան-  
ին, սպառուն ար թյառպալուն. „սամու-

ლიმანო საქართველოს“ ყოველი სატკიფარი მას გულთან მიჭინდა და ხარობდა მისი ყოველი სიხარულით.

სერგეი მესხს დიდად აინტერესებდა „ოსმალოს საქართველოს“ ხალხის ბედი და მაჰმადიან ქართველთა ცხოვრების გაცნობის მიზნით თავისი გაზეთის („დროება“) ფურცლებზე სისტემატურად აქცეუნებდა სტატიებს.

„მთელი ოსმალოს საქართველოს ხალხს ჯერ კიდევ ისევ ქართველი ხალხის ხასიათი აქვს, ქართველი ხალხის სული უდიგია, სახე ნამდვილი ქართველისა აქვს, ჩვეულება და ცხოვრება საქართველოსი“, — წერდა იგი 1875 წელს („დროება“, № 76).

— ეს ყველაფერი იმათ ახსოვთ, იციან, მაგრამ ჩვენ? ვის ახსოვს ჩვენში, რომ ჩვენ გვერდით, აქვე მთებს გადაღმა ორასი ათასამდე ქართველი ცხოვრობს, რომ ჩვენ ერთი ქვეყნის შვილნი, ძმები ვართ. ჩვენ შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ იმათ ძალდატანებით სარწმუნოება შეუცვლიათ და სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, — მწარე გულისტკივილით შენიშნავდა იგი და მოითხოვდა აჭარისადმი საგანგებო ყურადღებას.

— ზნეობითი და სხვა ყოველგვარი მოვალეობა და ანგარიში მოითხოვს, რომ ჩვენც ისე ძმურად ვაყუშრებდეთ იმათ, როგორც ჩვენ გვიყურებენო, წერდა ს. მესხი და ყველას მოუწოდებდა

„დროების“ რედაქციისათვის გაეგზანათ წერილები ამ ქართველობის ძმებზე, და მხურვალე აგიტაციას ეწეოდა მუსლიმან და ქრისტიან ქართველთა ეროვნული დაახლოებისათვის.

1875 წლის 8 სექტემბერს ს. მესხი ეკატერინე მელიქიშვილს ქობულეთის არეულობის შესახებ წერდა: „ქობულეთში ოსმალოს ქართველების აჯანყება როგორ მოგწონს? — აი, იქნება გაუწყრეს ღმერთი და რამე გამოვიდეს! ძალიან სანატრელია, რომ ოსმალო დაწიოკონ, იქნებ ეს ჩვენი ქართველები, რომელიც იქიმდენია, რამდენიც რუსეთის საქართველოში (ერთ მილიონზე მეტია) ჩვენ შემოგვიეროთნ. ბლობად ვიქნებით, კარგია ყოველს შემთხვევაში“ (ს. მესხი, წერილები, 1950 წ., გვ. 196). დღესაც მილიონ ნახევარზე მეტი ქართველი მაჰმადიანია თურქეთის სახელმწიფოში გაფანტული. ზოგი ქართულ მიწებზე ცხოვრობს და ზოგიც სხვადასხვა ვილაეთში არის გადასახლებული.

ამავე წერილში ს. მესხი არ ივიწყებს სხვა ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლებსაც ოსმალთა წინააღმდეგ: „პერცოგოვინელები, ღმერთმანი, მარჯვეთ არიან და თუ სერბიამ, ჩერნოგორიამ აშკარად იმათი მხარე დაიჭირეს, მგონი ოსმალოს იმპერიის აღსასრულის უამმა მოატანოსო,“ — წერდა იგი და თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის მხარ-



დაჭვრა დიდ ჰუმანურ საქმედ მიაჩნდა: ჩვენი აზრით, ამბობდა ს. მესხი, კაცი იმიტომ კი არ უნდა დაეხმაროს მეორე გაჭირვებულ კაცს, რომ ის ფრანგია, სომეხია ან ლოტარინგი; არა, — იმიტომ, რომ ის კაცია, რომ ყოველი კაცი ვალდებულია. რათაც შეუძლია, ხელი მოუმართოს სხვებს გაჭირვებაში და კეთილი მიზნის მიღწევაში.

ს. მესხი რუსეთ-ოსმალეთის ომის საფრთხეს წინაშარ ხედავდა. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც სტამბოლის 1876 წლის კონფერენცია ჩიხში მოეწყვდა. ოსმალეთი არ დაეთანხმა რუსეთის მოთხოვნას — თვისუფლება მიეცა დამონიშვილი სლავი ხალხების — ბოსნიელების, ბულგარელებისა და პერცოგვინელებისათვის. მოლაპარაკება 1877 წელსაც გაგრძელდა, მაგრამ ცხადი გახდა, რომ უომოდ საქმე არ გათავდებოდა. ომის წინ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. ფოთის, სოხუმისა და სხვა ქალაქების მცხოვრებნი სახლებს ყიდდნენ, გლეხები ყანებს აღარ თესლენ და ზემო იმერეთში გარბოლდნენ.

1877 წლის 5 იანვარს ს. მესხმა გაზეთ „დროების“ ფურცლებზე გამოაქვეყნა სტატია: „ომიანობის მოლოდინი“, რომელშიც წერდა: სტამბოლის კონფერენციაზე ერთობლივი აზრი შეიტანეს: რუსეთმა, გერმანიამ, ავსტრიო-უნგრეთმა, საფრანგეთმა, ინგლისმა

და იტალიის მთავრობების შედება მომადგენლებმა, რომ ოსმალები სომებიან ხალხებს მისცეს ზოგის უცლება და სხვ. მაგრამ შედეგი არაფერია. შემდეგ ს. მესხი აღნიშნავდა, რომ ამ ომიანობის შიში ყველაზე უფრო ჩვენს მხარეს შეეხება, რადგან იგი ბრძოლის ასპარეზი იქნება.

მალე, 1877 წლის 12 აპრილს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი. ს. მესხის თქმით, რუსეთის ჯარის გარდა, ამ დროს ხუთი ათასი კაცისაგან შემდგრი ქართული მილიცია მდგარა ბრძოლის ველზე, ხოლო ომის წინადღეებში გურიის საზღვრებზე თვი მოუყრია ოსმალეთისა და ინგლისის 60 ათას ჯარისკაცს. ინგლისელი ჯარისკაცები შემთხვევით არ აღმოჩენილან აქ. საქმე ის იყო, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა ორპირულ პოლიტიკას ეწეოდა. სტამბოლის კონფერენციაზე მას რომ მტკიცე ულტიმატუმი წაეყენებინა ოსმალეთისათვის, იგი ომს ვერ გაბედავდა. მხოლოდ ინგლისის რეგიონით თქვა ოსმალეთმა უარი კონფერენციის მუშაობაზე; ომი რომ დაიწყო, ინგლისი და ავსტრია-უნგრეთი თითქოს განხე გადგნენ, მაგრამ სამართლანად წერდა ს. მესხი, ეს „ნეიტრალიტეტი“ დიდ ხანს არ გასტანს, თუ რუსეთი ომში გაიმარჯვებს, ინგლისი იმწამევი წამოყოფს თავს და წინადადებას მისცემს მეომარ მხარეებს — შერიგდითო.

საინტერესო ის არის, რომ სერ-

გერ მესხება წინასწარ განცემიტა, რომ ამ ომის მსვლელობაში ევროპის სახელმწიფოები გაიყოფიან. რუსეთის მხარეზე დარჩებიან გერმანია, იტალია, საბერძნეთი და სლავიანი ხალხები, ოსმალეთის მხარეზე კი ინგლისი, ივლტონი და საფრანგეთითო. მართლაც მოვლენათა მსვლელობამ ეს აზრი გაამართლა.

რაյი ომი ატყდა, ს. მესხი დიდ ყურადღებას უთმობდა მაკმაღიან ქართველებთან ურთიერთობასა და დამოკიდებულებას. მას მოჰყავს გ. ყაზბეგის აზრი: ჩვენ რომ ბათუმი ავილოთ და ადგილობრივი ქართველი მაკმაღიანი მოსახლეობა არ მოგვეხმაროს, მას მარიც ვერ შევინარჩუნებთო. ამიტომ საჭიროა ქართველ მაკმაღიანებს გავაგებინოთ ომის მიზანი და ჩვენი ამოცანები, ყოველი საშუალებით მოვიმხროთ ქართველი მაკმაღიანები, გავიცნოთ ისინი, მოვიგოთ იმათი გული, დავიმსახუროთ იმათი თანაგრძნობა და სიყვარულით.

რუსეთის ჯარი და ქართული შილეცია ივლისში უკვე მუხაესტატეში იყვნენ განლაგებულნი და იქ აწარმოებდნენ ბრძოლას დევრიშ-ფაშის ნაწილებთან. ამ დროს ქობულეთის რაზმისა და არტილერიის უფროსი გენერალი დენიზ-ბეგოვი ყოფილა, ხოლო შტაბის უფროსი — პოლკვონიკი გ. ყაზბეგი. გენერალი ოგლობგიონ ახორციელებდა საერთო სარდლობას.

1877 წლის 15 დეკემბერს ს.

მესხი „დროებაში“ აქვეყნებს მასალებს რუსეთ-ოსმალეთის ზავის შესახებ. რუსეთი მუქალაზე მთელ სომხეთს და ოსმალოს საქართველოს. შავ ზღვაზე თავისუფალ გასავალს, რუმინეთისა და სერბის განთავისუფლებას, ავსტრიასთან ბოსნიისა და ჰერცოგოვინის შეერთებას. ოსმალეთი კი თანახმა იყო მხოლოდ ზოგიერთი უფლება მიენიჭებინა სლავი ხალხებისათვის და განეხორციელებინა რეფორმები.

1878 წლის 21 იანვრიდან გვრცელდა ხები ამას შეწყვეტის შესახებ. ომი მართლაც შეწყდა, დაიწყო საზავო დიპლომატია.

გამარჯვებულ რუსეთს, როგორც მოსალოდნელი იყო, წინ გადაუდგა ინგლისი. რომელსაც არ სურდა ოსმალეთის დანაწილება. ინგლისის სამხედრო ხომალდები ბოსფორში შევიდნენ. ამით ინგლისი რუსეთს დაემუქრა — თუ საზავო პირობები ოსმალეთისათვის ხელსაყრელი არ იქნება, სტამბოლში მიმავალ რუსეთის ჯარს ამ ქალაქის ზედ კარებში დავხვდებით. ვითარება დაიძაბა და დაწყო სახელმწიფოთა დაჯგუფება.

ს. მესხი დიდ ყურადღებას უთმობდა მოლაპარაკების მსვლელობას. ამჟამად ყველაფერი კონგრესზე არის დამოკიდებული, რომელიც მომავალ მარტში უნდა შეიკრიბოს ბადენ-ბადენში.

როგორც ცნობილია, ბერლინის კონგრესმა აჭარა და სხვა ოლქები

გადასცა რუსეთს; ხოლო ბათუმი პორტო-ფრანკოდ გამოაცხადა.

ამ, როგორ ანალიზს უკეთებს პორტო-ფრანკოს ს. მესხი: პორტო-ფრანკო ანუ თავისუფალი ნავ-საღური იმას ნიშნავს, რომ ყველა სახელმწიფოს შეეძლება ამ ნავსადგურში დააყენოს მხოლოდ თავისი სავაჭრო და არა სამხედრო ხომალდებით.

რაღა თქმა უნდა. — განაგრძობს იგი, — რომ ბათუმის ამგვარი მდგომარეობით ყველაზე უფრო ინგლისელები ისარგებლებენ, რადგან აქვთ ყველაზე უფრო მდიდარი ფლოტი, გაჩაღებული აქვთ ვაჭრობა. ბათუმში რუსეთის გამგებლობა იქნება, სარგებლობა კი ინგლისისო. ერთი სიტყვით, ბოლოს ის გამოდის, რომ რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი იყო და ყველაზე უფრო ინგლისმა ისარგებლაო.

თურქეთის უღლისაგან აჭარის განთავისუფლების შემდეგ ს. მესხი დიდ მუშაობას ეწეოდა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა დაახლოება-მეგობრობისა და აჭარის კონომიურ - კულტურული დაწინაურებისათვის. როცა გაიგო, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი თბილიში ჩამოსულაო, მაშინვე შეეცადა კარგად გასცნობოდა მას და საჭირო კონტაქტები დაემყარებინა. შერიფ-ბეგს, რომელიც ოსმალეთს გამოექა 1878 წლის 19 ივნისს, იგი შეხვედრია თავის მეგობარ მხენეილ მეფისოვის ოჯაში. ამ შეხვედრის შესახებ

1878 წლის 27 ივნისს „დროებაში“ ს. მესხმა გამოაქვეყნა აუქტორული ტია სათაურით „ერთი საღმილო-შეკვეთი რიც-ბეგთან“. იგი აღტაცებით აღწერს შერიფ-ბეგისა და სუფრის მონაწილე ქართველ მოღვაწეთა საუბარს. როცა შერიფ-ბეგს შეეკითხნენ, აქარლებმა ქართული ხომ არ დაივიწყესო?, იმას უპასუხნია: — ჩა ბრძანებაა, ბატონი, მთელ აჭარაში სულ ქართულს ლაპარაკობენ, შინაობაში სხვა ენას ვინ ხმარობს? მამაკაცებმა კიდევ იციან თათრული, დედაკაცებს კი ქართული სიტყვა-პასუხი აქვთო; — ამბობენ, თქვენი წამოსცლა ეწყინათო. — ეწყინათ კი არა, მეტი ჰქნეს, სახლ-კარი გადამიწვეს: შეიტყვეს, რომ თვალი აქეთკენ მეჭირა და ძალიან განზედ მიყურებდნენ. ადრე ცხრა ბათალიონი მყავდა, დევრიშ-ფაშა ყოველ კვირაი მწერდა: გეიწი, გეიწი, ახალციხისკენო! რას გაჩერებულხართ ერთ ადგილასო! ჯერ კი ვალორებდი (ვატყუებდი), რომ გზა მაქვს გამაგრებული, ვერ დავინძრევი აქედან, მაგრამ როცა რუსის ჭარი არდანუჯისაკენ გაუშვი ხელუხლებლად, მაშინ კი სულ უფრო ეიღო ეჭვი დევრიშ-ფაშამ. ახლა სხვა ოსტატობა ვიხმარე: ჩხუბი ავტეხე ზემო და ქვემო აჭარას შუა, წავკიდე ისინი და ოთხი ბათალიონი იმათ დასამშვიდებლად გავგზავნე; დამრჩა ხუთი ბათალიონი; კიდევ ორი სხვაგან გაფუნქტო და დამრჩა სამი ბათალიონი. ახლა კი მივწერე დევრიშ-

ფუშას, რომ ამ სამი ბათალიონით  
წინ ვერ გავიწევი, ისევ აქ გავ-  
მაგრდები-ოქეა და ვიყავი... მეტი  
აღარ შემეძლო, ცოლ-შვილი არ-  
ტაანში გავგზავნე და მე ახალცი-  
ხეს გამოვიპარეო.

სადილის დასასრულს, როცა  
აჭარის სადღეგრძელო შეისვა,  
შერიფ-ბეგმა სიტყვა წარმოთქვა:  
კაი იქნება, ბატონებო, რომ აჭარ-  
ლებიც ქართველებთან იყვნენ შე-  
მოერთებული, მაგრამ თუ ავი  
არ მოხდა. საცა უნდა იყვნენ, ვი-  
ნატროთ, ბედნიერად იყვნენ. გა-  
ნათლებაი სჭირდება, ბატონო,  
იმათ. ამდენი ახალგაზრდაი კაცე-  
ბი ხართ, განათლებულები, წა-  
დით, გაიცანით, ზოგი აქ მოიყვა-  
ნეთ, ასწავლეთ...

ერთ-ერთ სტატიაში ს. მესხი ამ-  
ბობს, ამ დროში სხვა საგნებზე  
ფიქრს ვერ ვახერხებ, მუდამ არჩ-  
რუმი, ბათუმი და პლევნა მახსოვ-  
სო.

მართლაც, ბერლინის კონგრესი  
ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებუ-  
ლი, რომ ს. მესხი აჭარაში  
მმართველობის ორგანიზაციისა-  
თვის ზრუნავდა: ვიტყვით მხო-  
ლოდ იმას, რომ მთავრობა,  
უეჭველია, მიიღებს მხედველობა-  
ში ამ ახალშემოერთებულ ხალხ-  
თა ხასიათს, ჩვეულებას, სარწმუ-  
ნოებას და სხვ. და ამისდაგვარად  
მოქცევა ამ მძიმე საქმის გადაწყ-  
ვეტის დროსო.

მალე ბერლინის კონგრესიც და-  
მთავრდა, აჭარა მშობლიურ სა-  
ქართველოს დაუბრუნდა და სერ-

გეი მესხი აჭარლებისადმი დამწე-  
კიდებულების საკითხების შესვა-  
ლებალს გულმოდგინედ სტატუსი  
რათა შეუძლიად გაერკვინა აჭა-  
რუნდა მოქცეულიყვნენ ქო-  
ბულეთში, ბათუმში და აჭარაში-  
შესვლისას. ასე, მაგალითად, გა-  
ზეთ „დროების“ ერთ-ერთ ნომერ-  
ში მან გამოაქვეყნა სტატია სათა-  
ურით „როგორ უნდა ბათუმში:  
შესვლა“. იგი წერდა: ინგლისის  
აგენტები და ოსმალეთის მოხე-  
ლეები ხალხს აქეზებენ, რომ რუ-  
სის ჯარი არ შეუშვაან ბათუმში.  
ამიტომ რუსის ჯარმა თავისი მოქ-  
მედებით უნდა დაუმტკიცოს  
ხალხს, რომ ისინი მიდიან, რო-  
გორც თანამომმენი და მეგობრე-  
ბი; ბათუმში ჩვენს შემავალ ჯარს  
უნდა მიუძღვდეს ისეთი პირები,  
რომლებიც იქაურ მცხოვრებლებს  
იცნობდნენ. ასეთები არიან გრ.  
გურიელი და მ. მეფისოვი. ამათ  
აჭარლები და ქობულეთლები  
თოფს არ ესვრიანო („დროება“,  
1878 წ., № 162).

ს. მესხი მოითხოვდა, რომ რუ-  
სეთის ჯართან ერთად ბათუმში  
ქართული „დრუჟინებიც“ შეეცვა-  
ნათ, რადგან ჩვენებს უფრო იც-  
ნობენ და ენდობიანო. ამ გარე-  
მოებას ხელს უწყობდა ისიც, რომ  
„დრუჟინათა“ უფროსები: მამია  
გურიელი, დათა ერისთავი, იასე  
გურიელი და დათა გუგუნავა აჭა-  
რელთა შორის დიდი ავტორიტე-  
ტით სარგებლობდნენ. შემდეგი  
წერილით ს. მესხი გვაცნობებს,  
რომ გრ. გურიელი ქობულეთ-

შია და ხალხი მას წინააღმდეგობას არ უწევს, ყველას იმედი აქვს, რომ ოსმალოს საქართველოს დაჭერის დროს ერთი თოფიც არ ვაკარდებათ. მართლაც, მიუხედავად ინგლისელებისა და ოსმალოს მომხრეთა გააფთრებული აუგტაციისა, ხალხი რუსის ჯარის ბურ - მარილით შეხვდა. სერგეი მესხი სიხარულით ატყობინებს მკითხველებს, რომ გრ. გურიელის გავლენით ათი ათასმა ლაზმა და ქობულეთელმა იარაღი დაჰყარაო. ამ ცნობას ადასტურებს ხუსეინბეგ ბეჟან-ოლლიც: ორი კვირის წინ, დევრიშ-ფაშის რჩევით, ჩვენ, ჩაქველებმა, ქობულეთლებმა, ბათუმლებმა და ლაზებმა მოვკიდეთ თოფ-იარაღს ხელი და არ ვაპირებდით ჩვენს ქვეყანაში რუსების შემოშვებასო. სულ ათი ათას კაცზე მეტი ვიყავით შეიარაღებული და საომრად მომზადებული (ს. მესხი, ტ. III, გვ. 34).

სერგეი მესხი პირველად 1878 წლის 25 აგვისტოს, რუსის ჯართან ერთად, ჩამოვიდა ბათუმში. აი, როგორ ავინიშეს იყი მაშინ-დედ ბათუმს: ქალაქი ტიპიური აზიურია, ბინძური, ყველგან ქოხმახებია, მხოლოდ რამდენიმე სახლია კარგი: ალი-ფაშა თავდგირიძის, რუსეთის კონსულის, დამოუნა და ერთი-ორი სხვა, რომლებიც ზღვის პირას არიან ჩამწკრივებული. ბათუმი ქალაქს კი არ ჰყავს, არამედ ჯარების სადგომს, ქალაქს ბოლო მოღებული აქვსო. სახლების ფანჯრები ჩალეჭილია, კა-

რები ჩამტვრეული, იატავი აღუბული, შივ გაბინძურებული, ყყოლებული; ქუჩებში, მოეფენილი ზღვის ნაპირს რეიდზე კოჭებამდი ნაგავი, მტვერი, ყოველნაირი სიმყრალე სუფევსო.

მაშინ, პირველ ხანებში ქალაქის საქმეებს განავებდა გრ. გურიელი და პოლიციის სტ. მეფისაშვილი. 30 აგვისტოს არტაანიდან ჩამოვიდა გენერალ-მაიორი კომაროვი თავისი რაზმით და იგი დაინიშნა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორიდ.

აჭარის შემოერთების შემდეგ ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით მიიპატიუა სამუსლიმანო საქართველოს დელეგაცია თბილისში. ამ სადილ-ზეიმს ესწრებოდა ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი და მუსლიმან ქართველთა წარმომადგენლები. აი, როგორ აგვიწერს ს. მესხი გაზეთ „დროებაში“ (1878 წ., № 239) ამ ზეიმს: სადილი გაიმართა 1878 წლის 20 ნოემბერს, ორშაბათს, მუხრანსკის სახლის კლუბის დიდ დარბაზში. მასპინძელთა შორის ყოფილან გრ. ობელიანი, კ. მამაცაშვილი, ი. ანდრონიკოვი, გენერლები გ. სუმბათოვი, ა. საგინოვი, ლიტერატურის მოღვაწენი ა. წერეთელი, გ. წერეთელი და სხვები (სადილს არ ესწრებოდა მხოლოდ ილია ჭავჭავაძე, რომელიც იმუამად თბილისში არ ყოფილა). სამუსლიმანო საქართველოდან თექვსმეტი კაცი ჩამოსულა. სადილს ესწრებოდა აგ-

რეთვე შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, რომელიც იმ დროს თბილის-ში იყო მოფებოდა. სტუმართა შორის იყვნენ: ხუსეინ-ბეგ ბეგან-ოღლი, მუფთი ეფენდი სურაბანიძე, ჰუსეინ-ბეგ აბაშიძე, პასან-ბეგ ბეგან-ოღლი, ნური-ბეგ ხიმშიაშვილი (შერიფ-ბეგის ძმის შვილი), ართვინის მღვდლები და სხვ.

ს. მესხი დაწვრილებით აღწერს სადილ-ზე იმის მიმდინარეობას და ბეჭდავს ბანკეტზე წარმოთქმული სიტყვების მოკლე შინაარსს. პირველი სიტყვა, როგორც თამადას, გრ. ორბელიანს უთქვამს: ბატონებო! რას მოასწავებს დღეს ჩვენი იქ შეყრილობა? რა გვიხარიან? რას ვდღესასწავლობთ? კრება წარმოადგენს სასიხარულოს მას სანახავსა, როდესაც ერთის დედისა შვილი, შავი ბედისა გამო განშორებული, დიდხანს ერთმანეთისათვის დაყრგული ანაზღეულად, მოულოდნელად შეხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადი სიყვარულით... ბევრი ვიტანგზეთ მტერთაგან, ბევრი გაოხრება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც კი არ დაგვიწყებია დაშორებული ჩვენი ძმები, თვალი გვეჭირა თქვენები, ბატონებო, და ვნატრულობდით, როდის აღმოვა ჩვენთვის მზე შეერთებისა!

ს. მესხმა დიდი მუშაობა გასწია ე. წ. მუჭავარობის (გადასახლების) წინააღმდეგ. მან მოელი რიგი სტატიები მიუძღვნა ამ საკითხს. იგი ოსმალეთში გადახვე-

წის მსურველებს არწიუნებდა, რომ იქ უარესი დღე ჭარფვაში დათ: „ამათ ოსმალეთში აუცილებელია საწყლე, შიმშილი, ამოულება და სხვა ყველა უბედურება მოელისთ, რაც მოუვიდათ ჩერქეზებსა და აფხაზებს... ჩვენთვის, იმათ მოძმე ქართველებისათვის ეს გარემოება მით უფრო სამწუხარო უნდა იყოს, რომ ჩვენ ხელახლად გვეკარგებიან. გვშორდებიან დიდი ხნით განშორების შემდეგ ახლად შეძენილი ძმები. კაცომოყვარეობის გრძნობის გარდა ჩვენში მმური ნათესაობითი გრძნობა უნდა მუშაობდეს“. — წერდა ს. მესხი (თხზ., ტ. III, გვ. 49).

სამშობლოზე ქართველ მაპმადიანთა გულის აცრუების მიზეზი, ს. მესხის აზრით, ის იყო, რომ იმუამად ბათუმში მომუშავე წვრილი ჩინოვნიკები წინათ სხვადასხვა სამსახურიდან დათხოვნილი ყოფილან უკანონო მოქმედებისა და უნიჭობისათვის. ისინი ხალხის ინტერესებს და ღირსებას უსირცხვილოდ თელავენ ფეხქვეშ და მოსახლეობასაც სხვა რალა დარჩენია, თუ არა გაშორდნენ იქაურობასო. აი რატომ იყო, რომ სტატიაში „ერთი წინადადება“ ს. მესხი წერდა: გარემოება თხოულობს, რომ აღლად შექმნილ საქართველოში ჩვენ გვყავდეს კარგი, პატიოსანი, უანგარო, გამჭრიანი, მამულისმოყვარე ჩინოვნიკები. ამის გამო ჩვენ მივმართოვთ ქართველ ახალგაზრდა ნასწავლებანათლებულებს და ვეტყვით

იმათ: წადით ბათუმში, იმსახურეთ იქ, დაიჭირეთ რაც უნდა მცირე თანამდებობა იყვეს, ოლონდ კი ხალხთან თქვენ იქონიეთ საქმე, რომ ქართველი მაჰმადიანები თქვენი კმაყოფილი იყონ, რომ იმათმა ოსმალეთში გადასახლდა არ იფიქრონ (თხზ., ტ. III, გვ. 123).

თუმცა დევრიშ-ფაშამ ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი მუჟავირობისაკენ ადგილობრივ მოსახლეობას არ მოუწოდებდა. მაგრამ მისი დამქაშები ხალხში ავრცელებდნენ ყოველგვარ ჭორებს: რუსები შეგავიწროვებენ—მიწებს წაგართმევენ, ოჯახს შეგირცხვენენ, თქვენს სარწმუნოებას შეურაცხოფას მიაყენებენ და სხვ. ამავე დროს ისინი არ ერიდებოდნენ არც აშკარა ძალატანებას. „ქობულეთში ყოფნის დროს, — ამბობდა ს. მესხი, — ჩემთან მოვიდა ერთი პატარა 12-14 წლის ქობულეთელი ბიჭი, რომელმაც შესჩივლა გრიგოლს: ნიზამები (რეგულირებული ჯარი) შემოვიდნენ სახლში, პატია ძმაი, და და ბაბაი (მამა) წეიყვანეს. მეორემ სთქვა, რომ ჩვენ ყანაში ვიყავით სამუშაოთ და დედაკაცები ძალით წაათრის ბათუმსო“ (თხზ., ტ. III, გვ. 31).

მეორე მხრივ, ხაზგასმით აღნიშნავდა ს. მესხი, ქრისტიანი ქართველობა ჯერ კიდევ არ გამოფხიზლებულა სიხარულისაგან და სულ გაიძინის: „ჩვენი დაკარგული ძმები შემოვიერთდა! ვიშ, რა

კარგია, რა გვიხარიანო“. ეს სიტყვები არ კმარა. ჩვენი სანატორიუმი ძმები ისევ გვეცლებიან და საჭიროა რაიმე ღონე გიხმაროთო.

რამდენადაც მუჟავირობის საკითხი ქართველი საზოგადოებრიობის მტკიცნეული პრობლემა გახდა, ს. მესხი თავის „დროებაში“ სისტემატურად ათავსებდა წერილებს მის გარშემო. ფრიად საინტერესოა 1881 წლის „დროებაში“ (№ 40) გამოქვეყნებული წერილი სათაურით: „ბათუმის მაზრის დაცარიელება“:

— ბათუმიდან მიღებული კორესპონდენცია გვაცნობებს, რომ 900-მდე მოსახლე ჩამოვიდა ქობულეთიდან ბათუმში და ემზადებიან ოსმალეთში წასასვლელადო. ამათ წასვლა არ უნდათ, ესენი დედა-მიწას ჰქოცნიან, ხევებს, სახლებს, ყველაფერს სულიერსა და უსულოს, რასაც კი სტოვებენ, ცხარე ცრემლის ღვრით, გულ-დამწვავ ტირილით ეთხოვებიან და ისე მიღიანი. ბევრი გზაში იხოცება მისვლამდე... იქაც უკეთესი ბედი არ მოელის, იქ შიმშილი ხვდება, უპატრონობა. ადგილს არ აძლევენ, მოტყუფებული რჩებიან. დიდი წვალებისა და ხეტიალის შემდეგ ბრუნდებიან უკან, მაგრამ ორში ერთი, დანარჩენი კი გაჭირვებისა და შიმშილის გამო იხოცებიან.

შემზარავია ერთი ფაქტი, რომელიც წინაწელს მომხდარა: ერთს ბერძნის გემს რამდენიმე

ასი აჭარელი და მაჭახლელი წა-  
უკვანა ბათუმიდან, ლისმალეთის  
ნაპირზე რომ მიეყენებინათ გემი.  
იქაურ მთავრობას ნებართვა არ  
მიეცა გემიდან ხალხის გადმოსვ-  
ლისა, რადგან ნებართვა არ გვაქვ-  
სო. კაპიტანმა უკან დააბრუნა გე-  
მი, მაგრამ ბათუმში აღარ შემო-  
უშვეს და არ მისცეს ნება ხალხის  
ნაპირზე გამოშვებისა. დარჩენ  
წყალში. გაჩნდა გემში მჯდომ  
ხალხში ავადმყოფობა, შიმშილი  
და თითქმის ნახევარი დაიხოცა.  
ვემის პატრონმა, რომელსაც სხვა  
გზა არ ჰქონდა, მიიყვანა გემი  
ერთ უდაბნო ადგილს და გთმორე-  
კა ხალხი. ეს ადგილი, როგორც  
იწერებიან, ისეთი იყოვო, რომ  
იქიდამ მხოლოდ ერთი გზა ჰქონ-  
დათ — ზღვაში გადავარდნილიყვ-  
ნენ, ხმელეთისაკენ წასვლა არ შე-  
ეძლოთ! ბოლოს ჩვენმა ბათუმის  
მთავრობამ შეიტყო ეს ამბავი, გა-  
გზავნა გემი და დაიხსნეს ცოც-  
ხალ-მკვდარი ხალხი.

სტატიაში „ბათუმის მაზრის  
მდგომარეობა“ („დროება“, 1872  
წ., № 40) ს. მესხი აღმოითვებით  
აღნიშნავდა, რომ ბათუმში მუჭა-  
ჭირობისაგან დაბრუნებულ ხალხ-  
ზე გაუწერიათ გადასახადები და  
დაუინებით სთხოვდნენ უსახლვა-  
რო, კერადანგრეულ, ნახევრად  
მშიერ ხალხს მის ვადაზე აღრე  
გადახდას. როგორც ს. მესხი  
წერს, არტაანის ნაჩალიკს უთქვამს,  
რომ ხალხი განაზღება, განებივრ-  
დება, თუ ახლავე ხარჯი არ და-  
ვაწერეთო. მას მოჰყავს ბათუმე-

ლი კორესპონდენტის გაზრი: ეს  
ყველაფერი ჩინვნიკებშეცუმტებუ-  
ლია, ისინი აჭარლებს ცურულებუ-  
ცევინო. აჭარელს თუ კარგად  
მოეყარი, ყველაფერს გაგიკე-  
თებს, ყმად დაგიდგება, შენოვის  
თავს მოიკლავს და თუ გული აუ-  
ცრუვე, მაშინ ძმაც რომ იყოს,  
არ დაგზოვავს, გადმოიღებს თავის  
მაჭახელას და თუ გესროლა, იცო-  
დე, არ აგაცდენსო.

მორალურ მხარდაჭერასთან ერ-  
თად ს. მესხი აჭარის მატერიალუ-  
რი დახმარებისათვისაც ზრუნავდა.  
სტატიაში „შემწეობის დარიგე-  
ბა“ იგი გაღმოგვცემს: სხვადასხვა  
პირებისაგან შემოტანილი იქნა  
1.538 მანეთი. ეს თანხა რედაქ-  
ციაში მოკლე დროში შეგროვდა.  
ეს ფული ცოტა იყო, ქობულვთ-  
ში გაჭირვებული 4.000 მეტი იყო.  
ამიტომ გამოვიძახეთ 8 სოფლის  
მამასახლისი: აჭყვისთავის, ალაზ-  
ბრის, ლევის, ხუცუბრის, კვირი-  
კის, ქობულეთის, სამებისა და ქა-  
ქუთის და წარმოგვიღებინებს გა-  
ცირვებულთა სია, მაგრამ სია კი-  
დევ დიდი იყო. მოვიწვიეთ კინტ-  
რიშის უბნის მეჭლისი და მისი  
დახმარებით ეს სია კიდევ შევამ-  
ცირეთ და უფრო გაჭირვებულებ-  
სა და ობლებს დაურიგეთ. 1.538  
მანეთი დაურიგეთ 191 მოსახლეს,  
სულ 645 სულს, თითო ოჯახს  
ერგო 12, 15, 18, 20 მანეთით.

ასე სისტემატურად აგროვებდა  
„დროების“ რედაქცია ფულს ს.  
მესხის ხელმძღვანელობით და-  
ურიგებდა გაჭირვებულ ხალხს.

ომის შედეგად აჭარაში შექმნილი მდგომარეობის გამო ს. მესხი წერს სპეციალურ წერილს: „ძმა ძმისთვის — ამ დღისთვისონ“.

მასში ვყითხულობთ: ხალხს არ უთესია, არ უხნავს, მთელი ეს მხარე ჯარებითა და ცხენებით არის გადაჯირვალებული, აოხრებული, ხალხი შიშველ-ტიტველი და მშიგრ-მწყურვალი დარჩა. მაგ. კინტრიშის მაზრის 5 ათასამდე სული იხოცება. გამოვიჩინოთ სულგრძელობა, უნდა დავზოგოთ თითოოროლი თუმანი, ტანისამოსი, ხორავი და სხვა, ვისაც რა შეუძლიაო. ამ საკითხთან დაკავშირებით მმართველობის განცხადებაში ნათქვამი იყო: მთავრობამ ხალხს აჩუქა 4 ათასი ფუთი ქერი, ასესხა 14 ათასი ფუთი სიმინდი და დაპირდა 20 ათასი მანეთის დარიგება სესხათ და სხვ.

ს. მესხი მოითხოვდა აჭარაში სკოლების გახსნას და მიუთითებდა, რომ ქართველმა საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს ახლად გახსნილი სკოლები მასწავლებლებით. ამიტომ საჭიროდ თვლიდა გორის, თელავის საოსტატო სემინარიებსა და ობილისის სასულიერო სემინარიას მოემზადებინა ამ სკოლებისათვის საჭირო კადრები. მოითხოვდა აგრეთვე საჭირო სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემას ამ სკოლებისათვის.

აჭარაში გასაგზავნ კადრებს იგი აფრთხილებდა: არ შეეხოთ ახლად შეძენილი ქართველების სარწმუნოებას. განსაკუთრებით ხაზგას-

მით აღნიშნავდა, რომ სარწმუნოს ბის განსხვავება არ დააბრკოლება. ხელს არ შეუშლის ჩვენს ჩვენი მოვალეობა იმათ ძმობა-ერთობასო.

დიდია სერგეი მესხის ღვაწლი აჭარაში პირველი ქართველ მაპ-მადიანთა სკოლის გახსნის საქმეში. ქართველთა შორის წერა-კითხების გამარტივებელი საზოგადოების ინიციატივითა და დავალებით იგი რამდენიმეჯერ იყო ბათუმში სკოლის გახსნის მოსაგვარებლად.

თუ რატომ უთმობდა ს. მესხი ესოდენ დიდ ყურადღებას ქართული სკოლების გახსნას აჭარაში, ეს ნათლად ჩანს მისი წერილიდან „ბათუმის შკოლის თაობაზე“ („დროება“, 1882 წ. № 242). იგი წერდა: რამდენიმე საუკუნის მანძილით დაშორებული ქართველების ხელახლად დაძმობილებისათვის საშუალებას წარმოადგენს სკოლა. ეს ჰეშმარიტება წერა-კითხების გამარტივებელმა საზოგადოებამ კარგად გაიგო და ბათუმში გახსნა სკოლა. მაგრამ მავმადიანი ქართველები ეჭვის თვალით უყურებდნენ და ბავშვებს არ გზავნიდნენ სკოლაში. საზოგადოება იმედს მაინც არ კარგავდათ. და, მართლაც, ქართველ მაპ-მადიანთა მოწინავე ნაწილმა მალე შეიგნო, რომ სკოლა აუცილებელი იყო; ამ საქმეშიც ს. მესხმადიდი როლი შეასრულა. 1882 წლის ოქტომბერში მოწვეულ იქნა მოწინავე ქართველ მაპ-მადიანთა კრება, სადაც განუხილავთ სკო-

ლაზე დახმარებისა და მოწაფეების სკოლაში გაშვების საკითხი. კრების დადგენილებაში ნათქვამი იყო: ჩვენი შვილები მივაბაროთ ბათუმის ქართულ სკოლას; თათრული ენის და მაკვადის რჯულის მასწავლებლად ამოვირჩიეთ მაჭახლელი სულეიმან-ეფენდი მეპმედ-ეფენდი-ზადე; რაღაც ამ მასწავლებელს 15 მანეთი აქვს, ამიტომ გადავწყვიტეთ სკოლის მასწავლებლის ბ. მოსე ნათაძის შუამავლობით, ვსოხოვოთ საზოგადოებას, რომ მან დაუნიშნოს ამ ხოგას თვეში ოცი მანეთი; ეს განჩინება და ყმაწვილების სია გადაეცეს საზოგადოების სამმართველოში წარსადგენად. განჩინებას ხელს აწერდა 25 კაცი.

ი. ბოცვაძეს მოაქვს საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ 1882 წ. 19 ნოემბერს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ყიფშიძის ხელმოწერით სერგეი მესხისათვის დაუვალებიათ წამოსულიყო ბათუმში და გამოერკვია სკოლის მდგომარეობა, ამ სკოლის ახალი შენობის ასაშენებლად შეერჩია ადგილი; ავალებდნენ აგრეთვე გამოერკვია ადგილობრივ მცხოვრებთა სურვილები. სთხოვდნენ, თუ შეიძლება ასულთ ყო შავშეთს სახალხო სკოლის გახსნის თაობაზე და შეეკრიბა იქ საჭირო ცნობები. დასასრულ წერდნენ: გამგეობას თქვენი დიდი იმედი აქვს, თქვენი გამოცდილე-

ბით ყველა ზომა იხმარეთ ჩვენს თანამოძმე მაკმადიან მცნობელი/ თათვის და მათი შვილებში შემოტკიცება/ რდელად და გასანათლებლად; ამასთანავე მმართველობა მოგანდობთ, უკეთუ საჭირო აღმოჩნდეს, მიმართოთ ადგილობრივ ადმინისტრაციას ჩვენი სახელით დახმარებისათვის.

თვის მოხსენებითს ბარათში ბათუმის სკოლის მდგომარეობის შესწავლასთან დაკავშირებით ს. მესხი წერდა: ბათუმის ბეგებს, ჩვენს მოძმე მაკმადიან ქართველებს გადაუწყვეტიათ, პირობა დაუდგიათ... რომ თქვენს სკოლებში მიეცათ შვილები და ნივთიერადაც დაგეხმარებით ამ სკოლების რიგიანად გასამართავადო. შემდეგ იგი დიდ იმედს გამოთქვამდა: ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ვისურვოთ, რომ ეს საქმე კეთოლად და ყველა ქართველისათვის სასურველის წარმატებით შესრულებულიყოს.

დიდად ახარებდა ს. მესხს წათუმის სწრაფი ზრდა, მისი კეთილმოწყობა და განვითარება. აი როგორ აგვიწერს იყი ბათუმში თვის მესამე ჩამოსვლას („დორება“, 1882 წ., № 5):

მესამედ ვიყავ ბათუმში. სად ახლანდელი ბათუმი და სად მაშინდელი. სად ორ-სამ და ოთხ სართულიანი უზარმაზარი ქვითკირის სასლები და სასტუმროები და სად მაშინდელი მინგრეულ-მონგრეული ხის ქოხები და უშმინდური

ყავისხანები. სად ახლანდელი ნამდვილი ევროპიული მდიდარი მაღაზიები, რომლებშიც მგონი, ჩიტის რძესაც კი იშოვნის კაცი და სად მაშინდელი დუქნები, რომლებშიაც მუხლმოკეცილი ბათუმელი ორიოდ თოფ ტრაპიზონის ჩითეულობით ვაჭრობდა... მთელი ახალი უბნები გაკეთებულან, ქალაქის ბაღს მართავენ, ქალაქი დაგეგმარებულია, ტბებს აშრობენ, წყალი გამოჰყავთ, ნაცვალგურის გაფართოებას აპირებენ, რკინის გზა გაჰყავთ; ვისაც იდრე, ისმალოს ხელში უნახავს ბათუმი და ახლად ჰქედავს, ყველა დარწმუნებით იტყვის, რომ ამ ქალაქს დიდი მომავალი აქვს, კარგი ბედი მოელისო.


მიუხედავად ბათუმის ასე გარდაქმნისა, მეტის მოხელეები მაინც ცოტას აკეთებდნენ ხალხის კეთილდღეობისათვის. სერგეი მესხის ეს არ გამოპარვია მხედველობიდან. ბათუმის მოსახლეობა, — წერს იგი, — ბათუმის გუბერნატორის სმეკალვის მიმართ დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდა. ამ უკმაყოფილების დასადასტურებლად მას აღწერილი აქვს ასეთი დიალოგი:

ბ. სმეკალვი ეკითხება ადგალობრივ მოსახლეობას: ხართ თუ არა კმაყოფილიო? უპასუხა ერთ-

მა ბეგმა: — რატომ არა, კმაყოფილი ვართო — გერგერობით კული გვიდგია კიდევ და ეტერეტერებია გი რამ ვისწავლეთ თქვენგანო; რა ისწავლეთ, — ჰქითხა ბ. სმეკალვმა. — „ზავტრა“ ვისწავლეთო, — უპასუხა ბეგმა; — ვეცდებით რომ ეგ სიტყვა დაგავიწყოთო; — ალლახმა ინებოს, რომ „პოსლე ზავტრა“ არ გვესწავლოს თქვენ ხელშიო!

სერგეი მესხის ღვაწლი აჭარის მიმართ აქ თქმულით არ ამოიწურება; იგი აჭარის მოსახლეობის ყოველი მტკიცნეული პრაქტიკული საკითხის გადაჭრის მონაწილეა; მას აჭარა ფეხით აქვს მოვლილი, უნახავს აქაური მოსახლეობის გაჭირვება, იგი გულთან მიუტანია და მაშველი ხელი მუდამ მისკენ ჰქონდა გაწვდილი.

სერგეი მესხის ოზულებათა სამტომეული არა მარტო მეცხრამეტე საუკუნის 11 ნახევრის სექართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ნათელი სურათია, იგი უნიკალური ძეგლია სამხრეთ საქართველოს ქართველების ისტორიისა და ყოფის შესწავლისათვის, რის გამოც ჩვენ, სამხრეთელი ქართველები, გულითად მაღლობას ვუთვლით პროფ. ი. ბოცვაძეს მისი გამოცემისათვის.



## დავით კომახიძე

### გაცუმის აევონსგაუეციისა და გაშენების ზოგიერთი საკითხი

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბათუმმა არსებითად იცვალა სახე, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს. ახლა ქალაქის მშენებლობა მიმდინარეობს ჩქარი ტემპით და ფართო მასშტაბით. მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში სწორდება ბევრი ნაკლი, რაც ბათუმს ისტორიულად შემორჩია. მაგრამ ამის მიუხედავად, ჩვენი ქალაქის დაგეგმვა და გაშენება მარიც არ შეიძლება სრულყოფილად მოიჩინოთ.

უპირველეს ყოვლისა შევეხები საცხოვრებელი რაიონების გაშენებისა და რეკონსტრუქციის საკითხებს.

ჩემი აზრით, ქალაქი ისე უნდა დაიგეგმოს და გაშენდეს, რომ მოსახლეობას შევუქმნათ ცხოვრებისა და დასვენების მაქსიმალური პირობები. ამას კი მაშინ მივაღწივთ. თუ საცხოვრებელ რა-

იონებს დაყყოფთ მიკრორაიონებად. მიკრორაიონის მოსახლეობის რაოდენობა დამოკიდებულია სართულთა რაოდენობასა და ადგილობრივ პირობებზე, მაგრამ, როგორც წესი, ივი არ უნდა იღემატებოდეს ათ-თორმეტ ათას სულს.

მიკრორაიონში მოთავსდება ყველა უცილებელი დაწესებულება: სკოლები, ბავშვთა ბაღები და ბაგები, სასურსათო მაღაზიები, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები, კაფე-სასალილოები, გაშენდება მიკრორაიონის ბაღი და ა. შ. ისე, რომ მათი მომსახურების რაიონში არ აღემატებოდეს ნახევარ კილომეტრს.

საცხოვრებელი რაიონებისა და კვარტალების რეკონსტრუქციისას მიკრორაიონები უნდა შეიქმნას არსებული ჯგუფური კვარტალების შეერთებით, მაგრამ ისე, რომ მიკრორაიონი არ იკვეთებო-

დეს მაგისტრალებით. კვარტალის გაშენების შემთხვევაში მიკრო-რაიონის ფართობი არ უნდა აღე-მატებოდეს ოცდათ ჰექტარს, ხო-ლო ჯგუფური კვარტალების შეე-რთებისას — ორმოც-ორმოცდათ ჰექტარს.

მიკრორაიონების გაშენებისაა მთავარი ყურადღება უნდა მიექ-ცეს შენობების ხელსაყრელ ორი-ენტაციას. ჩვენი ქალაქისათვის ხე-ლსაყრელ ორიენტაციად ითვლება სამხრეთი. კვლევითი მონაცემები გვაუწყებენ, რომ ჰიგიენურ აპ-ტიმუმთან შედარებით ტენიანობის მატება (იგი ბათუმის ფაქტი-ურ ტემპერატურას შეეჩაბაძება) ოცდაეჭვს პროცენტს უღრის, შე-ფარდებითი ტენიანობა კი (ცალ-კმულ დღეებში) სამოცდათხუთ-მეტ-ოთხმოც პროცენტს. მაშასა-დამე, კონსტრუქციისა და კედ-ლების დატენიანების მხრივ პა-თუმი მიეკუთვნება „ტენიანის“ კატეგორიას. ამიტომ ღიღი მნიშ-ვნელობა ენიჭება ბინების საგეგ-მო სქემის სწორად შერჩევას, მათს უზრუნველყოფას საჭაო ცირკულაციით. ჩვენი პაპანაქებრ-ანი ზაფხული შენობების გადახუ-რებას იწვევს. ეს რომ არ მოხდეს, ბინაში, რა გინდ სასურველი ორი-ენტაციისა არ უნდა იყოს იგი, საათში არანაკლებ თხუთმეტჭერ უნდა იცვლებოდეს ჰაერი. ამიტო-მაც უნდა მოეწყოს გამჭოლი ან კუთხური განიავება, რაც ყველა-ზე უფრო ეფექტური ღონისძიე-ბაა. ცნობილია, რომ მიკროკლი-

მატზე დიდ დადებით შევიწყო-ახდენს შენობის სიმაღლემდებარებული მზისაგან დასაცავ საშენებლის მა-გიმოუენება. ჩვენს პირობებში მი-ზანშეწონილია საცხოვრებელი ბი-ნების სიმაღლე გაიზარდოს სამ მც-ტრიმდე.

ზღვისპირა ტერიტორიის მჭიდ-რო და პერიმეტრული განაშენია-ნება ხელს უშლის ბრიზების თა-ვისუფლად შემოლწევას ქალაქის სიღრმეში. ამიტომ აქ განაშენია-ნება და ბალის გაშენებაც უნდა ვა-წარმოოთ კარგად მოფიქრებული გვემით. ამას გვიკარნახებს სანი-ტარულ-ჰიგიენური პირობების გა-უშვილებების ინტერესებიც. ჩვენი კლიმატის თავისებურებათა გამო სასურველად მიმაჩნია ვისარგებ-ლოთ განაშენების თავისუფალი დანაწევრებული სისტემით. იგი უზრუნველყოფს უკეთეს ინსოლი-დაციას, აგრეთვე ხელს შეუწყობს ოთახებში ჰაერის გაწმენდას ზღვი-სა და მთის ბრიზებით.

დიდ ტენიანობასთან ერთად ბი-თუმში შედარებით მაღალია ნია-დაგის წყლებიც. ეს განსაკუთრე-ბით უარყოფით გვვლენას ახდენს პირველ სართულზე. საქმეს თ-შველის პიღროიზოლაციის გა-ძლიერება. იმდენად, საცხოვრებე-ლი სახლების პირველი სართუ-ლები სასურველია გამოვიყენოთ მხოლოდ და მხოლოდ საყოფაც-ხოვრებო დანიშნულების სათავ-სოებად.

ჩემი აზრით, ქალაქის განაპირო-რაიონებში სჭობს გაშენდეს ორ-

სამოთულიანი ბლოკირებული სახლები საკარმილამო ნაკვეთებით. ავა-თექვსმეტ ბინიანი ორსართულიანი ბლოკირებული სახლების მშენებლობა განსაკუთრებით მიზანშეწონილია ინდივიდუალური და კომპერაციული განაშენების რაონში. ეს იმიტომ, რომ ბლოკირებული სახლების მშენებლობა ცალკეულ ერთბინიან კარმილამოებიან სახლებთან შედარებით (ერთნაირ პირობებში) ოცდაშვიდაცდაცამეტ პროცენტ ეკონომიას გვაძლევს.

ჩვენი ქალაქის განაშენიანების ხარისხის სერიოზულად ამაღლების ინტერესი გვიყარნახებს, რომ ოდგალურად შევცვალოთ დამკოდრებული პროექტირების პრაქტიკა. ყოველ ხუთ-ათ წელიწადში ერთხელ უნდა გადაისინჯოს პროექტები თანამედროვე სიახლეთა და მოთხოვნილებათა გათვალისწინებით (ქუჩების სისტემის შექმნა, დასახლებული რაიონების დაყოფა მიეროორინებად და ა. შ.). როცა ახალ რაიონს ვაშენებთ, საჭიროა წინასწარ შევადგინოთ დეტალური პროექტი, რომელშიც აღინუსხება ახალი პროექტების ხელში და საზოგადოებრივი ცენტრის მშენებელის მიერთებულ საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა თანაბრად განაწილების საჭიროოროტო საკითხები და ა. შ. მიეროორინის სისტემაში ჩაირთვება თავისუფალი გასასვლელები ზღვაზე, რკინიგზის ვაგზლისა და ნავსაღვურისაკენ. იგი დაკავშირებს ქალაქის ძირითად მაგისტრალებს. ცენტრის შემადგენლობაში ჩაირთვება რესპუბლიკის მთვრობის შენობა და სხვა აღმინისტრაციული და საზოგადოებრივი დაწესებულებები.

მშენებლობის ეკონომიას გარეთ სწორი და ეკონომიური მდგრადი სტრუქტია ქალაქთმშენებლობის ერთ-ერთი ძირეული და მტკიცინებული პრობლემაა. ამოცანა ისაა, რომ კვარტალები გავამსხვილოთ მიკრორაიონებად, კვარტალშიგა თავისუფალ ადგილებში კი მოვაზენოთ მწვანე ნარგავები, მოვაწყოთ ბავშვთა მოედნები და დასასვენებელი ადგილები. სასურველია მოეწყოს ახალი საერთო საქალაქო ცენტრი მთავარი მოედნით — დემონსტრაციების გასამართვად. ცენტრს ექნება თავისუფალი გასასვლელები ზღვაზე, რკინიგზის ვაგზლისა და ნავსაღვურისაკენ. იგი დაკავშირებს ქალაქის ძირითად მაგისტრალებს. ცენტრის შემადგენლობაში ჩაირთვება რესპუბლიკის მთვრობის შენობა და სხვა აღმინისტრაციული და საზოგადოებრივი დაწესებულებები.

ჩვენი მადლიანი კლიმატი იმის ხელსაყრელ პირობებს ქმნის, რომ ზღვისპირა პარკის გასწვრივ (რუსთაველისა და ნინოშვილის ქუჩებს შორის) სანაპირო ზოლში შევქმნათ საკურორტო ზონა, სადაც განლაგდება მხოლოდ სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანიონატები, სასტუმროები და ა. შ. ამ ზონის ნაწილად გადაიქცევა კულტურისა და დასვენების პარკი.

ქალაქთა დაგეგმვის უკანასკნელი გამოცდილება გვიყარნახებს, რომ ზღვის მხრიდან ქალაქის ფასადე-

ბი — გოგებაშვილისა და ნინოშვილის ქუჩები გაშენდეს მრავალ (16-18) სართულიანი, ერთსექციიანი, კოშკურა ტიპის შენობებით.

ჩვენ ზემოთ ვიღაპარაკეთ მიკრორაიონთა განაშენიანების დეტალური გეგმის შედგენის შესახებ. მაგრამ ეს საკმარისი როდია. უნდა შედგეს აგრეთვე უახლოესი ხუთიათი წლისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამოქალაქო და კომუნალური მშენებლობის განლაგების კომპლექსური გეგმები საცხოვრებელი კვარტალების გამსხვილების გათვალისწინებით.

წინასწარი მონაცემების გათვალისწინებით ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქალაქის ტერიტორია გაფართვდება სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში სასურველია განლაგდეს სამრეწველო საწარმოები. ეს ყოველმხრივ მიზანშეწინილია. ტრანსპორტის გამართული მოძრაობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ქუჩების მკაფიოდიფიცირება მოძრაობის ხასიათისა და ინტენსიონის გათვალისწინებით. სასურველია შეცირდეს ქუჩების ქსელის სიხშირე, ზოგიერთი მათგანი გადავაკციოთ კვარტალშიგა გამშვანებისათვის. ხოლო კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა უკმინთბის შემთხვევაში (გამსხვილებულ კვარტალებში) პირველ რიგში ეს საკითხი უნდა მოვარდეს. აუცილებელია, საცხოვრებელი კვარტალები თანდათან გავათვისუფლოთ იმ სხვადასხვა დაწესებულებებისაგან. რომლებიც მოცემული ტერიტორიის სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობასა და კეთილმოწყობაზე უარყოფით გავლენას ახდენენ.

ჩვერილი და დაქსაქსული რტალების გაერთიანებულ შემთხვევაში მწვანე ხეივნებად. მხედველობაში მაქვს რა ადგილობრივ მწვანე ნარგვათა სწრაფი ზრდა. მოკლე დროში შეიძლება შევქმნათ კვარტალშიგა თავისებური ბულვარები.

როგორც ცნობილია, ძველი საცხოვრებელი კვარტალები მჭიდროდაა დასახლებული. რეკონსტრუქციის შედეგად იგი უნდა გამეჩრდეს, განთავისუფლებული ადგილები კი გამოვიყენოთ კვარტალშიგა გამშვანებისათვის. ხოლო კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა უკმინთბის შემთხვევაში (გამსხვილებულ კვარტალებში) პირველ რიგში ეს საკითხი უნდა მოვარდეს. აუცილებელია, საცხოვრებელი კვარტალები თანდათან გავათვისუფლოთ იმ სხვადასხვა დაწესებულებებისაგან. რომლებიც მოცემული ტერიტორიის სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობასა და კეთილმოწყობაზე უარყოფით გავლენას ახდენენ.

ჩვენი ქალაქი ნესტიანია. აუცილებელია დიდი ღონისძიებების განხორციელება. რათა აღვკვეთოთ სინესტის უარყოფითი გავლენა. მისათვის უპირველესი ღონისძიებაა საიმედო კედლების აგება. ქარის მხარეს მიმართული კედლები ხშირად ატარებენ სინესტეს და

მალე ფუჭდება. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შენობის მასალების, კონსტრუქციისა და გარეკადლების სისქის შერჩევას. ვარდა ამისა, მრავალი წლის გამოცდილება გვიკარნახებს, რომ შენობის გარეთა კედლები ავაგოთ ისეთი მასალისაგან, რომელიც ნაკლებად ატარებს სითბოს. ჩვენთან, ყველაზე ცხელ დღეებში, კაპიტალურ კედლიან სახლში ტემპერატურა ექვის-რვა გრადუსით დაბალია გარეტემპერატურასთან შედარებით. თხელ კედლიან სახლებში კი ეს განსხვავება ერთნახვეარ-ორ გრადუსს არ აღმატება. გამარტივებული თხელი კედლების თბოიზოლაციის ხარისხის გასაძლიერებლად შეიძლება გამოვიყენოთ ვერტიკალური გამჭვანება.

ძირითადად როგორ უნდა წარმართოს ჩვენს ქალაქში იხილებენებლობანი?

უპირატესად უნდა აშენდეს ხუთი-რვასართულიანი სახლები დიდი ზომის რეინა-ბეტონის ელემენტებით. გაბედულად უნდა ვაშენოთ ახალი ტიპის ეკონომიკური ბინები, გამოვიყენოთ საცხოვრებელი მიკრორაიონების დაგეგმვის თანამედროვე ხერხები, ხოლო კონკერაციულ მშენებლობაში ხუთ-რვასართულიან საცხოვრებელი სახლების მასალით განკუთხული გავიკარნახები არ არა არა აღმატება მის მიზანზე.

ვრებელ სახლებთან ერთად არ არის მასალით მასალით მრავალბინიანი ბლოკირებული მიზანზე მასალისაგან ნავები კედლებითა და სტადარტული დეტალებით) მიწის მცირე ფართობების შენარჩუნებით.

ჩვენს ქალაქში შემდგომ რომ ავამალლოთ მოსახლეობის კეთილდღეობა, აუცილებელია დაჭაობებული ტერიტორიის ამოშრობა და წყალსარინი არხების მოწყობა, ზღვის ნაპირის რეჟიმისა და ჭირობის დელტის ყოველმხრივ შესწავლა. ძირითადი საჭირბორიტო პრობლემების დროულად მოგვარება. ყოველივე ეს დაგვეხმარება ქალაქის გაშენებისა და კეთილმოწყობის საქმეში.

ქალაქში დასვენების, კულტურულ-საგანმანათლებლო და სასპორტო სპარეზობის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად სასურველია მოეწყოს მწვანე ნარგავთა ერთიანი სისტემა. იგი უნდა მოიცავდეს კვარტალების, პარკებისა და ბაღების მცენარეულობას, აგრეთვე ქალაქგარეთ მდებარე მწვანე მასივებს და უპასუხებდეს მხარის სპეციფიკურ ბუნებრივ გარემოს.

ასეთია ჩვენი ზოგიერთი წინადადება მშობლიური ქალაქის განშენიანების საქმეში.



## სერგო გერსამია

# ერთი ვაიარ მნიშვნელოვანი თათბირი და მამებ პერსი

1905 წელი. რევოლუციური მოძრაობა გამოიწვია ბოლოების მიმდევრობის. იმპერიატორმა ნიკოლოზ მერქებ 1905 წლის 18 ოქტომბერის გამოსცა რესერვის, სადაც ხალხს ეფიცენტოდა. რომ ამიერიდან შეიქმნება სახელმწიფო მმართველობის ისეთი სისტემა, რომელშიც ჩაბმული იქნება თვით ხალხის მიერ არჩეული, მისი ნდობით აღკურვილი ლიტერატური პირებით. მაგრამ ახლად შექმნილი ე.წ. „სახელმწიფო სათათობირო“ სრულუფლებიანი საკანონმდებლო ფუნქციებით არ ყოფილა აღკურვილი. მეორეც, არჩევნებში მონაშილებისათვის დაწესებული იყო ცენზი, რაც მშრომელთა ფართო მასებს საშუალებას უსაბოდა მონაშილება მიეღოთ არჩევნებში.

რასაცვირველია, ისეთი კულტურული კრინიტიური მშრომელ მოსახლეობას — მუშებს, გლეხებს, მოსამსახურებს არ მოსწონდათ და მოელვარება კულაც გრძელდებოდა. მშრომელი ხალხი მოითხოვდა უფრო ფართო უფლებებს.

ისეთ ვითარებაში რევოლუციური მოძრაობის შენელებისა და ჩაქრობისათვის მეფის ტატტის დამცენელი ბრძოლის სხვადასხვა მეთოდს მიმართავდნენ; ერების

ერთი მეორეზე გადამტერება და მათ შორის შინაური ბრძოლის გაჩალება, შავბნელი ძალების მოხაწილეობით და პოლიციის ხელისშეწყობით ებრაელთა ჩატევა-„ბოგრომები“ და სხვ. მათივე წასისიანებით ამიერკავკასიაში დაიწყო თათრებისა და სომხების ურთიერთ ხოცვა-ჯლება. მათი პირველი შეტაკება მოხდა 1905 წლის 6 ოქტომბერის ქ. ბაქოში. შემდეგ შეტაკებამ ფართო ხასიათი მიიღო სისხლინი ბრძოლები კაიმართა ერევანში, განვაში, თბილისში და სხვ.

ქართველი მოწინავე სახოგაოუბრიობა აღშფოთებული იყო ასეთი სისხლის ლერთო. ისინი კარგად ხელივლნენ, რომ რევოლუციური მოძრაობის აღმავლობისათვის საჭირო იყო ყველა ერის მოქმედი ძალების შეერთება, შეტევა საერთო მტრის შინააღმდეგ და არა ერთმანეთის მტრობა. ამ მოსაზრებით ქართველმა პროგრესულად მოაზრონენ ადამიანებმა, სახელმწიფო-მოლვა-წის ილა კავკავაძის მეთაურობით, გადწყვიტეს ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხე მოლაპარაკება გაემართათ ამიერკავკასიაში მცხოვრები ხალხების წარმომადგენლებთან... ამ მხრივ პირველი ნაბჭი გადაიდგა 1905 წლის ინის-

ში, როცა თბილისში ჩამოვიდნენ აზერ-ბაგანის წარმომაღენლები, რათა პეტი-ცია გადაეცათ მეფის ნაცვალ კორონცოვ-ლაშეოვისათვის. პეტიციაში აღნუსხუ-ლი იყო ამიერკავკასიაში მცხოვრებ მაპმადიანთა საჭიროებანი და ითხოვდნენ მათ დაქმაყოფილებას. ასეთივე პეტი-ციის წარდგენა განხრახული ჰქონდა ქა-რთველ, აგრეთვე სომები მოღაწეთა ერთ ნაშილს.

ქართველმა მოღაწეებმა ისარგებლეს მაპმადიანთა დელეგაციის ჩამოსვლით ჯა მოიწვიეს ქართველთა და მაპმადია-ნთა წარმომაღენლების გაერთიანებუ-ლი თაბირი. თაბირი შედგა 10 ივ-ნის თბილისის საადგილმამულ ბანეში, რომლის გამგების თავმჯდომარე იყო ი. ბაგრაძე. თაბირს დაესწრნენ ქართვე-ლი მოღაწეები განურჩევლად პოლი-ტაკტიკი მსოფლმხედველობისა და სარ-წმენებისა. მათ შორის იყო ქართველ მაპმადიანთა წარმომაღენელი ცნობი-ლი მწერალი-მოღაწე მემედ აბაშიძე. ასერბაიჯანის მხრივ დაესწრო ხსენებუ-ლი დელეგაცია გაშეო აბაუშ „რედაქ-ტორის თობებიაშვის მეთაურობით, აგრეთვე თბილისში მცხოვრებ სხვადა-სხვა ეროვნების მაპმადიანთა და ბორჩა-ლოელ თათართა წარმომაღენელი. სულ თათბირში მონაწილეობდა ორასამ-დე კაცი. დღის წესრიგში, ორი საკითხი იდგა: 1) ამიერკავკასიაში მცხოვრებ ერთა შეთანხმებული მოქმედება მიმდი-ნარ რევოლუციის პერიოდში და მასთან დაკავშირებული საკითხები; 2) თათარ-სამეცნიანო შორის უსამართლო სისხლის ღრის შეწყვეტა და ამ ორ ერს შორის ნორმალური დამოკიდებულების აღ-ვაფენა.

თათბირის თავმჯდომარედ არჩეულ უქნა ილა პავჭავაძე, მთადგილებებად ქართველების მხრივ მემედ აბაშიძე, მაპ-მადიანების მხრივ — თობებიაშვი, მღვიმად — მწერალი-მოღაწე გასილ ყი-ფანი.

პირველ საკითხთან დაკავშირებით თათ-ბირმა განიხილა მეფის ნაცვალისათვის

წირსადგენი ამიერკავკასიის მაპმადია-ნთა (მათში ქართველი მაპმადიანები არ ჟედიოდნენ) და ქართველთა უაშტატუჭიე-ბი. ამ ორ პეტიციას შორის შედარებულება იყო და დიდი კამათიც გამოი-წეოდა.

ამის თაობაზე გაზეო „ივერიაში“ კეტიხულობით: „კრებას უნდა განხილა მაპმადიანთა და ქართველების პეტიციე-ბი და შეემუშავებინა საერთო მოქმედე-ბის გეგმა. პეტიციების განხილვის დროს გამოირკვა, რომ ქართველებისა და მაპ-მადიანების უფლებრივი შეხედულება თვალსაჩინოდ განსხვავდება ერთი მეო-რისაგან. მაგალითად, მაპმადიანები თხო-ულობენ ცენტრ დაფუძნებულ საარჩევ-ნო უფლებას, ქართველები კი უარყო-ფენ ცენტრს. მაპმადიანები ცდილობენ წილდებრივ უფლებისა და უპირატესობის მოპოვებას, ქართველები კი წილდებას უარყოფნენ და წილდებრივ პრივილეგიე-ბის მოსპობას თხოულობენ“ („ივერია“, № 98, 1905 წ.).

როგორც იმავე სტატიიდან იწევევა, ამიერკავკასიის მაპმადიანთა სახელით ვამოსულა თობებიაშვი და განუმარტავს „ის მიზნები და პრატიკული მოსახრე-ბანი, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ მაპმადიანები, როცა პეტიციას აღვენ-დნენ“, და უთქვამს, „პეტიციის შინაა-რსი ჩეენი ხალხის ყოფა-ცხოვრებასთან არის შეთანხმებულიონ“.

ქართველების მხრივ სიტყვით გამო-ვიდნენ ექიმი მიხ. გელაშვილი, მწერალი-მოღაწე ილა ზურაბიშვილი, პედაგოგი და პოლიტიკური მოღაწე ხა-ოლამბე ღლობართული და სხვები, ქართველებმა „ის აზრი გამოიქვეს, რომ პეტიციები პრინციპიალურად ძალიან განსხვავდე-ბიან ერთმანეთისაგან, მაგრამ განსხვავდე-ბა ხელს არ შეუშლის შეერთებასა და სილიდარობას, თუ მაპმადიანები ტერი-ტორიალურ-ეროვნულ ივტონომიის ნია-დაგზე დადგებიან და ჩვენსავით ივტო-ნომიას მოითხოვენ“.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ გამოირ-კვა, რომ შეთანხმება „შეიძლება მხო-ლოდ შემდეგ პლატორმაზე: ამიერ-კავ-

კასიის ყოველ ეროვნებას უნდა მიეცეს თვით-გამორჩევის სრული თავისუფლება. ქართველები მოვალენი იქნებიან მოიხოვონ, რომ ეს უფლება მაჲმალიანებსაც მიეცეს, მაჲმალიანები კიდევ ასეთ-საერთო უფლებას მოითხოვეთ ქართველებისათვის. ხოლო შინაურ საქმეების მოწყობით თითეული ერთ თავისუფალი უნდა იყოს.

მეტედ აბაშიძე, როგორც ქართველ მაჲმალიანთა წარმომადგენელი, მხარს უჭერდა საყოველთაო-საარჩევნო უფლებას და საერთოდ თათბირის მონაწილე სხვა ქართველების მიერ გამოიტქმება შეხედულებებს ინიარებდა.

შემდეგ თათბირმა განიხილა თათრება და სომხებს შორის გამწვავებული დამოკიდებულების საკითხი. ამის თათბირზე „ივერია“ წერდა: „ქართველებმა სოქეს, ჩვენს მოვალეობად ვთვლით სისხლის ღვრა მოვსპოთ, შუღლის მიზეზები გამოვიყვლით და, რამდენდაც შეიძლება, ეს ორი ეროვნება ერთმანეთში მოვარიგოოთ“.

მაჲმალიანებმა ქართველების წინადაღება მიიღეს და მათმა წარმომადგენელმა განაცხადა: „ამის ინიციატივის ჩვენ ვერ ვიკისრებთ, ხოლო თუ თქვენ თქვენის სურვილით დაიწყებთ ამ საქმეს, — ჩვენ წინააღმდეგი არ ვართ. სომხებთან ერთად შეერება ჯერ-ჯერობით მოუხერხებლად მიგვაჩინა“.

თათბირის მონაწილე ქართველებმა მაჲმალიანების ასეთი განცხადება ყოველმრივ აწონ-დაწონეს და გადაწყვიტეს სომხებთან მოლაპარაკების ინიციატივა ეკისრათ და შედეგი მაჲმალიანებისათვის ეცნობებინათ.

ამ საკითხზე მოკლე, მაგრამ მგრძნობიარე და შინაარტიანი სიტყვით ვამოვიდა მეტედ აბაშიძე. იმავე სტატიაში მოყვანილია ამ სიტყვის სტენოგრაფიული ანგარიში. მეტედს უთქვამს: „ბათუმშიც სცადეს თავი სარწმუნოების ერის — ქართველი მაჲმალიანებისა და ქართველი ქრისტიანების გადაყიდება, მაგრამ ამა-

ოდ. ჩვენ თუმცა სარწმუნოებით გადაინიში ვართ და, მაშასადამე, ამ მიზანით სხვა მაჲმალიანებთან კაშირებით გადაიდობთ ქართველები ცარი, ქართული სისხლი გვიდულს, სულით და გულით ქართველები ვართ და მიტობი ჩვენში ვერასტროს ვერ მოიყვანეს ფეხს იმგვარი ქადაგება, რომელსაც მოზნად ექნება ჩვენ ჩვენს მებს — ქრისტიან ქართველებს გადავვიდოს და ჩვენს შორის მტრობა ვააჩიდოს. ჩვენ გვეშინდა უმთავრესად სარწმუნოებრივი შუღლისა და მიტომ მოელი ჩვენი მაღლონე მოვიყიბეთ, რამდენიმეც ხალხი შევკრიბეთ, მოველაბარავეთ, თვალი აუხილეთ და, ჩვენდა საბენიეროდ, ხიფათი თავიდან ვიცილეთ. ჩვენ ქართველები ვართ და ამით ვამოყობთ. მაგრამ განა საჭიროა ეროვნულ კრძნებულებარება? ჩემის აზრით, ამაზე ლაპარაკი ისევა მეტია, როგორც მეტია იმის თქმა, რომ მზე ანათებს. ვერმორებ, ჩვენ დაკავშირებული ვართ თათრებთან სარწმუნოებით და ქართველებთან ერთვებით. ჩვენ არასტროს არ დაგვავიწყებდა დღევანდელი დღე, დღევანდელმა დღემ ჩვენი, ქართველი მაჲმალიანების, კაშირი თათრებთან და ქართველებთან განიტკიცა. შეუტყიცელი გახდა. ბედნერი ვარ, ვხედავ რა, რომ ასეთივე ერთობა და მცირდო კაშირი იქმნება ჩემს თანამომე ქართველებს სხვა მაჲმალიანებთანაც. დღევანდელი კრება და აქ წარმოქმული სიტყვები ამის უტურარი საბუთია“.

„ივერიის“ კორესპონდენტის გადმოცემით, მეტედ აბაშიძის სიტყვას ზეესა მსმენელზე ღრმა შთაბეჭდილება დაუტოვებია და ორატორიც ხანგრძლივი ტაშითა და „ვაშა-ვაშას“ შეძახილებით დაუჭილდოებათ. ამას გარდა სხვა ეროვნების მაჲმალიანებსაც დიდი მადლობა გადაუხდიათ ქართველებისათვის ასეთი თათბირის მოწვევის გამო. ბოლოს, თათბირის მონაწილეებს ერთხმად მიუღიათ შესაფერი რეზოლუცია. რეზოლუცია გამოქვეყნდა იმდროინდელ ქართულ

გაზეობში, აგრეთვე გაზეო „ბაკუსა“ და ზოგიერთ ადგილობრივ პროგრესულ რუსულ გაზეოშიც. ეს რეზოლუცია, თვისი შინაარსის მიხედვით, ფრიდ სა- უზრადდებო და მნიშვნელოვანია. იგი სა- მოცი წლის წინადაღი დოკუმენტია და ჩვენი დართო საზოგადოება მის ცერ იცნობს. ამტომ თავს ნებას მივცემის უცლელად გამოვაძვევნო:

„აზიერ-კავკასიის ქართველები და მუ- სლიმანები, რომლებიც შეიქიმნენ თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრე- ბის-მიერ წამოყენებულ კითხვების გა- მოსარცვევად, იმ გადაწყვეტილებას და- დგნენ, რომ კავკასიის კულტურული წი- ნსკლა და საზოგადოებრივ წეს-წყობილე- ბის შეცვალა გრახლებულ ცხოვრების მოთხოვნილებათა თანახმად, შესაძლებე- ლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, ოუ ყვა- ლა ეროვნებათა შორის სრული სოლი- დურობა იქნება დამყარებული. ამტომ ჩვენი საერთო სამშობლოს კულტურული აუკი- ლებელ საიდეობას შეადგენს კულტუ- რულ შემოქმედებითის მუშაობისათვის. პირელ ნაბიჯად, ორივე ეროვნებათა, — მესლიმანებისა და ქართველების — დასახლოებლად, კურების ახრით, შეიძ- ლება ჩითვალოს განსაკუთრებულ წა- რმომადგენლობისავან შემდგარი თრგა- ნო, რომელიც უნდა დარსდეს თბილის- ში. მორანის მზანი უნდა იყოს, ხელი შეუწყოს ორსავე ერს შორის კარგ დამოკიდებულების განვითარებას და გაუზიაროს მაპმადიანებსა და ქართვე- ლებს თავისი აზრები მიმდინარე საქ- მეების შესახებ. რაც შეეხება ერევანში და სხვაგან მომხდარ მეტად სამწუხარო მბავს, რომელიც შეუძლებად პეტიონის ნაყოფის აღმდეგ მიმდინარე მომართვის მიმდევრულ შემთხვევაში, რომ მხოლოდ სამართლიან და მიუკერ- ძავ საქმის განხილვას შეუძლიან დამ- შვიდოს აცლელებული მოპირდაპირენი. ქართველები თავის ინიციატივით კისრუ- ლობენ შეცადონ, ეს ორი გადამტერე- ბული ერი ერთმანეთს შეარიგონ“.

ამის შემდეგ თათბირის მონაწილეებმა იირჩიეს ერთგვარი კომიტეტი თუ კო- მისია, რომელშიც ქართველებისა და მამადანების წარმომადგენლები შევი- ცნენ თანაბარი რაოდენობით. იმ ორგა- ნოს წევრებს დაისრუბული ქვენდათ ურთიერთშეირის მიმოწერისა და მოლა- ბარაების წარმოება ვზადაგზა წმოცრი- ლი სიერთო მნიშვნელობის პოლიტი- კულტურული საკითხების შესახებ. ჩვენ მიერ შეკრებილი ცნობებით, ქარ- თველების მხრივ იმ ორგანოში წვერ- იად აზრეული იყვნენ ილია ვაკვაძე, მემედ აბაშიძე და ვასილ ყიფანი. \*)

იმ თათბირის და მის მიერ მიღებულ ღონისძიებებს ამიერკავკასიის ერთა შორის შევიბრული კავშირის დამყარე- ბა-განმტკიცების საქმეში უპირესად დი- დი მნიშვნელობა ენიჭება, ამასთან სია- მოენებით უნდა აღინიშნოს, რომ მისი მოგვარებისათვის პირეული ნაბიჯი გა- დაიდგა ილია ვაკვაძეს მეთაურობით და სხვა მოწინავე ქართველ მოღვაწეებთან ერთად მემედ აბაშიძის აქტიური მონა- წილეობით.

\* ეს ცნობა გაღმოვცა ამ თათბირის მონაწილემ, აწ განსვენებულმა მწერალ- მა და საზოგადო მოღვაწემ ილია ზურა- ბიშვილმა-ელეფთორიძემ.



## იური სიხარულიძე

# სამხერთ-დასავლეთ საქართველო მონარქია მცდოგებოს ხანაში

XII-XIII საუკუნეთა მიწაზე მონარქური ტომები განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ. დაწინაურებულებს ფეოდალიზმს ბაჩაროსული სტაფილისათვის მიერწოო. ხოლო სხვები აფრ კიდევ გვაროვნული წყობილების აღრეულ საფეხურებს ვერ გასცილებოდნენ. ბრძოლა მონარქურ ტომთა კაერთიანებისათვის, რომელიც განსაუტრებული სიძლიერით გაიშალა XII საუკუნეში, XIII საუკუნის დამდევს მონარქთა დიდი სახელმწიფოს წარმოქმნით დასრულდა. ომში და ომისთვის შობილი ეს აღრეულობალური წარმონაქმნი მაღვე შეუდგა მეზობელი ქვეყნების დაპყრობას.

მონარქთა ლაშქრის ორგანიზაცია კარგად იყო შეთანხმებული მათსავე სოციალურ-ეკონომიკურ წყობასთან და დიდი უპირატესობანიც გააჩნდა კულტურული ქვეყნების სამხედრო ორგანიზაციასთან შედარებით. მანევე განსაზღვრა მათი ტრიუმფული წარმატებანი.

მონარქულები ჯერ ჩინებოზე წაეღონენ და 1215 წელს პეკინიც იილეს, ხოლო ოთხი წლის შემდეგ შეუაჩინიაშვილ გამოიღავს ხელი. ხორებშის მაყი სულთანი, რომელიც მოსალიშვილი აღმოსავლეთის

ხელმწიფობას უქიებდა, სულ მალე, მონარქულობას მიმღლივრებული, ქუდმოგლებილი გარდოდა.

ხორებშია მუპამედს დაადევნა ჩინგიზ ყავნი, ის ლაშქარი, რომელიც საქართველოში შემოიჭრა 1220 წლის მიწურულს.

მონარქებსა და ქართველებს შორის გენერალური ბრძოლა მოხდა ხენანის ვალზე. ქართველთა ლაშქრიდან წარმატებას მაღლია მხოლოდ მარჯვენა ფრთამ (ვარამ გაელის სარდლობით), რომელიც შემოუაზე მიღიოდა და გზად შემოყრილი მოხლოლთა არიერგირდი უკუნიერია. ჩევნი ლაშქრის ცენტრი კი, რომელსაც გორგი ლაშა უძლოდა, და მარცხენა ფლანგი (ივანე ათაბაგის სარდლობით) დამტკდა.

ლაშა გულმოღვინედ მოემზადა რეგიონშისათვის, მაგრამ მონარქულებმა ამგერად ქართველებთან შებმა მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს და ჩირდილო კავკასიისაკენ გაემართნენ.

1225 წელს ჩევნის ქვეყანას ახალი დიდი უბედურება დაატყდა თავს. ეს იყო წინაზიაშვი ანტიმონალური ფრინტის შექმნის მოწადინე ხორებშავის შემოჭრა საქართველოში.

მონლოლთა წინააღმდეგ ჭალალ-ად-  
დინის მედგარ ბრძოლას დიდი მნიშვნე-  
ლობა ჰქონდა. ამ სულთნის მამაცური  
შემართებით მოხიბლული იყო კ. მარქ-  
სიც. მაგრამ ხორქმუშავმა დიდ წამოწყე-  
ბას თავი ვეღარ მოაბა და ძალა შემოკ-  
რება-შეკაშირების ნაცვლად გუთავე-  
ბელი სისხლის ღვრით მტრის წისქვილ-  
ზე მიუშვა წყალი.

„ქართველობის“ ქართული სოცია-  
ლურ-ეკონომიკი და კულტურულ-  
პოლიტიკური სისტემა) ამოგდების დე-  
ვითი მოქმედმა ხეარაზმელებმა დიდი  
ზიანი მიაყენეს ჩვენს ქვეყნისა და სავ-  
სებით სამართლიანად დამსახურეს „კა-  
ცის მჭამელთა მგელთა“ სა-  
ხელი. მშვიდობიანი მოსახლეობის გა-  
დარჩენის ერთადერთი გზა ამ დროს ვაქ-  
ცევა იყო. ამიტომ იყო, რომ „სამცხე  
და ყოველი ადგილი საქართ-  
ველობისა ივლობოდა ხიზნობა  
ად“. ამას ხეარაზმელთა თარეშების მო-  
მშრე და თვითმხილველი მწერალი  
ტბელ აბუსერის-ძე ვამცნობს. მისივე  
ჩვენებით, ლტოლვილი მოსახლეობის  
ერთ-ერთი საძელო თავშესაფარი აქა-  
რა ყოფილა. ამავე მწერლის ერთი ცნო-  
ბა იმაზეც ნათლად მივგინიშვნებს, თუ რა  
მასიურობით ხასიათდებოდა ეს მოვლე-  
ნა. „შეარტყალი შინა მყოფი, — წერს  
იგი, — თვინიერ ნეტარისა იო-  
სების სა და მისთა სახლე-  
ულთაისა, არვინ დაშთა  
ულობელი კერძოთა აჭა-  
რისაცაო.“

სოფელი შეარტყალი (ახლა შუა-  
რწყალი) ფლეხვეს ხეობაშია. თუ ხეა-  
რაზმელთა შემსევების უას სამცხის  
შედარებით განაპირა სოფელში ერთი  
კომლის მეტი ალარ დარჩენილა. გასა-  
გებია, რა მდგომარეობა იქნებოდა სამ-  
ხრეთ-დასავლეთ საქართველოს ცენტ-  
რალურ რაიონებში.

დიდია ხეარაზმელთა რბევა-თარეშე-  
ბის წვლილი იმ დამარცხებაშიც, რომე-  
ლიც საქართველომ მონლოლებთა  
ბრძოლაში განიცადა.

მონლოლები საქართველოს ფასაზე და-  
ბად 1235 წელს მოაღვნეს და მარც-  
დამიმრჩილეს მისი სამხრეთშემცულე-  
ბეთი ნაწილი. შედარებით მაცხოველები  
ხანს არ ნებდებოდა მტერს სამხრეთ-და-  
სავლეთ საქართველო, რომლის დიდი  
ნაწილი მაშინ ყვარეყვარე ჭაყელის სა-  
გამგეო ქვეყანაში ერთიანდებოდა. გან-  
მარტოებულ საჯაყელოს მრისხანე მტრის  
საბოლოო უკუგდების ძალა არ შესწევ-  
და და ყვარეყვარე მექურკლეოუზუცესიც  
იძულებული იყო დამორჩილებოდა მო-  
ძალებულ ჩაღატარ ნოინს.

სამცხის მეზობელ აჭარაში კი ამჯე-  
რად მონლოლებმა ვერ შეაღწიეს და  
იგი კვლავ მათგან ლტოლვილთა სახიზ-  
ნარი იყო.

XIII საუკუნის 60-იანი წლების მი-  
წურულს აქარაში თუმცა შემოკრა აბა-  
ლა ყანის წინააღმდეგ აჯანყებული უც-  
ლისწულ თეგუდარის ურდოს ნაწილი,  
მაგრამ იგი იქნებოდა სამტროდ კი არ შო-  
დიოდა, არამედ ილხანის გარების გურ-  
ბოდა და ქუთაისისაკენ მიეშურებოდა  
თავშესაფარიდ. ამიტომაც მისაგან აჭარას  
რაფერი დაშავებია, მონლოლები კი აქ  
დიდად დაზარალდნენ იმ სტიქიური უბე-  
დურების გამო, რომელიც მათ მარიოს  
ხეობაში შეემთხვათ.

ამონსავლეთ საქართველოში განმტკი-  
ცების შემდეგ მტერმა ლიხთ-იმერეთში  
შექრაც სცადა. მაგრამ ქუთაისს შეხი-  
ნულმ სამეფო კარმა იმარჯვა და მტკი-  
ცედ ჩარაზა ღადო-ლიხის ზექარებრ. მონლოლებმა ამის შემდეგ ზავი შესთა-  
ვაზეს საქართველოს მეფეს, მაგრამ იგი  
უაშე იდგა. რადგან კარგაბანს გულ-  
დაჭერებით ელოდა რომის დახმარებას,  
თუმცა უშედეგოდ. დასავლეთ ევროპა  
ასეთი მისიისათვის მოწოდებული ცერ-  
ალმოჩნდა და იმედგაცრუებული რუსუ-  
ლან დედოფალი იძულებული იყო უც-  
ლიდელი მონლოლთა წინადადება. მაგ-  
რამ წინააღმდეგობამ, რომელიც ქუთა-  
ისიდან შეახვედრეს მტერს, ნაყოფი გა-  
მოიღო და დამკარობელი იძულებული  
გახდა საქართველოს მეფესთან შედარე-  
ბით საპატიო ზავი გაეფორმებინა.

პანლოლ-ქართველთა შეთანხმებაში უზრადღებას იქცევს საოქუაციო ხელისუფლებისაგან ლიხითითის შეუვალობა. ეს კი ისე დღი მნიშვნელობის ფაქტი იყო, რომ ქართველ-მონოლოთა პოლიტიკური ურთეორთობის ორ სხვადასხვა კატეგორიას აკანონებდა. იმერეთი შონლოლებს ყმადნაფიცობის რიგით უკაშირდებოდა, ხოლო ამერეთი, სადაც მონლოლთა გარები იდგნენ, მა კატეგორიაში ვერ თავსდებოდა და დამპყრობლის მფლობელობა აქ ხელმწიფობისაკენ იხრებოდა. მალე გამოჩნდა, რომ მონლოლთა ხელისუფლება ქართველ პოლიტიკოსთა ენერგიული წინააღმდეგობის მოპოვებული ზევის კმაყოფილი არ იყო და მისი გადასინჯვისათვის ამინდს ელოდა. ასეოთ ამინდი 1245 წლს დადგა, როცა რუსულან დელფიალი ვარდაიცალა. მონლოლებმა კარგად გამოიყენეს უმეტობის შექმნილი ვითარება და ქვეყანაში მმართველობის ნომადური წესრიგი შემოიღეს. 50-იან წლებში დამპყრობელმა საქართველოს ეკონომიკურ წყობაშიც ჩაჩია ხელი, 90-იანი წლებიდან კი ქართველთა იდეური სფეროს ერთ-ერთ მთავარ საყრდენსაც (ქრისტიანობა) შევტოა.

უამპყრობლის ასეთი ლონისიერანი შესძლების გამოძიხილაც პოლონდა საქართველოში: პირველი ზემოხსენებული ლონისიერანი კონტასთავის შეთქმულების (1245 წ.) ერთ-ერთ მიზრობად მიზეზად იქცა, მეორემ კი დღი როლი შეასრულა ქართველთა 1259 და 1260 წლების აჯანყების წარმოშობში, მესამე — დავით მერვის აჯანყებაში და ა. შ.

აჯანყაუთებით დიდი შედეგი გამოილო 1259 წლის აჯანყებამ, რომელსაც დავით ნარინი ხელმძღვანელობდა. ამ აჯანყების შედეგად ლონთ-იმერეთი არსებითად გამოვიდა მონლოლთა ყმადნაფიცობიდან და აქტიურ ანტიმონლოლურ პოლიტიკას დადგა. ამავე აჯანყებას უარყოფით შედეგიც ჰქონდა. ეს იყო ქუთაისის ტახტის წარმოქმნა. მართალია, ნარინის პოლიტიკური სარბიე-

ლი „ნიკოფისიდან დარუბანითი იყო, მაგრამ აშეარად ჩანდა, რომ ეს აქტიური ფეოდალური საქართველო მარტივდებოდა დასაწყისს მოისწავებდა.“ გიგლიშვილი

1266 წლის შემოდგომაზე ეს მოყლენა სამცემის სასპასლაროს „ინჯუ-ი ხასიათ“ ქცევით ვარსდავდა. მაგრა ქვეყანაში ერთიანდებოდა ამ დროიდან აღარაც. „ინჯუ-ი ხასიათ“ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო აბდილ ყაენის (1265-1281 წ. წ.) პირიდ საკუთრებას შეადგენდა.

„სადიგნო“ სამეფოსაგნ განსხვავებით, „ინჯუ-ი ხასიათ“ დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა. მათგან უმთავრესი ის იყო, რომ ილაზი ასეთ სამფლობელოს ფეოდალის თვალით უცემროდა და მისი მოშენებისოფის ზრუნავდა. იგი ამისთანავე ბასეაკაგანაც შეევალი იყო. ეს გარემოება, ამ კატეგორიის ქვეყნის მეფისაგან შეუვალობა და ზოგიერთი სხვა, დიდ მიზნიდებულობას ახიცებდა „ინჯუ-ი ხასიათ“ ინსტიტუტს. მონლოლთა მფლობელობის პირობებში მისი მიღება ფეოდალთა ოცნება იყო.

„ინჯუ-ი ხასიათ“ ფეოდალი თავის პრივილეგიულ მდგრამარეობას გულმოდგინებ იცენებდა როგორც არახასი მეზობლების მისამლავრებლად, ისე ქართული ფეოდალური სამართლის ნორმების დასრულევად და ა. შ.

ასეთი ტენდენციების გამო „ინჯუ-ი ხასიათ“ მფლობელი მიუღებელი იყო როგორც მეზობელი ფეოდალებისათვის, ისე სამეფო ხელისუფლებისოფისაც. უკანასკნელისათვის „ინჯუ-ი ხასიათ“ უმთავრესად ცენტრიდან ული ტენდენციების სწრაფი განვითარების გამო იყო არასასურველი. მონლოლთა ბატონობის დროს ძალაუფლებაშესტატული მეფე საკუთარ ერთავებოდანაც ვერ ამყარებდა სასურველ დამოკიდებულებას და, ცხადია, მისი ყმობიდან ფაქტიურად გაცემულ ჭაყილზე ხელი სრულებით არ მიუწვდომდა. ასეთ ვითარებაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველო თხნდათან ეთიშებოდა სამეფოს და ახალ მნიშვნელოვან ზშარს ქმნიდა.

ქვეყნის პოლიტიკურ სხეულზე. მტრის  
წადგლიც ეს იყო.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს  
„ინჯუ-ი ხასად“ ქცევა, ერთი მხრით, გან-  
ვითარებული ფეოდალური სისტემის  
უპარატესობას მოწმობდა, ხოლო, მეორე  
მხრით, იგი საქართველოს მფის დასუ-  
ტებისაკენ მიმართული საიმხანოს კარის  
თხილი სერიოზული ქეტი იყო.

ჩაულებმა უნარიანად გამოიყენეს  
„ინჯუ-ი ხასაძით“ მოპოვებული მდგრადა-  
რება და თვალსაჩინო წარმატებებს მია-  
ღწის როგორც ქვეყნის სამეურნეო და-  
წინარების, ისე ტერიტორიული გაფარ-  
თვებისა თუ სხვა სფეროებში.

ასე დარჩა სამხრეთ-დასავლეთ საქართ-  
ველ XIV საუკუნის 30-იან წლებამდე. ამ  
დროს კი „ორი ტახტის გამართიანებელ-  
მა“ ვიორგი ბრწყინვალემ ბოლო მოულო  
თავისი დედულეოთის მტრისგან დანერგილ  
განკურმოებას და საქართველოს „ყოველ-  
გრილ უცილობლად“ მქონებელი შეიქნა. მან  
კარგად გამოიყენა ამავე ხანებში  
სარგებლობის შექმნილი მძიმე ეთარება და  
1337 წელს მონლოლთა მფლობელობის  
მცულიც გადაიგდო.

მართალია, ილხანთა პოლიტიკურმა  
მემკვიდრემ ჰასან მცირე ჩიბანიანმა  
კვდავ მალე დაიმორჩილა განმღვარი  
ქვეპარა (1338 წ.), მაგრამ საჩიბანიან —

საქართველოს პოლიტიკური ურთიერთ-  
ბა ძველს აღარ ჰგავდა და პატირობით  
რი დამოკიდებულების ფრინველი ურთიერთობა 1357  
წლიდე გასტანა და იდარბადაგანში ჩო-  
ბანითა ხელისუფლების დამხობასთან  
ერთად მოიშალა.

ამის შემდეგ საქართველო ერთხანს  
სრულიად გათავისუფლდა მონლოლთა  
დამოკიდებულებისაგან. ვერც საგალია-  
რიანომ და ვერც სამუზაფერიანომ მისი  
დამორჩილება ველარ შეძლეს. ასე დარ-  
ჩა ჩვენი ქვეყანა 1386 წლამდე, ვიდრე  
ჩინგიზიან მონლოლთა დროს დაწყებული  
ავი საჭმის თავმოსაზელად საქართველოს  
თემურლენგი შემოადგებოდა.

ის ძირებული მოვლენები, რომელიც  
ჩვენში მონლოლებმა განვითარეს XIII  
საუკუნის 30-იან წლებში, XV საუკუნის  
ათასი წლებში დასრულდა.

მონლოლთა ხანგრძლივება მფლობელო-  
ბა-მძლავრობამ დიდად შეაფერხა ჩვენი  
ქვეყნის განვითარება, დაჩიხა პროგრესი.  
ზავით აღმაშენებლის დიდი წამოწყება  
ჩაიშალა. მონლოლთაგან მმდლავრებულ  
საქართველოს აჩათუ კავკასიის ერთია-  
ნობის დაცვის და პროვერსის პეგემონის  
ძალა აღარ შერჩა, არამედ თავისი პოლი-  
ტიკური მთლიანობის შენარჩუნებაც ვე-  
ლი შეძლო და დაიშალა კიდევეაც.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/1, 1966 წ. საბუჭი 6, საგამომცემლო 5 თაბაზა,  
შეკვეთის № 642, ემ 00773, ქალალის ზომა 60×90, ტირაჟი 1.800.

\* \* \*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის  
მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსმბურგის, 22).

3560 40 353.

б. 39/60



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литературули Аджара“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76118